# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 3 მარტი 2008 №047 (3271) ფასი 50 თეთრი


# დინამომ მდევრებს წუთით გაასწრო
## სამთა ვისი მერე გამოჩნდება



მათე გიწაძის თავურმა „დინამო" თავში დატოვა



ირაკლი ცირეკიძე ჩეხეთიდან პეკინისკენ გაიწია

# პეკინამდე ოქროს ოქროს ფასი აქვს
## თანაც სამი ერთად!

წუხელ საქართველოს სამი ოქრო შეემატა.

ჩეხეთის მსოფლიოს თასზე ჩემპიონები გახდნენ ჩვენი ძიუდოისტები გიორგი ბაინდურაშვილი და ირაკლი ცირეკიძე, ხოლო უნგრეთის „ოქროს დიდ პრიზზე" ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ბადრი ხასაიას არ ჰყავდა ბადალი.

ჩეხეთის მსოფლიოს თასზე საბა გავაშელიშვილმაც იყოჩაღა, ვერცხლი მოიგო და თან ეს ის შემთხვევა არ არის, გული რომ დაგწყდება, რატომ ოქრო ვერაო — გავაშელიშვილმა ფინალი სწორედ ბაინდურაშვილთან დათმო ანუ ქართული ოქრო-ვერცხლი გარდაუვალი იყო.

მედლებს რა სჯობს, მით უფრო, რომ ეს არ ყოფილა უბრალო ტურნირებზე მოხვეჭილი მედლები, მაგრამ ოლიმპიური წელია და, მოგეხსენებათ, ეს რასაც ნიშნავს: ამგვარ ტურნირებზე თავგამოჩენილები უნდა წავიდნენ პეკინში.

პეკინამდე კიდევ თვეებია და შესაძლოა, ჩვენი ძიუდოისტების საჩინეთო შემადგენლობაში რამე კიდევ შეიცვალოს, ახლა კი ისე ჩანს, რომ ზურაბ ზვიადაური ოლიმპიადის მიღმა რჩება — ირაკლი ცირეკიძეს უკეთესი შედეგები აქვს.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · II წრე. 15 ტური

ბოლნისი. 1 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია. 1 500 მაყურებელი

## სიონი 1:2 დინამო

0:1 მერებაშვილი (15), 1:1 ჩასემი (55), 1:2 ვაწაძე (89)

**სიონი:** ბობლიაშვილი, ქურასბედიანი (ლ. ვაშაკიძე 80), ფრიდოლინი, სვანიძე, კობაური, გ. ოქროპირიძე, კვიტაიშვილი (ქარდავა 89), ზ. ავალიანი (ლ. ბაჯელიძე 46), ჩასემი, ბ. ნოზაძე
*სათადარიგონი:* გ. იაშვილი; ზ. ჭელიძე, ნაყოფია, მიქელაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**დინამო:** ოვონო, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, დობეში, ხმალაძე, დილმელაშვილი, ოდიკაძე (სპასოევიჩი 81), გ. მერებაშვილი, აკირემი (ვაწაძე 59), მ. ხუციშვილი
*სათადარიგონი:* ლორია; თომაშვილი, გ. კაშია, გველესიანი, ნერგაძე
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**გაფრთხილება:** ფრიდოლინი (18), ქარდავა (55), ნოზაძე (61), ქურასბედიანი (78), დობეში (81)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ა. კოკაია, ი. უკლება, ლ. ფანიაშვილი

# სამი ქულა ბოლოსწინ
## სიონი ბოლნისში თამაშგარეთ დარჩა

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**მეოთხე** მსაჯი ლევან ფანიაშვილი წამატებული წუთების საჩვენებლად ემზადებოდა, როცა თამაშის კულმინაცია დადგა: გიორგი მერებაშვილმა კუთხურიდან ჩააწოდა, მოედანზე ნახევარი საათის შესულმა ჯანმაგარმა მათე ვაწაძემ კი საჯარიმოში სწორად შეურჩია ბურთს ადგილი და „დინამოს" ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოაპოვებინა. იმ ეპიზოდში სტუმართა მეკარის გარდა ყველა ფეხბურთელი „სიონის" საჯარიმოში შეკრებილიყო და ასეთ არეულობაში იმარჯვა თბილისელთა შემტევმა, რომელმაც ბობლიაშვილს აუღებელი თავური დაურტყა...

ბოლნისელები, ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც და საკმაო ქომაგობაც გაოგნდნენ, „დინამომ" კი, თავის გულშემატკივართა ჯგუფთან ერთად, ცხადია, უსაზღვროდ გაიხარა. მატჩის დამთავრებამდე ბევრიც არაფერი რჩებოდა და ეს გოლი მათთვის სამქულიანი იყო. „სიონი" ანგარიშის მეორედ გამთანაბრებელი აღარ ჩანდა... ისე, სადაც სამართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ „დინამოს" გამარჯვების გოლიც ძალიან მოულოდნელი იყო. თამაშის მიმდინარეობის გათვალისწინებით ლოგიკური შედეგი ფრე უფრო იქნებოდა და ბევრიც სწორედ ამ შედეგს ვარაუდობდა.

— ეს საშინელება იყო, მსაჯობით ძალიან უკმაყოფილო ვარ, ვერ გამიგია მსაჯები რას გვერჩოდნენ — იტყვის მატჩის შემდეგ „სიონის" მწვრთნელი გიორგი ყიფშიძე.

ტრიბუნებზეც და მოედანზეც მსაჯობით უკმაყოფილება მასპინძელთაგან თითქმის მთელი მატჩი გამოიხატებოდა. ბოლნისელებმა ლევან კვარაცხელიას მისამართით ბევრი პრეტენზია გამოთქვეს, მათ შორის ყველაზე მწვავედ კი ის ეპიზოდი გააპროტესტეს, როცა ბოლნისელი კვიტაიშვილი მეკარე ოვონოსთან პირისპირ დარჩა, გოლი თითქოს გარდუვალი ჩანდა, მაგრამ თანამსაჯმა კოკაიამ ალამი აღმართა და თამაშგარე დააფიქსირა. მას, ცხადია, არბიტრიც დაეთანხმა, ტრიბუნებიდან კი ხალხი ლამის მოედანზე შეიჭრა. პოლიციელებს ქომაგების დასაშოშმინებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ.

გარდა ამისა, ბოლნისელებმა კიდევ ორჯერ ჩათვალეს, რომ მათი ფეხბურთელები თამაშგარეში არ იყვნენ, მაგრამ მსაჯებმა ორჯერვე სხვანაირად გადაწყვიტეს...



გიორგი მერებაშვილის „დინამომ" ბოლნისში მძიმე ბრძოლა გადაიტანა

სანახაობრივი თვალსაზრისით მატჩი დიდად გამორჩეული არ ყოფილა, თუმცა ისეთი დაძაბული იყო, ფინალურს მოგვაგონებდა. ჩანდა, ფეხბურთელები ნერვიულობდნენ, ხშირად ელემენტარულ სიტუაციებში ცდებოდნენ და მეტწილად თავიანთი კარის მშრალად შენახვას ცდილობდნენ. ისე, ორივე ტაიმის მეორე ნახევარი ჯერ „სიონის" უპირატესობით წარიმართა, მერე — „დინამოსი". მასპინძლები თუ ანგარიშის გათანაბრებას ესწრაფოდნენ, სტუმრებს მოგება სჭირდებოდათ, ზედიზედ სამი მოუგებელი მატჩი ჩემპიონობისკენ და თასისკენ მავალი „დინამოსთვის" ნამეტანი იქნებოდა.

„დინამო", რომელსაც ბოლნისში წინა ტურის უთამაშებლები — მეკარე ოვონო და თავდამსხმელი აკირემი — დაუბრუნდა, მალევე დაწინაურდა: მერებაშვილმა მასპინძელთა საჯარიმოს წინა ხაზთან ერთი მცველი ჩამოიშორა და ბობლიაშვილს დაბალზე უზუსტესად დაურტყა.

თბილისელებმა გაიტანეს და მოედნის საკუთარ ნახევარზე თამაში უფრო გააძლიერეს. ისინი კონტრშეტევებით ცდილობდნენ კიდევ გატანას, მაგრამ სახეირო არაფერი გამოსდიოდათ, თუმცა საკუთარ კართან ღირებული არც ბოლნისელებს შეაქმნევინეს.

შესვენების შემდეგ თამაშის საერთო სურათი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. მასპინძლებმა ერთი შეცვლა გააკეთეს და გამთამაშებელ ბაჯელიძის დახმარებით შეტევის გამწვავება სცადეს. მატჩის განახლებიდან ათი წუთი ბურთი მოედნის შუაში დაგორავდა. როგორც ვთქვით, დაძაბულობის ფონზე ფეხბურთელებს ბევრი შეცდომა მოსდიოდათ. მერე კი გოლიც ვნახეთ. ეს შეტევა, სხვათა შორის, სწორედ შუა მოედნიდან დაიწყო და ფლანგზე კვიტაიშვილის გარღვევით გაგრძელდა. კვიტაიშვილმა საჯარიმოში ჩასაწოდებლად დრო იხელთა, მცველებმა დაფარება ველარ მოასწრეს და წამში ანგარიშიც გათანაბრდა — კარის სიახლოვეს სტუმრებმა ხელი ვერც ჩასემს შეუშალეს და მანაც ახლოდან გაიტანა. მისთვის გოლის მისალოცად სათადარიგოთა სკამიდან ბესიკ ქარდავა წამოხტა, მოედანზე შექანდა და კვარაცხელიასგან ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

1:1-ზე კი უკვე ნერვების თამაში დაიწყო. დუშან უჰრინმა აკირემის ნაცვლად საქმეში ვაწაძე ჩართო, ყიფშიძემ კი თავის გუნდს დაცვაში მეტი ყურადღებისკენ და შესაძლებლობისთანავე კონტრშეტევებისკენ მოუწოდა. ბურთსაც და მოედანსაც „დინამო" დაეუფლა, მაგრამ ბოლნისელებს კარის მისადგომები საიმედოდ ჰქონდათ გადაკეტილი, სანაცვლოდ კი ერთი-ორჯერ მწვავე შეტევა წამოიწყეს. სწორედ ამ დროს იყო, როცა ორჯერ მასპინძლები მსაჯობამ აღაშფოთა. „დინამოს" ერთ-ერთ შეტევას მიხეილ ხუციშვილის თავური მოჰყვა, მაგრამ დარტყმული უზუსტო გამოდგა.

ასე, ნელ-ნელა თამაში ბოლოსკენ წავიდა. ნერვიულობამ კიდევ უფრო იმატა და 89-ე წუთი რომ დაიწყო გაგრძელებას დასაწყისშივე ისხლავდით.

# ზუგდიდმა დაიწყო და წაიღო
## თევდორაძემ ნაკრების მაისურა ვერ გაიხადა

**ლექსო მაისურაძე**

**ზუგდიდელებმა** უფრო აქტიურად დაიწყეს თამაში და უპირატესობაც მოიპოვეს, თუმც სახიფათო მომენტებამდე საქმე ვერ მიდიოდა. პირველი საგოლე შანსი მაინც „მერანს" მიეცა — ვლადიმერ გოჩაშვილმა მე-11 წუთზე თავისივე წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო ხელსაყრელი ადგილიდან ცუდად დაარტყა. მალე სტუმრები მეტად გამოცოცხლდნენ და ზეწოლა გაზარდეს. განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგი აქტიურობდა. კაპიტან ზურაბ ექონიას, ვერცხლისწყალივით მოძრავი დავით ქირია და გიორგი კრასოვსკი უბამდნენ მხარს. ნელ-ნელა გოლიც მომწიფდა — ზამირ ჯანაშიას დარტყმული რევაზ თევდორაძემ მოიგერია, მე-19 წუთზე კი მარცხენა ფლანგიდან ერთ კუთხურს მეორე მოჰყვა, ოღონდ ზუგდიდელებმა ბურთი გაათამაშეს და შორეულ ძელთან ჩაჰკიდეს, სადაც ეულად დატოვებულმა დავით ქირიამ შანსი მშვენივრად გამოიყენა — ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა კარში და ლამაზი გოლიც გამოაცხო.

თბილისელები სიტუაციის გამოსწორებას კი ცდილობდნენ, მაგრამ ვერაფერს ხდებოდნენ. ძალიან ულიმღამოდ და უფანტაზიოდ უტევდნენ.

მეორე ტაიმში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. „მერანი" გამოცოცხლდა და მაგრადაც მიაწვა. თან ზუგდიდელებმა თამაში გადააწყვეს და აქცენტი კონტრშეტევებზე გააკეთეს. ყველაზე ახლოს გოლთან ირაკლი შენგელია იყო — 55-ე წუთზე მცველს აჯობა, მარჯვენა კუთხიდან საჯარიმოში შევიდა და დაარტყა — სტუმრებს მშველელად ძელი გამოუჩნდათ. ამის მერე გამოსარჩევი აღარაფერი მომხდარა. მასპინძლები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და ეგებ ფრე ლოგიკური შედეგიც ყოფილიყო, მაგრამ უპირატესობას ზუსტი დარტყმა და გოლის გატანაც რომ უნდა, ფაქტია.

და ერთიც: რევაზ თევდორაძე ისევ ნაკრების მაისურით თამაშობდა...

თბილისი. 2 მარტი. 15 საათი. მერანი. 200 მაყურებელი

## მერანი 0:1 მგლები

0:1 დ. ქირია (19)

**მერანი:** თევდორაძე, ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი, ქემაშვილი (ბესარაშვილი 46), ჯანგიძე, სარალიძე, კობერიძე, ბაკურაძე (ქოქიაშვილი 46), ვ. გოჩაშვილი, ი. შენგელია
*სათადარიგონი:* გლუნჩაძე, ფურთუხია, იაკობ დეისაძე, იაგო დეისაძე
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**მგლები:** ივარდავა, ზ. ექონია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, დ. ქირია, ვართაგავა, ხოხონიშვილი, წურწუმია (გ. ექონია 86), ზ. ჯანაშია (კუტალია 56), კრასოვსკი (გ. ქირია 90)
*სათადარიგონი:* ჭითანავა, ხუხია, ქომეთიანი, ჭკადუა
**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია

**გაფრთხილება:** დ. ქირია (69), ივარდავა (75), ექონია (86)

**მსაჯები:** ო. ხეცაძე, ო. მოლოდინაშვილი, კ. გუდურაშვილი, მ. მაისურაძე

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 15 ტური

# 50-მეტრიანი გოლი და 6 დაკარგული წუთი



ბადრი კეთილაძის ფოტო

გორი. 2 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 600 მაყურებელი

## დილა 0:2 ამერი

| | |
|---|---|
| 0:1 კაკაშვილი (12), 0:2 ტატანაშვილი (57პ) | |
| დილა: თ. ილურიძე, ბალაშვილი, ტლაშაძე (იჩქითი 67), გვეტაძე, ბერიანიძე, ნოზაძე, ლაცაბიძე (საყვარელიძე 74), სულთანიშვილი (ვარდოსანიძე 61), შატაკიშვილი, სადალაშვილი, გ. წინამძღვრიშვილი<br>სათადარიგონი: კეჩხუაშვილი, ბ. ჩიტაია, ლომიძე, ბალიაშვილი<br>მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი | ამერი: ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, შალამბერიძე (მემარნიშვილი 75), დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი (მესხი 82), ტატანაშვილი (რ. გოცირიძე 77)<br>სათადარიგონი: გვენცაძე, დ. მჭედლიშვილი, სილაგავა, ჩიმაკაძე<br>მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: შატაკიშვილი (33), დიდავა (36), სულთანიშვილი (41), ბალიაშვილი (51), ნოზაძე (83), მესხი (86), კაკაშვილი (90) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, კ. ტეფნაძე, ა. გუნთაძე, ზვ. ასკაროღლი | |
| დამკვირვებელი: ა. შილაკაძე; დირექტორი: მ. ნორაკიძე | |

**კოტე კეკელია გორიდან**

**ცოდვა** გამხელილი სჯობს: მატჩის მსვლელობისას ერთ ეპიზოდში ისიც გავიფიქრე, რა კარგია, ტრიბუნები სავსე რომ არ არის თქო, არადა, სპორტული ჟურნალისტები ხალხს სულ თამაშებზე სიარულს ვუყიჟინებთ...

თუმცა იმ ეპიზოდზე ქვემოთ მოგითხრობთ, მიმოხილვა კი თანმიმდევრობით დავიწყოთ.

გორში მშვენიერი დარი იდგა და ვეჭვობთ, იქაურებს ფეხბურთზე უკეთესი გასართობი და სანახაობა ბევრი ჰქონდეთ. თამაშიც, მთლად ხარისხიანი თუ არ იყო, ყოველ შემთხვევაში, მომენტმრავალი გახლდათ და გულშემატკივარი ნაღდად არ მოიწყენდა. მართლა სახიფათო რომ ეთქმის, პირველ ტაიმში ასეთი 8 მომენტი დავითვალეთ და ვინ იტყვის, რომ ეს ცოტაა?!

პირველი ასეთი მომენტი მასპინძელმა ნიკოლოზ სადალაშვილმა შექმნა — მახვილი კუთხიდან, სამაგიეროდ ძალიან ახლოდან დაარტყა და ბადეს გარედან მოახვედრა. წამების მერე, საპირისპირო მხარეს, სულიკო დავითაშვილი დატრიალდა საჯარიმოში და გიორგი დეკანოსიძეს მიართვა პასი ზედ პენალტის ნიშნულთან — დარტყმა კარს გადასცდა. საბა სულთანიშვილის ბაქნიდან დარტყმული თავური, ყველას უეჭველი გოლი რომ ეგონა, ლადო ნადირაშვილმა რაღაც გასაოცარი რეაქციით მოიგერია. ნადირაშვილმავე ეფექტურ ნახტომში მოიგერია იმავ სულთანიშვილის საჯარიმო დარტყმა. დეკანოსიძის ჩაწოდებულ კუთხურს გივი დიდავამ ვარდნაში თავი შეაგება და მეკარე თამაზ ილურიძემ იყოჩაღა. სხვა ორი საპირველტაიმო მომენტი კი გოლებით დასრულდა — ჩათვლილით და არჩათვლილით.

მე-12 წუთი იყო, როცა ამერელმა მცველმა თენგიზ ჩიკვილაძემ უგრძელესი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა კობა შალამბერიძე. ილურიძე კარიდან გამოვიდა, დასწრებაზე ითამაშა და დაახლოებით საჯარიმოს წინა ხაზიდან ლონიერი დარტყმით ბურთი ისევ ამერელთა ნახევარზე დააბრუნა. იქ კი ბურთს ვლადიმერ კაკაშვილი დაუხვდა და 50 მეტრიდან წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო — 0:1. დაგვეთანხმებით, ცენტრიდან გატანილი ბურთები საქართველოშიც იშვიათობაა და მთლიანად მსოფლიო ფეხბურთშიც.

არჩათვლილი გოლი კი „ამერმა“ ტაიმის შუაწელში გაიტანა: გივი დიდავას შორიდან დარტყმული ილურიძემ უხერხულად მოიგერია და იქვე გაჩენილმა დეკანოსიძემ შეაგდო. თანამსაჯმა ალამი აღმართა. იმის მტკიცება, იყო თუ არა დიდავას დარტყმისას დეკანოსიძე ოფსაიდში, ძნელია და ამ გოლის გაუქმების სამართლიანობა-უსამართლობაზე ნუღარ შევჩერდებით.

მეორე ტაიმი გორელთა ორი კუთხურით დაიწყო. ერთი კარგი იერიში ამერელებსაც ჰქონდათ, ამის მერე კი კულმინაცია დადგა — გიორგი ბალაშვილმა საჯარიმოში დიმიტრი ტატანაშვილი მოცელა.

ეს ეპიზოდი 51-ე წუთით თარიღდება, ხოლო ოქმში ამოიკითხავდით, რომ პენალტი ტატანაშვილმა 57-ე წუთზე გაიტანა. და რა ხდებოდა მოცელვიდან პენალტის დარტყმამდე 6-წუთიან მონაკვეთში? ორი სიტყვით: კარგი არაფერი, ოღონდაც აქ ორი სიტყვით ვერ შემოვიფარგლებით.

ეპიზოდის გარჩევა თავიდან დავიწყოთ. ბალაშვილმა ტატანაშვილი მოცელა. ჩვენი და თანამსაჯ კახა ტეფნაძის აზრით, ჯარიმა აშკარა იყო, არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ კი თავდაპირველად ტატანაშვილის „გაყვითლება“ გადაწყვიტა სიმულაციისთვის, მერე კი თანამსაჯის აზრს დაჰყვა და ტატანაშვილისთვის გამზადებული ყვითელი ბარათი გიორგი ბალაშვილს უჩვენა და პენალტიც დანიშნა. გორელებს კი უფრო იმაზე ჰქონდათ პრეტენზია, თანამსაჯმა არბიტრს პენალტის დანიშნვა რატომ უკარნახაო...

მოკლედ, მიხვდებოდით, რომ ნახსენები 6 წუთი ამ ამბის გარჩევას დასჭირდა, ხოლო რა ფორმით მოხდა ეს გარჩევა, ფოტოდან შეგიძლიათ დაასკვნათ. ჩვენ ერთს დავამატებთ: „დილას“ მთავარი მწვრთნელი ზურაბ ხორგუაშვილი ამ გარჩევის გვარიანად აქტიური მონაწილე გახლდათ.

იმ გარჩევისას ტრიბუნიდან მოედანზე ათიოდე მაყურებელიც ჩახტა. ქება და დიდება იმ ერთადერთ წესრიგის დამცველს, გადმომხტრების უკან გარეკვა რომ მოახერხა. მაგრამ ხალხი რომ ბევრი ყოფილიყო და ბევრიც გადმომხტარიყო, ის ერთი კაცი ეყოფოდა მათ დაშოშმინებას? სწორედ წესრიგის დამცველთა სიმცირის გამო ვახსენეთ თავში, კიდევ კარგი, ტრიბუნები სავსე არ იყოო...

ტატანაშვილმა პენალტი გაიტანა და მოსაყოლიც უშუალოდ მატჩზე მეტი არაფერია, თორემ ჩვენი ფეხბურთის საჭირბოროტო საკითხებზე სათქმელს რა გამოგვილევს...

ბორჯომი. 1 მარტი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 500 მაყურებელი

## ბორჯომი 2:1 სპარტაკი

| | |
|---|---|
| 1:0, 2:0 მეგრელაძე (7, 36პ), 2:1 ძარია (68) | |
| *თარხნიშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (45, მეკარე); ძარიამ ვერ გაიტანა პენალტი (45, ძელი)* | |
| ბორჯომი: გრიშიკაშვილი, კირთაძე, კაკუბავა, გუგავა, თედიაშვილი, ვ. ბოლქვაძე (დევიძე 83), ქავთარაძე, ჩირიკაშვილი, ჯიუსი (ლომიძე 75), მეგრელაძე, გოგიჩაიშვილი (ჯიქიძე 58)<br>სათადარიგონი: სეფიაშვილი, ნასყიდაშვილი<br>მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე | სპარტაკი: კოდალაევი, კუპრეიშვილი, ქემოკლიძე, ბახტურიძე, მამუკაშვილი, ხიდაშელი, ძარია, თარხნიშვილი (თექთუმანიძე 50), ტყეშელაშვილი (ვ. კვარაცხელია 46), მ. ლონლაძე (მედოევი 62), გოგოხია<br>სათადარიგონი: ქვილითაია, ივანაშვილი, დათუნაშვილი, ქორიძე<br>მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი |
| გაფრთხილება: მამუკაშვილი (24), ბოლქვაძე (33), გრიშიკაშვილი (45), ქავთარაძე (45), კვარაცხელია (64), ჯიუსი (75), ლომიძე (82), მედოევი (86) | |
| მსაჯები: პ. დოგრაშვილი, დ. სანოძე, ზ. ბერულავა, ჯ. ბუიშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. ორდინიძე; დირექტორი: დ. ფრანგიშვილი | |

# მოგეცადათ...

## ბორჯომმა მეგრელაძე გამოარჩინა

**მიხეილ ჟორჟოლიანი ბორჯომიდან**

**ნამატჩევს** ვლადიმერ ხაჩიძემ პრესკონფერენციაზე თქვა, გიორგი მეგრელაძის განაცხადში შეყვანა მატჩის წინა საღამოს ძლივს მოვასწარითო, რაზეც კობა ჟორჟიკაშვილმა მწარე ხუმრობით უპასუხა — რა გეჩქარებოდათ, ცოტა მოგეცადათო...

ბორჯომელებს რომ მოეცადათ, „სპარტაკს“ იქნებ არც წაეგო — კურორტელებმა სწორედ მეგრელაძის დუბლით მოიგეს.

საქართველოში დაბრუნებულმა თავდამსხმელმა „ბორჯომის“ პირველივე შეტევა გოლად აქცია — ირაკლი ჩირიკაშვილის კუთხურს მეგრელაძე წინა ძელთან ჩაუსაფრდა და ბესიკ კოდალაევს თავით გაუტანა — 1:0.

საერთოდ, პირველი ტაიმი უკეთესი სანახავი გამოდგა. მართალია, მომენტები წამდაუწუმ არ იქმნებოდა, თუმც ფეხბურთელები რაღაცას მაინც ახერხებდნენ. ოდნავ უკეთ ბორჯომელები გამოიყურებოდნენ, რაც ცენტრში ჩირიკაშვილის აქტიურობის შედეგი იყო.

მე-12 წუთზე გიორგი ქავთარაძემ საჯარიმოს გარედან გაისროლა, კოდალაევი ბურთს თითებით მისწვდა და კუთხურზე გადააგდო.

„სპარტაკში“ ყველაზე გამორჩეული გიორგი ხიდაშელი იყო. მან ჯერ გიორგი ტყეშელაშვილი დატოვა კარგ პოზიციაში, მაგრამ ამან ვერ ივარგა, შემდეგ კი თავად დაარტყა 30 მეტრიდან და ოდნავ ააცილა.

სანამ ცხინვალელები ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, „ბორჯომმა“ მეორე გაიტანა — 36-ე წუთზე კამერუნელმა დონალდ ჯიუსმა საჯარიმოში ბოლომდე იბრძოლა და მსაჯს პენალტი დასტყუა, რომლის გატანა მეგრელაძეს არ გასჭირვებია.

ეს იყო ამ მატჩში პირველი და ბოლო გატანილი თერთმეტმეტრიანი, რომელიც შემდეგ ფეხბურთელებმა კიდევ ორჯერ დაარტყეს.

45-ე წუთზე გიორგი გუგავას ბურთის ამოტანა სურდა, მამუკა ლონლაძემ კარგად დაუფარა, საჯარიმოში შევიდა და გრიშიკაშვილთან ორთაბრძოლისას წაიქცა, მსაჯმა ამჯერადაც მიუთითა პენალტის ნიშნულისკენ — თორნიკე თარხნიშვილის დარტყმული „დინამოს“ მაისურიანმა გრიშიკაშვილმა მოიგერია. თუმც მსაჯმა ბორჯომელებს გახარება არ აცალა და „სპარტაკს“ პენალტის გამეორება მოსთხოვა, მართალიც იყო — თარხნიშვილის დარტყმამდე ქავთარაძე საჯარიმოში შევიდა. დარტყმა ამჯერად ირაკლი ძარიამ ითავა, მაგრამ გრიშიკაშვილის კარი ძელმა იხსნა.

მეორე ტაიმმა მომენტებით მშვიდ, თუმც ნერვიულ ვითარებაში ჩაიარა, ხშირი იყო კინკლაობა, კამათი, მაგრამ საქმე შორს არ წასულა.

„ბორჯომს“ მატჩის ბედის გადაწყვეტა 48-ე წუთზე შეეძლო — ჯიუსი მარცხნიდან კარგად შევიდა საჯარიმოში და მეკარის ბაქანზე დავით გოგიჩაიშვილს უპასა, მან კი ბურთს ფეხი ააცილა.

ორ წუთში ძარიას აული გრიშიკაშვილმა, თუმც ცხინვალელმა თავისი მაინც გაიტანა — 68-ე წუთზე საჯარიმოში ნუკრი გოგოხიამ ჩააწოდა და ძარიამ ბურთს ფეხი პირველივე შეაგება — 1:2.

„ბორჯომს“ დაღლა დაეტყო და ყრუ დაცვაში ჩაჯდა, თითქოს ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ ცხინვალელები ანგარიშს გაათანაბრებდნენ, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოცდილება არ ეყოთ და შინ უქულოდ დაბრუნდნენ.

### პრესკონფერენცია

*კობა ჟორჟიკაშვილი:* საინტერესო და დაძაბული თამაში იყო. წაგებას არ ვიმსახურებდით. სწრაფი გოლი გავუშვით, რასაც მოგონილი პენალტი მოჰყვა. მსაჯებზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ დღეს მათი ქმედება კრიტიკას იმსახურებს. არ ვართ ის გუნდი, სხვებზე ერთი თავით მაღლა ვიდგეთ და მეტოქეებთან ერთად, მსაჯებსაც მოვუგოთ.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ზოგი ფეხბურთელის გვარ-სახელიც არ ვიცი. მეგრელაძის საკითხიც ბოლო წამს მოვაგვარეთ. თამაში სწორედ მისით და გრიშიკაშვილით მოვიგეთ — გამოცდილებამ თავისი გააკეთა. სხვა კომპონენტში მეტოქეს ვერ ვაჯობეთ. რაც შეეხება პენალტს, ეგრე ჩვენს კარშიც საეჭვოდ დაინიშნა.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 15 ტური



ლუკა რაზმაძის საგოლე თავური

დავით კეთილაძის ფოტო

# ვიტ ჯორჯიას სვლა: ორიდან ორი

თბილისი. 1 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 500 მაყურებელი

## ლოკომოტივი 0:1 ვიტ ჯორჯია

| | |
|---|---|
| 0:1 რაზმაძე (80) | |
| ლოკომოტივი: მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა, გულორდავა (გილაური 70), გ. კვახაძე, ზ. ჩხეტიანი, ქუცურუა, ბარბაქაძე (წულაძე 58), ალავერდაშვილი (დ. ჩაგელიშვილი 46)<br>*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი, კაჭახიძე, შალიკაშვილი, ნიკოლაიშვილი<br>მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბექვაია, დ. ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, გ. მელქაძე (პ. დათუნაიშვილი 88), კლიმიაშვილი, ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 73), სახოკია (ლიპარტია 60)<br>*სათადარიგონი:* ღურწელეიშვილი; ყველაშვილი, ინჯგია, ბ. ცხადაძე<br>მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე |
| გაფრთხილება: ბარბაქაძე (20), ალავერდაშვილი (36) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. ფიფია, დ. კვეტენაძე, ა. კრიჭაშვილი | |

**ილია ნანობაშვილი**

**სანამ** მატჩი დაიწყებოდა, ფეხბურთიდან საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე დავით გვარამაძე გააცილეს, ვინაც ბოლოს სწორედ „ლოკომოტივში“ თამაშობდა, ახლახანს კი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში მეკარეების მწვრთნელად დაინიშნა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ „კოშკას“ სუვენირები გადასცა.

ახლა თამაშზე, რომელშიც „ვიტ ჯორჯია“ ფავორიტი იყო და ძნელად, მაგრამ მაინც ეწია 3 ქულას.

საწყის 20 წუთში ვიტელმა ვასილ ლუჭაშვილმა და ვაკელმა გიორგი ალავერდაშვილმა გააფუჭეს ნახევარმომენტები, მერე კი, რაც დრო გადიოდა, სტუმართა უპირატესობა იკვეთებოდა.

ჰქმნიდა ხიფათს თუ არა, „ვიტ ჯორჯიას“ „ლოკომოტივი“ საკუთარ ნახევარზე ჰყავდა გამოკეტილი.

ხიფათი კი, აბა, როგორ? ნესტორ მუმლაძის გუნდი ცოტა ქაოსურად უტევდა, ბოლო სტადია ფლანგიდან ჩაწოდება იყო და ამას კი უმკლავდებოდნენ მასპინძლები.

მინდვრის ცენტრში გიორგი დათუნაიშვილი და გიორგი მელქაძე გაბატონდნენ, „ლოკომოტივი“ კი, რაღაც ისე ჩანდა, თავიდანვე 0:0-ზე თამაშობდა, წინ, ფაქტობრივად, არ მიდიოდნენ — ერთი-ორჯერ კონტრშეტევის საშუალება მიეცათ, მაგრამ სისწრაფე აღარ ჰყოფნიდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისში ირაკლი კლიმიაშვილის წაქცევისთვის სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, იგივე განმეორდა მოგვიანებით ჯაბა ლიპარტიას შეჭრის შემდეგ. თუმცა ვიტელებს პენალტი არ დასჭირვებიათ — მარცხენა ფლანგზე დანიშნული ჯარიმა ეყოთ: ეს მე-80 წუთზე მოხდა, როცა აქტიურმა ლიპარტიამ თვითონ მოინადირა ჯარიმა, ჩააწოდა და ლუკა რაზმაძეს თავურ დარტყმაში ვერავინ შეუშალა ხელი.

არადა, ამ გოლამდე იყო, „ლოკომოტივის“ გიორგი ქუცურუამ შორიდან რომ დაჰკრა მაღალ კუთხეში და გრიგოლ ბედიაშვილმა კუთხურზე გადააგდო ბურთი.

რაზმაძის გატანილის შემდეგ კი ვაკელებს არც ილაჯი შერჩათ გასათანაბრებლად და არც დრო.

„ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებს...

# ოლიმპის სიახლე იმედაძეა



**რუსთავის** „ოლიმპმა“ გია იმედაძე დაიმატა და ორშაბათს საჩემპიონატო-სათასო განაცხადშიც შეიყვანს. გამოცდილი ფორვარდი ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში“ თამაშობდა, თუმცა არცთუ შედეგიანად.

იმედაძეს კარიერაში ბევრი კლუბი გამოუცვლია, მათ შორის, უცხოურებიც: სიმფეროპოლის „ტავრიასა“ და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ უთამაშია.

**ილია ნანობაშვილი**

ზესტაფონი. 1 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 2 000 მაყურებელი

## ზესტაფონი 4:1 მესხეთი

| | |
|---|---|
| 1:0 ბიტოო (41), 2:0 იონანიძე (48), 2:1 სამადაშვილი (54), 3:1, 4:1 იონანიძე (56, 89) | |
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, ე. საჯაია, უ. ლობჟანიძე, რ. ონიანი, ვიეირა (ხიდეშელი 63), კესანი, ნ. კვასხვაძე, დაუშვილი (იონანიძე 46), ბიტოო, ბ. გოცირიძე (ხუმარაშვილი 82)<br>*სათადარიგონი:* გ. ჭანტურია, შ. ლონლაძე, დ. ჯანელიძე, ჟონატასი<br>მწვრთნელი: ავთანდილ ნარიაშვილი | მესხეთი: სომხიშვილი, რაქვიაშვილი, ლ. მერებაშვილი, გ. ნადირაშვილი, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, გვირჯიშვილი, კოშკაძე, ინასარიძე (მუშკუდიანი 73) თედიაშვილი (თ. ლონლაძე 59), სამადაშვილი (ი. კიკნაძე 64)<br>*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, სუდაძე, ი. თაყაძე<br>მწვრთნელი: კობა თედიაშვილი |
| გაფრთხილება: თედიაშვილი (10) | |
| მსაჯები: ლ. სილაგავა, კ. ბერაძე, ს. სპიცინი, კ. ჭაჭუა | |
| დამკვირვებელი: ა. ბაჩუკაშვილი; დირექტორი: ვ. ქორიძე | |

# იონანიძე-იონანიძე-იონანიძე, ბიტოო-ბიტოო-ბიტოო...

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**თავიდან** ის ვთქვათ, რომ მატჩის დაწყებამდე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ზესტაფონის „მეტალურგის“ ყოფილ პრეზიდენტ ნუგზარ მდივანის ხსოვნას.

იმერულ კლუბს პირველად უთავკაცა მეორე მწვრთნელმა ავთანდილ ნარიაშვილმა — გეცოდინებათ, თემურ მახარაძეს დედა გარდაეცვალა და ზესტაფონში ვერ ჩავიდა.

პირველი ტაიმი კარგი სანახავი ვერ გამოდგა, მეორე ნახევარს კი ნამდვილად შეეხედებოდა.

მე-6 წუთზე ედიკ საჯაიამ მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი, თუმც შეცდომა მალევე გამოასწორა, ბურთი ბექა გოცირიძეს გადააწოდა, შეტევაში ჩაერთო და ბექამაც პასი არ დაუგვიანა — საჯარიმოში შესულმა საჯაიამ კარში დარტყმა მოახერხა, გიორგი სომხიშვილმა მოიგერია, მაგრამ ჟილვან ვიეირას შეეძლო დამატება და... ფეხი დაუცდა...

ახალციხის „მესხეთი“ პირველ წრესთან შედარებით სუსტად გამოიყურებოდა. პირველ 45 წუთში ახალციხელებმა მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს „ზესტაფონის“ კარის დარაჯი როინ კვასხვაძე, მას კობა ხანიშვილის შორეული დარტყმის აღება არ გასჭირვებია.

აქვე გეტყვით, რომ გუნდის კაპიტანი გრიგოლ ჭანტურია სათადარიგო გახლდათ და „ზესტაფონს“ პირველად უკაპიტნა როინ ონიანმა.

მასპინძლებმა ტაიმის მიწურულს გახსნეს ანგარიში — მარჯვენა ფრთაზე კარგად გაისარჯა ნიკა კვასხვაძე, საჯარიმოშიც ჩააწოდა, იქ კი ტანმორჩილმა ეტიენ ბიტოომ ყველას დაასწრო და თავით შეაგდო.

მეორე ნახევარში ნარიაშვილმა იღბლიანი შეცვლა გააკეთა და ზურაბ იონანიძე გამოიყვანა — „იონას“ ბურთთან პირველივე შეხება გოლით დასრულდა. მარცხენა ფრთაზე ბიტოომ იაქტიურა და საჯარიმოში ბურთი გოცირიძეს მიაწოდა, მან მეკარის მოტყუება შეძლო, მაგრამ დაეცა. იქვე გაჩნდა იონანიძე და, აბა, ასეთ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა — 2:0.

„მესხეთმა“ მალევე შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა. საჯაიამ საჯარიმოსთან ახლოს გაუმართლებლად დაკარგა ბურთი, დავით ინასარიძემ ამით ისარგებლა, თავისუფლად შევიდა საჯარიმოში და უმეთვალყურეოდ მიტოვებული გურამ სამადაშვილი მოძებნა, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია.

იონანიძემ ორ წუთში ორბურთიანი სხვაობა ისევ აღადგინა, საგოლე გადაცემა ბიტოომ გაუკეთა, მატჩის მიწურულს კი ჩვენი ჩემპიონატების მთავარმა მეგოლემ ჰეთ-თრიქი შეასრულა — პასი კი ისევ და ისევ ბიტოოს ანგარიშზეა.



ზურაბ იონანიძეს საჰეთთრიქოდ 45 წუთიც ეყო

მალხაზ ახლედიანის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა II წრე. 15 ტური



დავით დევდარიანი (შუაში) „ბათუმთანაც“ გამოირჩა

# დავითიც ის იყო და გოლიათიც

**ილია ნანობაშვილი რუსთავიდან**

რუსთავი. 2 მარტი. 15 საათი. ფოლადი. 2 000 მაყურებელი

### ოლიმპი 1:0 ბათუმი

1:0 დევდარიანი (43)

**ოლიმპი:** შეყრილაძე, მგელაძე, მახვილაძე, სილაგაძე, ხუბუა (გ. რეხვიაშვილი 86), გეწაძე, ჭიჭველიშვილი (ორბელაძე 10), ომელიანოვი, სტეფანიშვილი, დევდარიანი (ჯოჯუა 62), გაბედავა
სათადარიგონი: კალანდაძე; გ. იაშვილი, სებისკვერაძე, ყრუაშვილი
**მწვრთნელი:** ანატოლი პისკოვეცი

**ბათუმი:** სტურუა, ვ. კუნჭულია, კ. მახარაძე, თედორაძე, მაკარიანი (ტულუში 85), ზ. ქუთათელაძე, გ. თურმანიძე, ქებაძე, ცანავა (ფარტენაძე 73), ბეჟანიძე (დ. მახარაძე 77), გ. ჩხეტიანი
სათადარიგონი: თოთლაძე; გალოგრე, ა. ბაჟელიძე, ბ. მახარაძე
**მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია

**გაფრთხილება:** ცანავა (26), კუნჭულია (58), ჯოჯუა (79), გაბედავა (90)

**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ელიკაშვილი, თ. გვანცელაძე

**დამკვირვებელი:** ო. კორლალიძე

**დავით დევდარიანმა** მორიგი „მასტერ კლასი“ ჩაატარა და ეული გოლით გადაწყვიტა მატჩის ბედი: 43-ე წუთი იყო, 20 წლის ნახევარმცველმა საჯარიმოს მისადგომებთან ერთი ფინტით ბათუმელი მცველი რომ ჩამოიშორა და ზვიად სტურუას კარის ცხრიანში გააქანა ბურთი. დევდარიანი ამ სეზონის უდავო აღმოჩენაა და ვინც იტყვის, საქართველოს ჩემპიონატში კარგი ფეხბურთელები არ იზრდებიანო, წლების მერე თავისი ნათქვამი, ეგებ, მწარედ გაახსენდეს. შესაძლოა, წლები არც დასჭირდეს — კონკრეტულად დევდარიანი ძალიან სწრაფად პროგრესირებს...

გოლშიც არ არის საქმე: სანამ დევდარიანი მინდორზე იყო, თამაშს სხვა ეშხი ჰქონდა. მისი აზრიანი პასები და დრიბლინგები თვალსასეირო იყო, თანაც, დავითი მთლად ჯანზე ვერ იყო და ამიტომაც ითხოვა შეცვლა — ეს ნამატჩევს „ოლიმპის“ თავკაცმა ანატოლი პისკოვეცმაც აღნიშნა.

ისე, „ოლიმპი“ რაღაც მოდუნებული თამაშობდა, აშკარა იყო, რომ „დინამოსთან“ ლამაზი მოგების შემდეგ აუტსაიდერ „ბათუმის“ ადვილად დაჩოქების იმედი ჰქონდა. წარმოიდგინეთ, მეორე ნახევარში ბურთს მეტწილად ზღვისპირელები ფლობდნენ და შეტევაში ფხა რომ გამოეჩინათ, ვინძლო ქულაც წაეღოთ შინ. ყოფილი ოლიმპელი ლევან ქებაძე გამორჩეული იყო სტუმართაგან, ბევრს მოძრაობდა და კარში დასარტყმელ ლრიჭოებს ეძებდა, თუმც მხოლოდ ერთხელ ააფორიაქა ბექა შეყრილაძე — საჯარიმოს გარედან ეფექტურად გაისროლა და მეკარემ კუთხურზე გადააგდო ბურთი.

ბათუმელთა შეტევები ეგებ გამწვავებულიყო, კახა მახარაძეს თავის პოზიციაზე რომ ეთამაშა, თუმც იგი ცენტრალურ მცველად დააყენეს. აქვე ვთქვათ, რომ სტუმართა დაცვასაც არ ჰქონია ბევრი საქმე, „ოლიმპს“ წინა ხაზზე მხოლოდ უკრაინელი ალექსანდრ ომელიანოვი ჰყავდა, ვინაც მხოლოდ ერთი თავურით დაგვამახსოვრა თავი. აკი, პისკოვეცმა ერთხელ ჰკითხა კიდეც თანამემამულეს, ხომ არ დაიღალეო. მანაც, არაო, უპასუხა და მწვრთნელმაც ფიცხად დაუყვირა — მაშინ, იბრძოლე, რას დამდგარხარო.

კიდევ რა არის აღსანიშნავი და, გელა ხუბუას პირისპირ გასვლა სტურუასთან, რომელიც ოდნავ უზუსტო დარტყმით დამთავრდა. ასევე რევაზ გეწაძის დრიბლინგი, თავისი საჯარიმოდან რომ წაიღო ბურთი, ხუთ-ექვს ბათუმელს გასცდა და ბოლო მაინც წაართვეს.

### პრესკონფერენცია

ავთანდილ კუნჭულია: „ოლიმპი“ ძლიერი გუნდია და მასთან წაგება არ არის სათაკილო, მაგრამ მაინც შეგვეძლო ქულის აღება. რაც შეეხება გოგი ფიფიასა და გიორგი ჭელიძის „ბათუმში“ ჩამოსვლის საკითხს, ჩვენ მზად ვართ მათ ასაყვანად, მაგრამ ფეხბურთელებს „ზესტაფონთან“ რაღაც აქვთ გასარკვევი.

ანატოლი პისკოვეცი: ველოდი კიდეც, რომ „დინამოსთან“ სასახელო მოგების შემდეგ ჩემი გუნდი ისე ძლიერად ვერ ითამაშებდა. დააკვირდით ჩვენს ნახევარდამცველებს — ისინი მომავალში კარგ ფეხბურთს ითამაშებენ, ჯერჯერობით კი ოსტატობა არ ჰყოფნით...

— საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს „ოლიმპის“ რომელ ფეხბურთელებზე გაუწევდით რეკომენდაციას?

— ვფიქრობ, მირზა მერლანი ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა ჩვენს ჩემპიონატში; მცველი მიხეილ მახვილაძეც გამორჩეულია თავის ამპლუაში. ნიკა სტეფანიშვილიც უფრო მოუმატებს. გვყავს კარგი ახალგაზრდებიც: 21-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი უკვე მელაპარაკა დევდარიანზე, ასევე კარგი ახალგაზრდაა რეხვიაშვილი, რომელიც დღეს შეცვლაზე ვათამაშე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 13 | 0 | 2 | 38:7 | 39 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 12 | 1 | 2 | 28:9 | 37 |
| ზესტაფონი | 15 | 12 | 1 | 2 | 31:9 | 37 |
| ოლიმპი | 15 | 9 | 3 | 3 | 16:9 | 30 |
| ბორჯომი | 15 | 8 | 4 | 3 | 19:11 | 28 |
| ამერი | 15 | 8 | 1 | 6 | 24:17 | 25 |
| მესხეთი | 14 | 6 | 2 | 6 | 16:21 | 20 |
| მგლები | 14 | 6 | 0 | 8 | 15:19 | 18 |
| სიონი | 15 | 5 | 3 | 7 | 19:19 | 18 |
| მერანი | 15 | 4 | 1 | 10 | 8:24 | 13 |
| სპარტაკი | 15 | 3 | 3 | 9 | 6:18 | 12 |
| ლოკომოტივი | 15 | 3 | 1 | 11 | 9:23 | 10 |
| დილა | 15 | 1 | 4 | 10 | 7:26 | 7 |
| ბათუმი | 15 | 1 | 2 | 12 | 5:29 | 5 |

# ჭელიძე როსტოვში გოლით გამოჩნდა

**მოსკოვის** „ლოკომოტივიდან“ წასულმა გიორგი ჭელიძემ თავი ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს“ შეაფარა, თუმცა მოულოდნელად... როსტოვის სკა-ში გამოჩნდა.

სკა-მ კი საკონტროლო მატჩი გამართა და ლატვიურ „დინაბურგს“ 5:0 მოუგო. „პაჭელომ“ 53-ე წუთზე პენალტი გაიტანა, ერთ წუთში კი შეცვალეს.

ლატვიური გუნდის შემადგენლობაში ბაქარ გიორგაძემ ითამაშა, შოთა ბაბუნაშვილი კი დაასვენეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# იაშვილმა გატეხა!



**პირველი** ბუნდესლიგური გოლი გაიტანა „კარლსრუეს“ მაისურით ალექსანდრე იაშვილმა.

ამ უქმეებზე „კარლსრუე“ შინ „ვოლფსბურგს“ დაუხვდა და 3:1 მოუგო, რაშიც ჩვენებურის წვლილი დიდია.

„იაშკამ“ 1:1-ზე ჯოშუა კენედის უპასა საგოლედ და „კარლსრუე“ დაწინაურდა, მატჩის ბოლოს კი მასპინძლებმა „მგლები“ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს და იაშვილმაც ნავსი გატეხა.

ამ მოგებით „კარლსრუემ“ ლევან კობიაშვილის „შალკეს“ გადაასწრო, რომელიც შინ 0:1 დამარცხდა მიუნხენის „ბაიერნთან“.

ჩვენებური, „ხუმარების“ წაგებას თვალს სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ესპანეთმა დარბაზის საქართველო გაანადგურა

**ესპანეთი 13:1 საქართველო**

**ესპანეთი:** ამადო, კიკე, ალვარო, ბორხა, მარსელო, ვერნერი, ორტისი, ტორასი, ანდრეუ, როდრიგესი, ხუანრა
**გოლები:** მარსელო (3), როდრიგესი (3), ანდრეუ (2), ბორხა (2), ვერნერი, ორტისი, კიკე
**საქართველო:** ზაქაიძე, კუბლაშვილი, დარჩია, ასათიანი, ცნობილაძე, ბოკერია, ნეფარიძე, ზოიძე, ოსეფაშვილი, იოსებაძე
**გოლი:** ნეფარიძე

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრები ხორვატებთან და ესპანელებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშობს.

ჩვენებმა პირველი მატჩი ევროპის ჩემპიონ და ჯგუფის ფავორიტ ესპანელებთან გამართეს. ქართველებმა მასპინძლებს წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს — ესპანელები მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და ზაქაიძის კარში გოლი გოლზე გაჰქონდათ. საბოლოოდ ქართველები 1:13 დამარცხდნენ.

ჩვენებს ბოლო მატჩი ხორვატებთან აქვთ ჩასატარებელი...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ორი აზერგოლი

**ორი** ქართული გოლი გავიდა აზერბაიჯანის ჩემპიონატი და ორივე გამარჯვებისა აღმოჩნდა.

„ამერიდან“ „სიმურგში“ ახლახან გადაბარგებულმა დავით ბოლქვაძემ ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა. ზაქათალელებმა სტუმრად 2:1 სძლიეს თურანის „ტოვუზს“ — ჩვენებურმა მეორე გოლი შეაგდო.

თავისი გუნდის მესამე გოლი გაიტანა გიორგი ადამიამ, მისმა „ნეფთჩიმ“ კი სტუმრად 3:2 მოუგო გილანის „გაბალას“.

ადამიამ 90-ე წუთზე პენალტით გამოიჩინა თავი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ელიავა პასუხს ელის

**მომავალ** უქმეებზე რუსული პრემიერლიგა იწყება და ჯერჯერობით გადაუწყვეტელია, იქ მოთამაშე ქართველებს შეემატება თუ არა ზაალ ელიავა, რომელიც ლატვიური „სკონტოს“ საკუთრებაა და პერმის „ამკარში“ ისინჯება.

შაბათს „ამკარი“ ქართველებით სავსე მახაჩყალის „ანჟის“ შეხვდა და 1:0 მოუგო. ელიავამ სრულად ითამაშა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
პირველი ლიგა 16 ტური

**აღმოსავლეთი**

გაგრა 0:3 დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2 1:2 კახეთი
დღეს
ნ.დინ-მერანი 2 — ოლიმპი 2
ამერი 2 — ოლიმპიკი
ხვალ
მეშაქრე — ჩიხურა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 16 | 10 | 4 | 2 | 37:26 | 34 |
| დინამო 2 | 16 | 9 | 4 | 3 | 27:14 | 31 |
| მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 16 | 7 | 4 | 5 | 24:15 | 25 |
| ჩიხურა | 15 | 7 | 3 | 5 | 28:23 | 24 |
| ოლიმპი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:15 | 21 |
| კახეთი | 16 | 6 | 3 | 7 | 26:26 | 21 |
| ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:26 | 17 |
| ოლიმპიკი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:29 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 15 | 0 | 2 | 13 | 14:46 | 2 |

**დასავლეთი**

ხობი 2:0 მარტვილი
ტორპედო 1:3 კოლხეთი
ფაზისი 0:3 სამტრედია
დღეს
მაღაროელი — ზესტაფონი 2
მეშახტე — უნივერსიტეტი
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 15 | 13 | 2 | 0 | 35:10 | 41 |
| მარტვილი | 16 | 8 | 3 | 5 | 21:14 | 27 |
| მეშახტე | 15 | 9 | 0 | 6 | 27:25 | 27 |
| ტორპედო | 15 | 7 | 4 | 4 | 26:19 | 25 |
| კოლხეთი | 16 | 6 | 5 | 5 | 20:19 | 23 |
| ზესტაფონი 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 20:12 | 20 |
| ხობი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:21 | 17 |
| უნივერსიტეტი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:16 | 15 |
| ფაზისი | 16 | 2 | 2 | 12 | 17:40 | 8 |
| სამტრედია | 15 | 2 | 2 | 11 | 14:35 | 8 |

QUARTZITE

# იტალიაში საფრანგეთის გავლით თვრამეტწლამდელებმა მინიმუმი იციან

**საქართველოს** ნაკრები ერთა თასზე რომ ჩაუქობს და მეტოქეს მეტოქეზე ანგრევს, მომდევნო მატჩს 29 მარტს სტუმრად ჩეხეთთან გამართავს. მანამდე კი ჩვენი 18-წლამდელები მოილევენ ევროპის ჩემპიონატს და შეეცდებიან, ელიტაში ადგილი შეინარჩუნონ. ეს ჩვენების მინიმუმია, რადგან თუ ქართული რაგბის ბოლოდროინდელ პროგრესს გავითვალისწინებთ, გამორიცხული არაა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ხუთეულშიც მოხვდეს.

შარშან ჩვენები ელიტარული რვაგუნდა ევროპის ჩემპიონატზე მე-5 ნომრად იყვნენ განთესილები, საბოლოოდ კი მე-6 ადგილზე გავიდნენ. ქართველები ჯერ ირლანდიასთან დამარცხდნენ 0:27, მერე პორტუგალიას 17:8 მოუგეს და მეხუთე ადგილისთვის რუმინეთთან 7:10 წააგეს. მაშინ 18-წლამდელებს ლევან მაისაშვილი, ბადრი ბოხუა და ნიკო ჭავჭავაძე წვრთნიდნენ. წლეულს კი ლევან მაისაშვილი და ნიკო ჭავჭავაძე 20-წლამდელთა ნაკრებში დაწინაურდნენ, ჭაბუკები კი ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა ყოფილმა მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა და აკადემიელმა ზურაბ ამონაშვილმა ჩაიბარეს.

18-წლამდელთა წლევანდელი ევრორაგბობა 14-23 მარტს იტალიურ ვენეტოში ჩატარდება. რვა ელიტარული ნაკრები შარშანდელი შედეგებით თანმიმდევრულად განითესნენ: საფრანგეთი, ირლანდია, ინგლისი, იტალია, რუმინეთი, საქართველო, რუსეთი, ესპანეთი.

რადგან ევროპის ჩემპიონად სწორედ რვეულის გამარჯვებული ცხადდება, ტურნირის ფორმატით, გუნდები ეგრევე მეოთხედფინალში დაწყვილდნენ. კენჭისყრით ჩვენები პირველ მატჩს სარაგბო გრანდ ინგლისთან გამართავენ. ცხადია, უდიდესი სენსაცია იქნება, თუ ქართველები ინგლისელებს მოუგებენ და აქედანვე შევეგუოთ, რომ პლეი ოფში კი არა, პლეი აუტში მოუწევთ ბრძოლა. მეოთხედფინალში გამარჯვებულები ნახევარფინალში დაწყვილდებიან, დამარცხებულები კი ქვემო ოთხ ადგილს ერთმანეთში გაითამაშებენ, ელიტარული ჯგუფიდან ბოლოადგილოსანი ვარდება.

საამტურნიროდ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები გუშინ გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც ათდღიან შეკრებას ფრანგული რაგბის გრანდ „კლერმონის" საწვრთნელ ბაზაზე გაივლის და ამ კლუბის ახალგაზრდულ გუნდებთან სპარინგ-მატჩებს გამართავს. ჩვენების შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ლეგიონერია, საქართველოს ნაკრების სტაჟიანი მორაგბის პალიკო ჯიმშელაძის დისშვილი, გიორგი ჯიმშელაძე, ვინც ფრანგული „ორიიაკის" სარაგბო სკოლის გაზრდილია. ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია:

***შერკინება*** *— გიორგი გაბელია, ბაჩანა კოლელიშვილი, გიორგი ჭყოიძე, ვასილ კვერნაძე (ყველა ლელო), თორნიკე ლომიძე, მიხეილ ნარიაშვილი, დავით ლოსაბერიძე, ლევან თხელიძე (აია), დავით ბარბაქაძე, შალვა მამუკაშვილი (ყოჩები), ზვიად ესართია, კოტე მიქაუტაძე, რევაზ ჟღენტი (არმაზი), ერეკლე მეტრეველი (ჯიქები);*

***უკანა ხაზი*** *— ჯიმი ლამბაშიძე, ანზორ ხიპაშვილი, უშანგი მჭედლიშვილი (ლელო), გიორგი წეველიძე (უნივერსიტეტი), გიგა სინაურიძე, ზურაბ გოგლიჩიძე, გიორგი ონიანი, გიგა მშვენიერაძე (აია), გიორგი ჯიმშელაძე (ორიიაკი), გიორგი მარგიანი (აკადემია), ვანო გაბროშვილი (პატარძეული), ბექა ჭაბუკიანი (ჯიქები).*

ერთიც, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს თან გაჰყვა ეროვნული ნაკრების ავსტრალიელი მწვრთნელი ტიმ ლეინი. იგი ჩვენს ჭაბუკებსა და მწვრთნელებს რჩევებით დაეხმარება.

**ბაჩო სვანიძე**



საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ტიმ ლეინიც გაჰყვა

**მეოთხედფინალი. 16 მარტი**

საფრანგეთი — ესპანეთი
ირლანდია — რუსეთი
ინგლისი — საქართველო
იტალია — რუმინეთი

# რუსები წამოგვეწივნენ! დათვებმა მგლები დატორეს

**ერთა თასი 2007-08**

**რუსეთი 41:26 პორტუგალია**

**რუსეთი: ნლ: კუზინი (2), გვოზდოვსკი (2), მარჩენკო; 2გ: მოტორინი, ი. კუშნარიოვი; 4ს: მოტორინი**
**პორტუგალია: 2ლ: კორეირა, მირა; 2გ: გარბალი; 4ს: გარბალი**

**რუსეთის** ნაკრებმა ერთა თასის მატჩში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში დასცა მეტოქე. შეხვედრა კრასნოდარში გაიმართა. შეიძლება ითქვას, რომ „დათვები" თამაშში დომინირებდნენ, მაგრამ იყო მომენტები, როცა მასპინძლებს აშკარად უმართლებდათ.

პირველი ტაიმი რუსებმა 24:13 მოიგეს. მთელი 80 წუთის განმავლობაში სამხრეთელი „მგლები" ჯიუტად ცდილობდნენ ანგარიშში სხვაობის შემცირებას, რაც გამოსდიოდათ კიდეც. მატჩი ბოლომდე ინარჩუნებდა ინტრიგას, მით უმეტეს, რომ პორტუგალიელები შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე განსაკუთრებით მიეძალნენ მასპინძლებს და სალელოვე შანსიც ჰქონდათ, მაგრამ სწორედ ბოლო შეტევა ჩაუჭრეს „დათვებმა" და ლელოც გაიტანეს. იური კუშნარიოვის ზუსტმა გარდასახვამ კი საბოლოო ანგირიში დააჯამა.

რუსები ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებს მიუახლოვდნენ ქულებით. სათქმელია ისიც, რომ განსაკუთრებით მეორე ტაიმში ჩვენს მეზობლებს დაცვაში პრობლემები შეექმნათ. კლოდ სორელს გუნდში ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი.

**ზურაბ მიგრიაული**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| რუსეთი | 6 | 5 | 0 | 1 | +95 | 10 |
| რუმინეთი | 7 | 4 | 0 | 3 | +62 | 8 |
| ესპანეთი | 7 | 3 | 0 | 4 | +17 | 6 |
| პორტუგალია | 7 | 3 | 0 | 4 | -7 | 6 |
| ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -313 | 0 |



2005 წლის ევროპის 20-წლამდელთა ჩემპიონი საქართველოს ნაკრები

**მსოფლიოს თასი U-20. ჩილე. 15-23 აპრილი**

# ევროპის ჩემპიონების მსოფლიო დებიუტი

**15-27 აპრილს** ჩილეში, სანტიაგოში, 20-წლამდელთა მსოფლიოს თასი გაიმართება, სადაც საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს. აქამდე ამ ასაკში მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი ტარდებოდა, ახლა კი 20-წლამდელებზე შეფობა რაგბის საერთაშორისო საბჭომ (IRB) იკისრა და წლეულს პირველად გამართავს მსოფლიოს თასს.

ვთქვით, რომ აქამდე 20-წლამდელთა მხოლოდ ევროპის ჩემპიონატი იმართებოდა. 2005 წელს ლევან მგელაძის და დავით კაკაბაძის მწვრთნელობით ჩვენები ჩემპიონებიც გახდნენ. ახლა კი სადებიუტო მსოფლიოს თასზე ირაგბებენ.

ორგანიზატორებმა 16 გუნდი დაახარისხეს და ტურნირი ორ, A და B დივიზიონებად დაყვეს. A დივიზიონის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონად გამოცხადდება, B დივიზიონის მომგები ნაკრები კი მომავალ წელს ელიტაში დაწინაურდება. სამწუხაროდ, IRB-იმ გადაწყვიტა, რომ საქართველოს ნაკრები B დივიზიონში ითამაშებს, სადაც რვა ნაკრები ორ ჯგუფში გადანაწილდა.

ჯგუფში ჩვენები ურუგვაის, სამხრეთ კორეის და იამაიკის ნაკრებებთან მოხვდნენ. მეორე ჯგუფი კი მასპინძელმა ჩილემ, რუმინეთმა, ნამიბიამ და კუკის კუნძულების ნაკრებებმა შეკრეს.

ტურნირის ფორმატით ჯგუფური მატჩები წრიული სისტემით ჩატარდება. გამარჯვებისთვის 4 ქულაა, ფრისთვის — 2. წაგებული, ცხადია, უქულოდ რჩება. ერთ მატჩში 4 და მეტი ლელოს გამტანი გუნდი 1 პრემიალურ ქულას იღებს, 7 და ნაკლები ქულით წაგებისთვისაც 1 საბონუსო ქულაა დაწესებული. ჯგუფების პირველადგილოსნები ერთმანეთს დივიზიონის ფინალში ერაგბებიან და მხოლოდ გამარჯვებული დაწინაურდება ელიტაში.

საქართველოს ნაკრები ლევან მაისაშვილის და ნიკო ჭავჭავაძის მწვრთნელობით 27 თებერვალს შეიკრიბა და 7 მარტამდე თბილისში მოემზადება. აქამდე მწვრთნელებმა 55 მორაგბე გამოსცადეს და საუკეთესო 31 შეარჩიეს. საბოლოო 26-კაცა რაზმი კი 1 აპრილისთვის შეირჩევა. ჩვენი 20-წლამდელები ტულუზში წავლენ მსოფლიოს თასის წინა შეკრებაზე. ტულუზში საქართველოს ნაკრები 10 დღეს დარჩება და ორ სპარინგს გამართავს საფრანგეთის ჩემპიონატის მესამე-ლიგელ კლუბებთან.

ლევან მაისაშვილისა და ნიკო ჭავჭავაძის გაფართოებულ შემადგენლობაში ორი ლეგიონერია: ფრანგული კლუბების „მასის" „და „აჟენის" მორკინალები — არჩილ კობაური და დავით ჩიჩუა. სხვათა შორის, ჩიჩუა ახლახან პორტუგალიასთან მატჩის წინ, ეროვნული ნაკრების შეკრებაზეც იყო გამოძახებული.

**საქართველოს ნაკრების განრიგი**

15 აპრილი
**საქართველო — იამაიკა**
19 აპრილი
**საქართველო — ს. კორეა**
23 აპრილი
**საქართველო — ურუგვაი**

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები**

***შერკინება:*** *ვასილ კაკოვინი, ვლადიმერ გუნიავა (ორივე უნივერსიტეტი), გიორგი ტორაძე, ბექა სხულუხია, ირაკლი რევიშვილი (აია), ირაკლი მირცხულავა (დინამო), გიორგი ცირეკიძე, საბა ქართველიშვილი (არმაზი), გიორგი ჯაშიტაშვილი, ბექა ნიკოლაიშვილი, ვლადიმერ ჩოჩიშვილი (ყოჩები), ალექსი იორდანიშვილი, ვახტანგ მძინარიშვილი, ვიტო კოლელიშვილი (ლელო), არჩილ კობაური (მასი), დავით ჩიჩუა (აჟენი);*

***უკანა ხაზი:*** *ლევან გოგია, ბექა წიკლაური, ალექსი ტუჩაშვილი, რატი ნუცუბიძე, ვახტანგ კავთიძე (უნივერსიტეტი), გიორგი ჭინჭარაული, ლაშა ხმალაძე, გოგა კვირკველია, გოდერძი ჯოგლიძე (ლელო), გიორგი როხვაძე (აია), ჯაბა კიკვიძე (უგუნდო), დავით ბრძელიშვილი, ალექსანდრე ინაშვილი (ყოჩები), მიხეილ წიკლაური (რუსთავი)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შერმადინს ამერიკა ელის



*გიორგი შერმადინი დღეს ყველაზე პერსპექტიულ ქართველ კალათბურთელად ითვლება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ ზაფხულს ის ნბა-ში გადაბარგდება. ამაში მას ქართველი მენეჯერი ლევან მიქელაძეც ეხმარება, რომელმაც გიორგის შესახებ სტატია გამოგვიგზავნა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ. მასში მოკლედ არის მიმოხილული შერმადინით დაინტერესებული უცხოელების შეხედულებები.*

გიორგი შერმადინი კარიერის დაწყებისთანავე იპყრობდა ევროპელი თუ ამერიკელი მწვრთნელების, კლუბების, სკაუტების და აგენტების ყურადღებას.

ლუჩიანო კაპიჩიონიმ, რომელიც მსოფლიოს უმსხვილესი საკალათბურთო სააგენტო Interperformances-ის პრეზიდენტია, დიდი ინტერესი გამოთქვა, რომ გიორგი შერმადინის წარმომადგენელი გამხდარიყო. იგი, ასე ვთქვათ, თავისი „არმიით“ ჩამოვიდა ჯამლეტ ხუხაშვილთან მოსალაპარაკებლად. მან შერმადინის ვარჯიშის ყურების შემდეგ სპორტული რადიო „ჯაკოს“ პირდაპირ ეთერში თქვა: „საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეებით, რომლებსაც ყურადღებით ვადევნებდი თვალს. მე დღეს პირადად ვნახე, ასე ვთქვათ, საქართველოს მომავალი, რომლის მსგავსი ახალგაზრდაც 30 წელია, არ მინახავს. ჩემს სახელს უკავშირდება ლეგენდარული ევროპელი მოთამაშეების არვიდას საბონისის, ტონი კუკოჩისა, დრაჟენ პეტროვიჩის და ჟიდრუნას ილგაუსკასის NBA-ს კლუბებში მოხვედრა. ძალიან მიჭირს შედარების გაკეთება შერმადინსა და ჩემს მიერ ჩამოთვლილ მოთამაშეებს შორის, იმიტომ რომ მათ ერთად თამაში ველარ მოუწევთ, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ შერმადინი ილგაუსკასის წინაამდეგ ძალიან მალე ითამაშებს“.

თუმცა საბოლოოდ ხუხაშვილსა და კაპიჩიონის სააგენტოს შორის შეთანხმება ვერ მოხდა.

გიორგი შერმადინი ძალიან პოპულარული ხდება NBA-ს საზოგადოებაში და უკვე წერილი წერილზე იგზვნება „მაკაბის“ ოფისში ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ხუხაშვილისა და შერმადინისა არჩევანი კი მათ შორის საუკეთესოზე, wasserman Media Group-ზე შეჩერდა. თანამედროვეობის ყველაზე პოპულარულმა სპორტულმა მოღვაწემ და აგენტმა, ერნ ტელემმა, ხუხაშვილი და მისი მოსწავლე NBA All-Stars-ის მატჩზე მიიწვია, რომელიც ლას ვეგასში ჩატარდა 2007 წელს. შერმადინს არ გაუმართლა — მენისკმა შეაწუხა და დაუყოვნებლივ ოპერაცია გაიკეთა.

2007 წლის ზაფხულში გიორგი შერმადინი ჯერ კიდევ რეაბილიტაციის პროცესში იყო, მაგრამ მაინც ნაოპერციევი ფეხით ითამაშა ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, ასაკით ორი წლით დიდების წინაალმდეგ და მიუხედავად ამისა, მას საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში საუკეთესო სტატისტიკური მაჩვენებლები აღმოაჩნდა, დაფარებების რაოდენობით კი ევროპაში პირველ ადგილზე გავიდა.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ ჯამლეტ ხუხაშვილი არ გრძნობდა ისეთ ყურადღებას wasserman Media Group-ისგან, როგორითაც ადრე გამოირჩეოდა ეს კომპანია. ამის გამო „მაკაბისა“ და ამერიკულ სააგენტოს შორის ურთიერთობა შეწყდა. 2007 წლის ნოემბერში კი ლევან მიქელაძე დასახელდა გიორგი შერმადინის ოფიციალურ წარმომადგენლად.

გიორგი შერმადინის NBA-ს დრაფტზე გაყვანის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ 2006 წელს დაიწყო, ხოლო კონკრეტული ნაბიჯები, მიუხედავად ხუხაშვილის დაჟინებული მოთხოვნებისა, ყოფილი სააგენტოსგან არ იყო გადადგმული. მაშინ, როდესაც შერმადინის კონკურენტები ჯერ კიდევ 2007 წლის ზაფხულიდან ემზადებოდნენ დრაფტისთვის, გიორგი შერმადინის მარკეტინგული სტრატეგიები, დრაფტის წინა მოსამზადებელი პროგრამა და საერეკლამო კამპანია მხოლოდ 2008 წლის იანვარში დაიწყო. გიორგი შერმადინი გახდა ცნობილი სატრანსფერო კო მპანია Life Sports Management-ის კლიენტი, რომლის წარმომადგენლები არიან ტოდ რამასარი და ლევან მიქელაძე.

გიორგი შერმადინზე კვლავ ალაპარაკდა მსოფლიო საკალათბურთო საზოგადოება. იანვრის თვეში ტოდ რამასარის რეკომენდაციით თბილისს ეწვია „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ იტალიელი სკაუტი ჯეისონ ფილიპი. იტალიელი სპეციალისტი აღფრთოვანებული გაემგზავრა საქართველოდან და პირობა მისცა შერმადინს, რომ „პორტლენდი“ აუცილებლად მიიწვევდა დრაფტის წინა სინჯებზე.

ლევან მიქელაძეს წლევანდელი დრაფტის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული მოთამაშის, „ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის“ ცენტრალური თავდამსხმელის, როი ჰიბერტის აღმზრდელი, ცნობილი მწვრთნელი დუეინ ბრაიანტი შეეხმიანა, რომელმაც სურვილი გამოთქვა, შერმადინს საკალათბურთო ტრადიციებით მდიდარ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში გაეგრძელებინა სწავლა.

ტოდ რამასართან პირადად საუბრისას, „გოლდენ სტეიტ ვორიორზის“ გენერალურმა მენეჯერმა, კრის მულინმა თქვა: „არ ვიცი, როგორ მოუვიდათ ჩემ სკაუტებს, რომ წლევანდელი დრაფტის პირველი რაუნდის მოთამაშეების სიას გიორგი შერმადინი დააკლეს. მოუთმენლად ველი შერმადინის ხილვას ივნისში გასამართ სინჯებზე“.

მარტის ბოლოს შერმადინი ლოს ანჯელესში მიემგზავრება. აპრილის შუა რიცხვებში სავარაუდოდ მსოფლიოს ახალგაზრდულ ნაკრებში ითამაშებს და შემდეგ გააგრძელებს წვრთნას ჯოუ აბუნასართან, რომელსაც მოთამაშეების წინა სადრაფტო წვრთნის დიდი გამოცდილება აქვს. გავიხსენოთ, რომ მისი შეგირდები იყვნენ კევინ გარნეტი, ბაირონ დევისი, ჩონსი ბილაფსი, ვინს კარტერი, ჯერმეინ ონილი, ალ ჰარინგტონი, ბენ ვოლესი... 7-10 ივნისს, შერმადინი ევროპაში დაბრუნდება. იტალიის ქალაქ ტრევიზოში Reebok Eurocamp-ზე იქნება 4 დღის განმავლობაში, სადაც NBA-ს ოცდაათივე გუნდის მენეჯერი დააკვირდება. მერე კი, 26 ივნისს NBA-ს დრაფტია და ვნახოთ...

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



# დევშაკს მელიის კუდი გაეზარდა

29 თებერვალი

**ატლანტა 99:93 ნიუ იორკი**

ატლანტა: ბიბი (11 ქულა, 10 პასი), ჯონსონი (20), უილიამსი (9), სმიტი (25), ჰორფორდი (20 ქულა, 11 მოხსნა); ჩილდერსი (6), სტუდემაიერი (4), ჯონსი (4), ფაჩულია (13 წუთი, 0 ქულა, 2 მოხსნა), ვესტი

ნიუ იორკი: რობინსონი (6), კროუფორდი (21), რიჩარდსონი (11), რენდოლფი (29 ქულა, 17 მოხსნა), კარი (9); ჯონსი (11), ლი (6 ქულა, 14 მოხსნა), ჯეფრისი

**პორტლენდი 119:111 ლეიკერსი**

პორტლენდი: ოლდრიჯი (22), ჯეკი (21 ქულა, 10 პასი), როი (20 ქულა, 12 პასი), აუთლოო (18)

ლეიკერსი: ბრაიანტი (33), ოდომი (17 ქულა, 12 მოხსნა), უოლტონი (17), გასოლი (15)

**ტორონტო 111:122 ინდიანა**

ტორონტო: ბარნანი (27), პარკერი (25), ფორდი (15), კალდერონი (13 ქულა, 11 პასი)

ინდიანა: დანლივი (36), რაში (23), მერფი (18)

**ბოსტონი 108:100 შარლოტი**

ბოსტონი: ალენი (23), პერკინსი (19), გარნეტი (17), რონდო (9 ქულა, 16 პასი)

შარლოტი: რიჩარდსონი (30), ფელტონი (22 ქულა, 10 პასი), კეროლი (18)

**კლივლენდი 92:84 მინესოტა**

კლივლენდი: ჯეიმსი (30 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა)

მინესოტა: ჯეფერსონი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 110:98 იუტა**

ნიუ ორლეანი: პოლი (24 ქულა, 16 პასი, 5 ჩაჭრა), ვესტი (25 ქულა, 13 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (20)

იუტა: ოქური (23 ქულა, 13 მოხსნა), უილიამსი (22 ქულა, 10 პასი)

**ჩიკაგო 91:97 ვაშინგტონი**

ჩიკაგო: ნოჩიონი (19), დენგი (18), ჰიუზი (16)

ვაშინგტონი: ჯემისონი (17 ქულა, 15 მოხსნა), ბლეტჩი (17 ქულა, 10 მოხსნა), მეისონი (17)

**დალასი 115:106 საკრამენტო**

დალასი: ნოვიცკი (34 ქულა, 10 მოხსნა), სტეკჰაუსი (23), კიდი (21 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), ჰოვარდი (20)

საკრამენტო: უდრიჰი (25), მარტინი (25), არტესტი (22)

**გ. სტეიტი 119:97 ფილადელფია**

გოლდენ სტეიტი: პიეტრუსი (23), ჯეკსონი (21), ელისი (21)

ფილადელფია: მილერი (18), კერნი (18), უილიამსი (17)

**დენვერი 110:104 კლიპერსი**

**ჰიუსტონი 116:95 მემფისი**

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (25), სკოლა (15)

მემფისი: კრიტენტონი (22), ლორი (18)

დენვერი: აივერსონი (38), ენტონი (30 ქულა, 14 მოხსნა), კემბი (12 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება)

კლიპერსი: ტორნტონი (33 ქულა, 12 მოხსნა), მაგეტი (28)

**სიეტლი 93:103 მაიამი**

სიეტლი: უილკოქსი (30), დურანტი (24)

მაიამი ვეიდი (31), დევისი (15), მერიონი (14 ქულა, 13 მოხსნა)

1 მარტი

**მილუოკი 94:96 სან ანტონიო**

მილუოკი: რედი (25), ბოგუტი (17 ქულა, 15 მოხსნა)

სან ანტონიო: ჯინობილი (30), პარკერი (26)

**ფინიქსი 114:119 ფილადელფია**

ფინიქსი: სტუდემაიერი (26 ქულა, 11 მოხსნა), ბარბოსა (22), ნეში (21 ქულა, 11 პასი), დიაუ (17)

ფილადელფია: იგუდალა (32), მილერი (25 ქულა, 12 პასი), გრინი (17)

**ორლანდო 118:92 ნიუ იორკი**

ორლანდო: ჰოვარდი (28 ქულა, 22 მოხსნა), თურქოლლუ (25 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა), ლუისი (27)

ნიუ იორკი: კროუფორდი (23), რიჩარდსონი (19)

**მემფისი 92:113 იუტა**

მემფისი: გაი (20), უორიკი (17 ქულა, 13 მოხსნა), ნავარო (17)

იუტა: ბუზერი (18), ოქური (17 ქულა, 13 მოხსნა), კორვერი (17), კირილენკო (16), უილიამსი (14 ქულა, 19 პასი)

**კლიპერსი 73:103 დეტროიტი**

კლიპერსი: მაგეტი (22), კამანი (13 ქულა, 14 მოხსნა), პაუელი (13)

დეტროიტი: პრინსი (22 ქულა, 10 მოხსნა), ვოლესი (17), ჰამილტონი (14), დიქსონი (14)

**მჯობნის** მჯობნიც გამოჩნდა. „ლეიკერსს“ ყოველთვის უჭირდა „პორტლენდის“ დარბაზ „როუზ გარდენში“ თამაში, „ვარდების ბაღში“ ბოლო ექვსი გასეირნებისას ყვავილის ნაცვლად ეკლები აკრეფინეს და ასე იყო ახლაც. ფილ ჯექსონის გუნდმა სწორედ იქ დაასრულა ზედიზედ მოგებათა 10-მატჩიანი სერია, რომელიც მისთვის უგრძესი იყო ბოლო ოთხ წელიწადში.

„ლეიკერსი“ ვერ იხსნა ვერც კობი ბრაიანტმა და ვერც პაუ გასოლმა. კრიტიკულ ეპიზოდებში ლოსანჯელესელებს სათადარიგო სამა ვუიაჩიჩი უფრო გამოადგათ, ვინც სამქულიანით 100:100 გაათანაბრა ანგარიში და მერეც კიდევ ერთი შორი გასროლით 107:107 დააწია თავისი გუნდი მასპინძლებს, მაგრამ იმ თამაშში პორტლენდელები უფრო მობილიზებულები და ფოკუსირებულები იყვნენ და ოლსტარელი ბრენდან როის ლიდერობით გამარჯვება წაჰგლიჯეს ბოლო სამ კვირაში ლამის უძლეველ მონსტრად წარმოჩინებულ „ლეიკერსს“.

და მაინც, წაგების მიუხედავადაც, მთელი ამერიკა იმას ამბობს, როგორ მოუხდა პაუ გასოლი „ლეიკერსსო“, და პირიქით, როგორ არ მოუხდა შაკილ ონილი „ფინიქსსო“. დევშაკის ახალმა გუნდმა მის ხელში მორიგი თამაში წააგო, ამ ჯერზე შინ ვერ დაძლია ბევრი ვერაფრიშვილი „ფილადელფიის“ წინაალმდეგობა. არცთუ ღრმა წარსულში ლაღი, შემტევი კალათბურთის მოთამაშე „ფინიქსს“ სტუმრებმა მისივე იარაღით მოუგეს, სწრაფ ბურთაობაში ჩაითრიეს და 48 წუთში 119 ქულა ჩაუკალათეს. ნამატჩევს ჟურნალისტები პირდაპირ შაკილს მიადგნენ ხისტი კითხვით, ვისი ბრალია, „ფინიქსი“ ასე დაუზარლად რომ აგებსო. მასაც რაღა უნდა ეთქვა, თავს ხომ არ დაიდანაშაულებდა და საკუთარ კუდს ხომ არ მოიჭრიდა. შორიდან მოუარა და წარმოთქვა, დაცვაში მოვიკოჭლებთ და მეტოქეთა ლიდერებს ნამეტანი ვაპარპაშებთო.

თუ ვინმე არ აპარპაშებს მოწინაალმდეგის ყორებს, ეს პირველ რიგში „ჰიუსტონი“ გახლავთ, რომელმაც უკვდავების თუ არა, უძლეველობის ელექსირს მიაგნო და არავის ახარებს. თანაც არც ის უჩანს პრობლემად, რომ 226-სანტიმეტრიანი იაო მინი სეზონის ბოლომდე გამოაკლდა. ზამთრის ბოლო დღეს „რაკეტებმა“ შინ მემფისელი „დათვები“ დაბომბეს და ზედიზედ მე-14 გამარჯვება ჩაიწერეს.

**ბოტე ყორშია**

# იღბლიანი სტახოვსკი

## რუსი ქალების არაბული ზღაპრები


სერგეი სტახოვსკი

**კაცები**
ზაგრები. ხორვატია. ხალიჩა (დარბაზი)
საპრიზო 370 000 ევრო

**ნახევარფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი** (1, ხორვატია) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 7:6 6:4; **სერგეი სტახოვსკი** (უკრაინა) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:4 6:4

**ფინალი**

**სტახოვსკი** — ლიუბიჩიჩი 7:5 6:4

სერგეი სტახოვსკიმ ზაგრებში ნამდვილი სენსაცია მოახდინა და არა მარტო ამ კვირის, არამედ მთლიანად სეზონის პირველი ნაწილის გმირადაც იქცა. უკრაინელი ტურნირის დაწყებისას რეიტინგში მხოლოდ 209-ე იყო, მაგრამ ამას მისთვის რამდენიმე ბობოლის დამარცხებაში ხელი არ შეუშლია, ფინალში კი სულაც მთავარ ფავორიტსა და ადგილობრივთა კერპ ივან ლიუბიჩიჩს გამოუყვანა წირვა. ისე, მომავალ წელს ხორვატებმა ეგებ აღარც დაპატიჟონ უკრაინელი, რადგან ფინალამდე მან კიდევ ერთი მასპინძელი, ივო კარლოვიჩი დაჩოქა.

სტახოვსკის გამარჯვება ასეთი მოულოდნელობა მხოლოდ რეიტინგში დაბალი საფეხურის გამო კი არ იყო — საქმე იმაშია, რომ უკრაინელი ეგრედ წოდებული „ლაქი ლუზერი", ანუ „იღბლიანი დამარცხებული" გახლდათ. ასე იმ ჩოგბურთელს ეძახიან, რომელსაც ტურნირზე მხოლოდ იმის შემდეგ იწვევენ, როცა რომელიმე მონაწილე უარს იტყვის. ანუ წესით, სტახოვსკის ზაგრებში სულაც არ უნდა ეთამაშა, რადგანაც კვალიფიკაციიდან გასვლა ვერ მოახერხა, თუმც მიშელ ლოდრამ ხორვატიაში ჩასვლა ვერ შეძლო და უკრაინელისთვის მხოლოდ ამის შემდეგ გამოინახა ადგილი ძირითად ბადეში. ის კი ადგა და მთლიანად ტურნირი მოიგო. ეს მხოლოდ მეხუთე შემთხვევაა, როცა „ლაქი ლუზერი" ტურნირს იგებს. აქამდე იგივე არგენტინელმა კრისტიან მინუსიმ 1997, სან პაულო), ესპანელმა ფრანცისკო კლავეტმა 1990, ჰილვერსუმი) და ამერიკელმა ბილ სკანლონმა 1978, მაუი) და ჰაინც გუნტჰარდტმა 1978, სპრინგფილდი) შეძლეს.

სტახოვსკისთვის ეს თავისთავად რომ პირველი ტიტულია. ბოლო უკრაინელი კი, რომელმაც ATP-ის ტურნირის მოგება შეძლო, ანდრეი მედვედევი გახლდათ, რომელმაც 1997 წელს ჰამბურგის მასტერსზე იპირველა.

**კაცები**
აკაპულკო მექსიკა. თიხა
საპრიზო 794 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი** (1, არგენტინა) — ლუის ჰორნა (პერუ) 7:5 6:1; **ნიკოლას ალმაგრო** (6, ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4 3:6 7:5

**ფინალი**

**ალმაგრო** — ნალბანდიანი 6:1 7:6

აკაპულკოს ფინალში ერთმანეთს ბოლო დროს მშვენიერ ფორმაში მყოფი მეჩოგნეები დაეჯახნენ — ორი კვირის წინ ბრაზილიურ კოსტა დე საიუპეში ნატრიუმფალი ნიკოლას ალმაგრო ერთი კვირის წინ მშობლიურ ბუენოს-აირესში ნაჩაუქავ დავიდ ნალბანდიანს შეხვდა. ამიტომაც დაპირისპირება საკმაო ინტერესს იწვევდა და წესით სერიოზული ჯახიც უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაყურებელთა სამწუხაროდ, დაძაბული არ გამოდგა — ესპანელმა ერთი თავით დაჯაბნა მეტოქე და კარიერაში მეოთხე ტიტულიც მოიგო.

ამ სეზონამდე ალმაგროს სამშობლოს გარეთ ერთხელაც არ ემარჯვა, სამაგიეროდ, ვალენსიის ტურნირის ორგზის ჩემპიონი გახლდათ. ახლა პირნეელმა თავისი ნახევარკუნძულის გარეთაც შეძლო ხეირიანი თამაშის ჩვენება და აგერ, ნახევართვიან ინტერვალში ორი ტიტულიც დაისაკუთრა. გუშინდელ ფინალში კი ალმაგრომ განსაკუთრებით ძლიერად პირველი სეტი ჩაატარა და ნალბანდიანი დამაჯერებლადაც მიჩოგნა. მეორეში კი არგენტინელმა შეძლო ტაიბრეიკამდე მიჯახირება, მაგრამ აქ უკვე ხელიც ვერ გაანძრია და ალმაგროს გამარჯვება მიულოცა.

**კაცები**
მემფისი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 769 000 დოლარი

**მეოთხედფინალი**

**რობინ სოდერლინგი** (8, შვედეთი) — ენდი როდიკი (1, აშშ) 7:6 6:3; **რადეკ შტეფანეკი** (4, ჩეხეთი) — კრის გუჩიონე (ავსტრალია) 7:6 6:1; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — დონალდ იუნგი (აშშ) 1:6 6:2 7:6; **სტივ დარცისი** (ბელგია) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:1 6:0

**ნახევარფინალი**

**სოდერლინგი** — შტეფანეკი 7:6 6:3; **დარცისი** — ბიორკმანი 4:6 6:1 6:4

**ქალები**
დუბაი. საემიროები. ჰარდი
საპრიზო 1 500 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) 5:7 6:4 6:3; **ელენა დემენტიევა** (8, რუსეთი) — ფრანჩესკა შიავონე (იტალია) 5:7 7:5 6:2

**ფინალი**

**დემენტიევა** — კუზნეცოვა 4:6 6:3 6:2

ზედიზედ მეორე კვირაა, არაბული სამყარო რუსული ფინალის მოწმე ხდება — ჯერ იყო და დოჰაში ერთმანეთს მარია შარაპოვა და ვერა ზვონარიოვა დაეტაკნენ, ახლა კი დუბაიში მთავარ პრიზს ერთმანეთს ელენა დემენტიევა და სვეტლანა კუზნეცოვა ეცილებოდნენ.

ფინალში გამარჯვება ორივესთვის მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ერთმაც და მეორემაც სეზონი ამაზრზენად დაიწყო. ამიტომაც მატჩი ძალიან დაძაბული და ხეირიანი საცქერი გამოდგა.

თავიდან უკეთესად კუზნეცოვამ დაიწყო და თანმემამულეს აქტიურობის ყველანაირი შანსი მოუსპო. თუმც დემენტიევამ დუბაიში აჩვენა, რომ ტონუსში საკმაოდ გვიან შედის და სეტის წაგების არ ეშინია — ლენამ საწყისი პარტიები ანა ივანოვიჩსაც დაუთმო და ჟუსტინ ენინის წამქცევ ფრანჩესკა შიავონესაც, მაგრამ მერე ორჯერვე გამოასწორა ვითარება და მაინც იმარჯვა. ფინალშიც ასე მოხდა. დემენტიევამ ტემპსა და დარტყმების სიზუსტეს უმატა — ისეთი სნაიპერული სიზუსტის დარტყმებს ახორციელებდა, რომ კუზნეცოვა ხშირად მხოლოდ თვალს თუ გააყოლებდა ხოლმე. ელენამ შეძლო ამ ტემპის ბოლომდე შენარჩუნება და კარიერის მეცხრე ტიტულიც დამსახურებულადაც გაინაღდა.

კუზნეცოვამ კი ბოლო 8 ფინალიდან უკვე მეშვიდედ წააგო.

**ქალები**
მემფისი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**ოლგა გოვორცოვა** (5, ბელარუსი) — შაჰარ პირი (3, ისრაელი) 6:3 3:6 6:4; **ლინდსი დევენპორტი** (4, აშშ) — მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელანდია) 6:0 6:3

**ფინალი**

**დევენპორტი** — გოვორცოვა 6:2 6:1

ტურნირის დაწყებამდე ლინდსი დავენპორტს ტურნირის ფავორიტის რანგშიც კი არავინ განიხილავდა, მაგრამ მემფისში უკვე პირველივე წრეში გააკრეს ბეჭებზე პირველ-მეორე ნომრები — ვინუს უილიამსი და ტატიანა გოლოვინი, რომელბსაც მალე შაჰარ პირიც მიაყოლეს და ვეტერანი ამერიკელიც თავისთავად იქცა გაამრჯვების მთავარ პრეტენდენტად.

სხვებისგან განსხვებით, ლინდსიმ ეს შეიფერა და თავისი მორიგი ტიტულისკენ მიმავალ გზაზე ყველას ძალიან დამაჯერებლად გაუმკლავდა, ფინალში კი ოლგა გოვორცოვას მხოლოდ სამი გეიმი აალებინა.

დევენპორტისთვის ეს უკვე 55-ე საკარიერო ტიტულია, რითაც ლინდსი ყველა დროის ყველაზე მეტი ტიტულის მომგებ ქალ მეჩოგნეთა სიაში უკვე მე-7 ადგილზე ალზევდა და ამით მონიკა სელეშს გადაასწრო.

**ქალები**
აკაპულკო. მექსიკა. თიხა
საპრიზო 180 000 დოლარი

**ნახევარფინალი**

**ფლავია პენეტა** (1, იტალია) — კაია კანეპი (7, ესტონეთი) 6:4 6:2; **ალიზე კორნე** (2, საფრანგეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2 6:2

**ფინალი**

**პენეტა** — კორნე 6:0 4:6 6:1

ფლავია პენეტას უყვარს და დიდებულადაც გამოსდის აკაპულკოში თამაში. იტალიელი ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს ამ მექსიკურ კურორტზე — თუნდაც ის რად ღირს, რომ 2004 წლიდან მოყოლებული, ყოველწლიურად ფინალში თამაშობს. თუმც აპენინელმა აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2005-ში იჩემპიონა. გუშინ გამთენიისას კი პენეტამ ალიზ კორნე სამ სეტში გატეხა და ამით თავისი სამი წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა.

**ბახა ლომაშვილი**



## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი. 15 თებერვალი — 7 მარტი

**IX ტური**

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |

**X ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |

# კარლსენი მეორეზე აფრინდა

**მეათე** ტურის მთავარი მატჩი, ვიშვანათან ანანდისა და მაგნუს კარლსენის დაპირისპირება იყო.

პატარა ნორვეგიელმა მეორე წრე კარგად დაიწყო, ზედიზედ ორი პარტია მოიგო და ლიდერ ანანდს ნახევარ ქულამდე მიუახლოვდა. ამ შეხვედრაში კარლსენის გულშემატკივრები თავიანთი ფავორიტისგან კიდევ ერთს სიურპრიზს ელოდნენ, რადგანაც პირველ წრეში ინდუსთან თეთრებით ჰქონდა წაგებული და ახლა რევანშისთვის იყო მომართული.

დებიუტში დიდოსტატებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს და ფლანგების განვითარებას შეუდგნენ. ანანდმა ლაზიერის მხრიდან იერიშებს მიმართა, თუმც შემდეგ თამაში აღარ გაამწვავა და 21-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა.

მესამე ადგილი შეინარჩუნა ლევონ არონიანმა. სომეხი მოჭადრაკე თეიმურ რაჯაბოვს 31-ე სვლაზე ზავით გაეყარა და ლიდერისგან კვლავაც ქულა აშორებს.

სამწუხაროა, მაგრამ წლევანდელ ლინარესს გულშემატკივრებში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. დარბაზს, სადაც სუპერტურნირი მიმდინარეობს ათიოდე ქომაგი თუ მიაკითხავს და მოჭადრაკეებსაც ცარიელი ტრიბუნების წინ უწევთ თამაში.

**ლუკა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი | 6,5 |
| 2. | მაგნუს კარლსენი | 6 |
| 3. | ლევონ არონიანი | 5,5 |
| 4. | ვესელინ ტოპალოვი | 5 |
| 5. | ალექსეი შიროვი | 4,5 |
| 6. | ვასილ ივანჩუკი | 4,5 |
| 7. | თეიმურ რაჯაბოვი | 4,5 |
| 8. | პეტერ ლეკო | 3,5 |



# ოცდახუთიანი ალონსო

## ფლავიო ბრიატორე დაცვიდან იწყებს


ფლავიო ბრიატორე

**„მაკლარენიდან"** „რენოში" დაბრუნებულმა ფერნანდო ალონსომ ამას წინათ განაცხადა, არის იმის 30-პროცენტიანი შანსი, რომ სეზონის ბოლოს პირველ სამეულში ვიყოო.

„რენოს" ბოსი, 57 წლის ფლავიო ბრიატორე, ცოტა სხვანაირად ანგარიშობს და ამბობს, რომ ალონსოს საჩემპიონო შანსი დაახლოებით 25 პროცენტს უდრის.

მარტივად თუ ვიმსჯელებთ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც 25 პროცენტი 30-ს სჯობს, ანუ 25-პროცენტიანი საჩემპიონო შანსი გაცილებით უკეთესია, ვიდრე სამეულში მოხვედრის 30-პროცენტიანი ალბათობა.

ბრიატორემ, ვისაც 27 წლის ელიზაბეტა გრეგორიჩის სახით ცხოვრების ახალი თანამგზავრი ჰყავს, ერთ-ერთ იტალიურ გაზეთს მისცა ინტერვიუ და ბრძანა, რომ სეზონის პირველ სამ რბოლაში, ევროპის გარეთ რომ ჩატარდება, „რენო" ერთგვარ დაცვით ტაქტიკას აირჩევს.

„პირველ სამ რბოლაში უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენი პოზიციები დავიცვათ და რალაც რაოდენობის ქულები მოვაგროვოთ. საჭიროა ერთგვარი პლაცდარმის შექმნა, რადგანაც ევროპაში რომ დავბრუნდებით, უკეთესი ბოლიდი გვექნება და უკვე მაღალი ადგილებისთვისაც შეგვეძლება ბრძოლა — განაცხადა ბრიატორემ და იქვე კითხვაზე, დარჩება თუ არა ალონსო სამომავლოდ ფრანგულ საჯინიბოშიო, ოპტიმისტურად უპასუხა — არის თუ არა იმის რისკი, რომ კონკურენტუნარიანები თუ არ ვიქნებით, ალონსო სეზონის ბოლოს წავიდეს? არა მგონია, ამ ეტაპზე საამისოდ ვერანაირ მიზეზს ვერ ვპოულობ და თანაც, ჩვენ არ [illegible] კონკურენტუუნარონი რომ ვიყოთ".

ამ კდროულად, ბრიატორე აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ ალონსოს „რენოში" არ ექნება იმის მსგავსი პრობლემები, შარშან „მაკლარენში" რომ ჰქონდა, როდესაც ლუის ჰემილტონთან ურიერთობა ვერ ააწყო. „არა მგონია, ნელსინიო პიკე თავის პირველივე საპირველფორმულო სეზონში თავის მოკვლას აპირებდეს. სხვა მხრივ კი, ჩვენს გუნდში იდეალური სიტუაციაა და ყველამ იცის თავისი საქმე და ადგილი" — განაცხადა „რენოს" ექსტრავაგანტურმა შეფმა.

**ბახა ლომაძე**

# მეორე დღის ორი ოქრო და ვერცხლი



გიორგი ბაინდურაშვილმა და ირაკლი ცირეკიძემ პრაღაში ყველა მეტოქე დაჯაბნეს



**გასულ** უქმეებზე ჩეხეთში მორიგი მსოფლიოს თასი გაიმართა, სადაც საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით გამოვიდა. ჩვენებს წარმომადგენელი არ ჰყავდათ 60 კგ წონით კატეგორიაში. მძიმეში კი ლაშა გუჯეჯიანს უნდა ეჭიდავა, მაგრამ საბოლოოდ არც ის გასულა ტატამზე.

წარუმატებლად დაიწყეს ქართველებმა შეჯიბრების პირველი დღე. 66 კგ-ში მინდია ხომიზურმა პირველივე ორთაბრძოლა წააგო რუს ალიმ გადანოვთან და ასპარეზობას გამოეთიშა. ამავე წონაში ნესტორ ხერგიანმაც სადებიუტო შეხვედრა დათმო ფრანგ ბენიამინ დარბელესთან.

73 კგ-ში ზაზა კედელაშვილი და ზურაბ დილებაშვილი გაისარჯნენ. ზაზა ჩინელ რიჯიგავა სისთან დამარცხდა იპონით. დილებაშვილმა პირველი შეხვედრა მოიგო ჩეხ ტომას ვესელთან, მაგრამ შემდეგ ყაზახ მარატ დანაბაევთან დათმო ორთაბრძოლა და რეპეშაჟშიც ველარ გააღწია.

სამაგიეროდ, მეორე დღე ქართველებისთვის ტრიუმფალური გამოდგა 81 კგ წონით კატეგორიაში გიორგი ბაინდურაშვილი და საბა გავაშელიშვილი გამოვიდნენ ტატამზე. ეს სპორტსმენები ერთმანეთს ნაკრებში პირველობისთვის და ოლიმპიური საგზურისთვის ეცილებიან.

ბაინდურაშვილმა შეჯიბრება სლოვენიელი კლემენ ფერანის ძლევით დაიწყო. შემდეგ იპონით ოსკარ ფელრნანდესს (ესპანეთი) მოუგო, კოკათი მოლდოველი ვალერიუ დუმინიკაც რეპეშაჟის გზას გაუყენა და ნახევარფინალში ესტონელ ალექსეი ბადოლინს შეხვდა, ვისაც ვაზარით აჯობა.

ფინალისკენ გზას საბა გავაშელიშვილიც მიუყვებოდა. მან ჯერ ავსტრიელ ალბერტ ფერჩერთან იმარჯვა იპონით, შემდეგ რუსი ალბეკ ბაშკაევიც სუფთაზე დასცა. მომდევნო ორთაბრძოლაში ჩეხ ირჟი პოკორნის აულო იუკო, ვაზარი და იპონი. ფრანგი ენტონი როდრიგესიც დააიპონა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ბელარუსი მიხაილ ბარკოვსკი დაჯაბნა.

ქართული ფინალი უდაძაბულესი გამოდგა. გამარჯვებულის გამოვლენას ხუთი წუთი დასჭირდა. საბოლოოდ ბაინდურაშვილმა იმარჯვა იუკოთი და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

ლევან ჟორჟოლიანმა 100 კგ წონით კატეგორიაში კარგად დაიწყო ასპარეზობა. თავის პირველ ორთაბრძოლაში კოკათი დაწყებული იპონით დამთავრებული, ყველა ქულა აულო პორტუგალიელ ჟოაო ტავეირას. შემდეგ იპონით მოიგო ნოვიკა მილოვიჩთან (ჩერნოგორია). უკრაინელი ვიტალი ბაზონიც დაავაზარა და ნახევარფინალს უწია, სადაც იპონით წააგო უგამოცდილეს არიელ ზეევთან (ისრაელი). მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კი გერმანელ მიხაელ იურაკთან დამარცხდა ორი კოკათი.

ზურაბ ზვიადაურმა კიდევ ერთი შანსი ვერ გამოიყენა. იგი ირაკლი ცირეკიძესთან ერთად წარადგენდა საქართველოს 90 კგ წონით კატეგორიაში. ზვიადაურმა შეჯიბრება მოგებით დაიწყო, პოლონელ კასპერ ლარემს გაუსწორდა იპონით. შემდეგ მილან რანდლიც (სლოვაკეთი) დასცა სუფთაზე, მაგრამ ესპანელ დევიდ ალარზას ვერაფერი მოუხერხა და რეპეშაჟში გადაინაცვლა, სადაც ბრიტანელ უისტონ გორდონთან დამარცხდა.

ირაკლი ცირეკიძემ ჩვეულ სტილში, დამაჯერებლად, ჯერ თურქი ბარჰან კოსანი ჩამოიცილა, მერე სლოვენიელი დენის იმამოვიჩი დაამარცხა. ლატვიელ ევგენის ბოროდავკოსაც აწვნია იპონი და ნახევარფინალში უკრაინელ ვალენტინ გრეკოვთანაც იმარჯვა ვაზარით.

ფინალში ირაკლის ზვიადაურის მძლეველი ალარზა შეხვდა. ცირეკიძემ მეტოქე იუკოთი დაამარცხა და თავის მრავალ ტიტულს ჩეხური ოქროც შემატა.

**ზურაბ მიგრიაული**

# ქალებმა ვერ ივარგეს

**ჩეხეთის** კაცთა მსოფლიოს თასის პარალელურად გაიმართა პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მსოფლიოს თასი ჩატარდა და იქ საქართველოს ნაკრები ორი სპორტსმენით იყო წარდგენილი. 53 კგ წონით კატეგორიაში ლუიზა ფევაძე გამოვიდა, ხოლო 63 კგ-ში თინათინ ქულუსაშვილი ცდილობდა პეკინის საგზურის მოპოვებას. ჩვენი მანდილოსნები შეჯიბრების პირველივე წრეში დამარცხდნენ. ფევაძემ შვეიცარიელ ლენა გოელდისთან წააგო, ხოლ ქულუსაშვილმა ბერძენ ლუოლიტა ბუკუვალასთან დათმო ორთაბრძოლა.

**ზურაბ მიგრიაული**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბადრი ხასაიამ (მარჯვნივ) სომბათჰეიდან ოქროს დიდი პრიზი წამოიღო

# ხასაიას უნგრული კლასიკა

**საქართველოს** ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში, მსოფლიოს თასზე ექვს ნაკრებს შორის მეოთხე ადგილი დაიკავეს და შემდეგ ინდივიდუალურ შეჯიბრში ჩაებნენ. ბრინჯაოს მედალი ჩვენს ნაკრებს ირანმა წაართვა მას შემდეგ, რაც 5:2 მოუგო. ოქროს მედალი კი რუსეთს დარჩა. მათ მასპინძელი უნგრეთი იგივე ანგარიშით 5:2 დაჩაგრეს.

პირად პირველობაში კი, „ოქროს დიდი პრიზის" პირველ დღეს ქართველებმა ოქროს მედალი მოიპოვეს. 84 კგ-ში ბადრი ხასაიამ იჩემპიონა. საჩემპიონო გზაზე ხასაიას ხუთი ფალავნის დამარცხება დასჭირდა. მან ესტონელ ტომბერგს, თანამემამულე ვლადიმერ გეგეშიძეს, რუმინელ პაპს და ბელარუს მაკარანკას მოუგო. ფინალში კი ისევ ბელარუსს, ბარანოვსკის, 2:0, 3:0 მოუგრიხა კისერი და ჩემპიონი გახდა.

ამავე წონაში გეგეშიძე მე-7 ადგილს დასჯერდა. 60 კგ-ში რევაზ ლაშხს ხელი მოუცარა და მხოლოდ მე-14 ადგილს გამორჩა.

74 კგ-ში შმაგი გულიაშვილმა პირველივე შეხვედრა წააგო თურქ ტუფენკთან 0:2, 2:0, 0:4 და შეჯიბრი დაასრულა. წონის ფავორიტმა მანუჩარ კვირკველიამ მე-7 ადგილი დაიკავა. მან თავიდან მასპინძელ ხორვატს აჯობა 1:2, 6:0, 6:1, მერე მომავალ ფინალისტ დანიელ მადსენთან 4:0, 0:4, 1:2 წააგო. დამამშვიდებელში ამერიკელ ლესტერს 3:2, 5:3 მოუგო, მაგრამ სლოვენიელ კუპართან ვერას გახდა 1:2, 1:3. 120 კგ-ში გურამ ფერსელაძეს ბრინჯაოს მედლამდე ნაბიჯი დააკლდა. ჩვენებურმა უნგრელ ბრანადის 5:0, 3:0 გადაუარა, თურქ კაიაალპთან კი უშანსოდ წააგო — 0:8, 0:4. სანუგეშოში ფინელ კორტესმავის — 4:0, 3:0, ხოლ ჩეხ ვალას 3:1, 2:0 სძლია, თუმც ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა ბელარუს არციუხინთან 1:2, 1:3 დაიძმ.

ტურნირის მეორე დღეს უმედლოდ დავრჩით. 55 კგ-ში ლაშა გოგიტაძემ, ხოლო 66 კგ-ში მუხრან მაჭუტაძემ ბრინჯაოსთვის შეხვედრები დათმეს. ვერც 96 კგ-ში მონაწილე გივი მორჩილაძემ იყოჩაღა.

**ლექსო მაისურაძე**



# ნინო სალუქვაძის შვეიცარიული ვერცხლი

**შვეიცარიის** ქალაქ ვინთერტურში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში ნინო სალუქვაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. საკვალიფიკაციო ეტაპზე ნინომ 388 ქულა მოაგროვა და ფინალს მეორე შედეგით უწია. სალუქვაძეზე წინ მხოლოდ ბელარუსი ვიქტორია ჩაიკა იყო 391 ქულით. ქართველმა მსროლელმა ფინალში 97,8 ქულა მოაგროვა და საერთო ჯამში 485.8 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. პირველობის შენარჩუნება და ოქროს მედლის მოპოვება ჩაიკამ შეძლო, რომელმაც 488.8 ქულა მოაგროვა. მესამე ადგილზე გავიდა რუსი პადერინა 484.4 ქულით.

ჩემპიონატზე ცუდად გამოვიდა ნინო უჩაძე, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე 376 ქულა დააგროვა და 58 სპორტსმენს შორის 31-ე ადგილი დაიკავა.

კიდევ უფრო ცუდი გახლდათ ლევან ქადაგიძის შედეგი, რომელმაც კაცებში 10 მეტრიდან ჩოუპონობაში 560 ქულა გამოადნო და 68 მონაწილეს შორის 61-ე საფეხური დაიკავა.

**ზურაბ მიგრიაული**

## რეგულარული ჩემპიონატი



კალგარელმა ჯერომ იგინლამ ფინიქსელებს ორი გოლი გაუტანა

### 29 თებერვალი

**ნიუ ჯერსი 0:4 ვაშინგტონი**
0:0 0:1 0:3
0:1 გრინი (32), 0:2 კოზლოვი (41), 0:3 სიომინი (49), 0:4 ბრაშირი (38)

**ფლორიდა 2:3 მინესოტა**
0:1 1:2 1:0
0:1 კოივუ (10), 1:1 მონტადორი (26), 1:2 ვეიე (28), 1:3 ბარნსი (31), 2:3 ჰორტონი (47)

**ბუფალო 2:6 მონრეალი**
0:2 1:2 1:2
0:1 პლეკანეცი (2), 0:2 შტრაიტი (11), 1:2 ვანეკი (24), 1:3 პლეკანეცი (26), 1:4 პლეკანეცი (37), 1:5 კოსტიცინი (43), 2:5 კონოლი (52), 2:6 კოსტიცინი (58)

**დეტროიტი 2:3 სან ხოსე**
0:1 1:1 1:1
0:1 პაველსკი (2), 0:2 სეტოგუჩი (21), 1:2 ზეტერბერგი (23), 1:3 სეტოგუჩი (50), 2:3 სამუელსონი (53)

**ტამპა 3:2 ტორონტო**
1:0 1:0 0:2 1:0 (ოვერტაიმში)
1:0 უელე (9), 2:0 პიკარი (33), 2:1 სტინი (41), 2:2 ბლეიკი (52), 3:2 ბოილი (63)

**ვანკუვერი 2:3 კოლუმბუსი**
1:0 1:0 0:2 0:1 (ოვერტაიმში)
1:0 შენონი (13), 2:0 სალო (31), 2:1 მიურეი (46), 2:2 ნეში (47), 2:3 ჩიმერა (62)

**ანაჰაიმი 3:1 კალგარი**
2:0 0:1 1:0
1:0 შნაიდერი (1), 2:0 ს. ნიდერმაიერი (14), 2:1 ფანაფი (28), 3:1 სელიანე (60)

### 1 მარტი

**ბოსტონი 3:2 ატლანტა**
1:1 0:1 1:0 0:0 (1:0 ბულიტებით)
1:0 მიურეი (7), 1:1 კოვალჩუკი (7), 1:2 სლეიტერი (38), 2:2 კრეიჩი (31)

**აილენდერსი 1:4 ფილადელფია**
0:1 1:1 0:2
0:1 კარტერი (14), 1:1 გერინი (29), 1:2 კობერნი (35), 1:3 კნუბლი (50), 1:4 აპშოლი (60)

**ოტავა 5:4 პიტსბურგი**
2:2 3:1 0:1
0:1 მელოუნი (9), 1:1 ვერმეტი (16), 2:1 ალფრედსონი (17), 2:2 სიკორა (20), 3:2 ალფრედსონი (22), 3:3 მელოუნი (23), 4:3 ლაპოინტი (35), 5:3 ჰიტლი (37), 5:4 მალკინი (55)

**ვაშინგტონი 2:3 ტორონტო**
1:0 0:2 1:1
1:0 ოვეჩკინი (16), 1:1 ანტროპოვი (22), 1:2 სუნდინი (31), 1:3 სტინი (46), 2:3 კოზლოვი (50)

**მონრეალი 2:1 ნიუ ჯერსი**
0:0 1:1 1:0
1:0 შტრაიტი (27), 1:1 ჟიონტა (34), 2:1 კოსტიცინი (55)

**კაროლინა 5:1 ტამპა**
1:1 2:0 2:0
0:1 ჰალპერნი (8), 1:1 სტაალი (11), 2:1 კორვო (22), 3:1 სამსონოვი (31), 4:1 სამსონოვი (45), 5:1 რუუტუ (46)

**კოლორადო 5:2 ლოს ანჯელესი**
0:0 3:1 2:1
0:1 კამალერი (24), 1:1 სმიტი (25), 2:1 სმიტი (27), 3:1 სალეი (31), 4:1 საკიკი (46), 4:2 ბლეიკი (50), 5:2 ბრიუნე (60)

**დალასი 1:3 ნეშვილი**
0:0 0:0 1:3
0:1 ლეგვანდი (41), 0:2 ტუტუ (48), 1:2 რიბეირო (49), 1:3 დიუმონი (49)

**სენტ ლუისი 0:2 სან ხოსე**
0:1 0:0 0:1
0:1 პაველსკი (17), 0:2 გრირი (41)

**ფინიქსი 1:3 კალგარი**
0:2 1:0 0:1
0:1 უორინერი (2), 0:2 იგინლა (6), 1:2 დოუნი (33), 1:3 იგინლა (52)

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 12 | ნოტინგემი-კარლაილი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 166 | ფრაიბურგი-მაინცი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 13 | ვინტერთური-ვილი | 2.20 | 3.20 | 2.80 | 1.30 | 1.23 | 1.49 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 14 | ტრუა-ლე ავრი | 2.30 | 2.80 | 3.10 | 1.26 | 1.32 | 1.47 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 16 | ფერეირა-ბელენენსეში | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 15 | სიგმა-სპარტა | 5.50 | 3.30 | 1.60 | 2.06 | 1.23 | 1.07 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 1 | ბარსელონა-სელტიკი | 1.30 | 4.70 | 10.00 | 1.01 | 1.15 | 3.19 |
| 23:45 | 3 | მანჩესტერი-ლიონი | 1.45 | 3.90 | 7.50 | 1.05 | 1.21 | 2.56 |
| 23:45 | 8 | მილანი-არსენალი | 2.00 | 3.10 | 3.80 | 1.21 | 1.31 | 1.70 |
| 23:45 | 11 | სევილია-ფენერბაჰჩე | 1.48 | 3.80 | 6.90 | 1.06 | 1.21 | 2.45 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 5 | პორტუ-შალკე | 1.70 | 3.30 | 5.00 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:45 | 6 | ინტერი-ლივერპული | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23:45 | 7 | რეალი-რომა | 1.50 | 3.80 | 6.50 | 1.07 | 1.21 | 2.39 |
| 23:45 | 9 | ჩელსი-ოლიმპიაკოსი | 1.35 | 4.20 | 9.50 | 1.02 | 1.18 | 2.91 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 550 | ჰვ 71-სიოდერტელიე | 1.45 | 4.40 | 4.50 | 1.09 | 1.09 | 2.22 |
| 21:00 | 551 | ლულეო-იურგორდენი | 2.20 | 4.20 | 2.30 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| 21:00 | 552 | ლინჩიოპინგი-აიკ | 1.65 | 4.40 | 3.30 | 1.20 | 1.10 | 1.88 |
| | | ჰოკეი. ჩეხეთი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 575 | ლიბერეცი-სპარტა | 2.00 | 4.00 | 2.50 | .33 | 1.11 | 1.53 |
| 20:00 | 576 | კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 1.75 | 4.20 | 3.10 | 1.23 | 1.11 | 1.78 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 577 | ჟილინა-სლოვანი | 3.60 | 4.30 | 1.55 | 1.95 | 1.08 | 1.13 |
| 20:00 | 578 | პოპრადი-კოშიცე | 2.30 | 4.10 | 2.20 | 1.47 | 1.12 | 1.43 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10014 | ტრუა-ლე ავრი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10016 | ფერეირა-ბელენენსეში | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10166 | ფრაიბურგი-მაინცი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11014 | ტრუა-ლე ავრი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11016 | ფერეირა-ბელენენსეში | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11166 | ფრაიბურგი-მაინცი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12014 | ტრუა-ლე ავრი | 1.60 | 2.00 |
| 12016 | ფერეირა-ბელენენსეში | 1.50 | 2.20 |
| 12166 | ფრაიბურგი-მაინცი | 1.80 | 1.80 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13016 | ფერეირა-ბელენენსეში | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14014 | ტრუა-ლე ავრი | 1.80 | 2.00 |
| 14016 | ფერეირა-ბელენენსეში | 1.95 | 1.85 |
| 14166 | ფრაიბურგი-მაინცი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15014 | ტრუა-ლე ავრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ფერეირა-ბელენენსეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | ფრაიბურგი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16014 | ტრუა-ლე ავრი | 1.62 | 2.05 |
| 16016 | ფერეირა-ბელენენსეში | 1.80 | 1.80 |
| 16166 | ფრაიბურგი-მაინცი | 1.58 | 2.10 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17014 | ტრუა-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ფერეირა-ბელენენსეში | 1.85 | 1.95 |
| 17166 | ფრაიბურგი-მაინცი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# სინანული

## მილანი–ლონდონი–მილანი?




ანდრეი შევჩენკო

**ცოტა** ხნის წინ, ადრიანო გალიანიმ, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რონალდოს ტრავმის გამო იძულებულნი ვართ, ზაფხულში, სულ ცოტა, ერთი ტოპ-კლასის თავდამსხმელი შევიძინოთო. გალიანიმ იქვე იმ ფეხბურთელთა ვინაობაც გაამხილა, ვისთანაც მაისში აპირებს მოლაპარაკების დაწყებას: „ჩელსის“ დიდიე დროგბა, „ლიონის“ კარიმ ბენზემა, „არსენალის“ ემანუელ ადებაიორი და ანდრეი შევჩენკო, „როსონერის“ ყოფილი ვარსკვლავი. ცხადია, რომ ერთდროულად ოთხივეს შეძენაზე აქ არაა ლაპარაკი.

ჰოდა, თითქოს ამას ელოდაო, შევჩენკომ ლამის წელიწადნახევრიანი დუმილი შაბათს, „კორიერე დელო სპორტთან“ ინტერვიუში დაარღვია, „მილანში“ სიამოვნებით დავბრუნდებიო.

„დიახ, დაბრუნება მართლა გულით მსურს, თუ, ცხადია, კლუბში ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ. მინდა, კარიერა იმ გუნდში დავასრულო, სადაც თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ ოჯახში. ვაღიარებ, რომ შევცდი, „ჩელსიში“ არ უნდა წავსულიყავი, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის“ — ამბობს უკრაინელი.

„კორიერე დელო სპორტი“ შემდეგ „მილანის“ ფეხბურთელთა განწყობაზეც გვატყობინებს, თანახმანი არიან თუ არა გუნდის ეგრეთწოდებული „სენატორები“ (ანჩელოტი, კოსტაკურტა, მალდინი, ამბროზინი, გატუზო, ინძაგი), რათა შევჩენკომ კიდევ ერთხელ მოირგოს „მილანის“ მაისურა.

„ყველანი დიადი დაბრუნების მოლოდინში არიან. კარლო ანჩელოტი უკვე იმაზე ფიქრობს, როგორ ათამაშოს კაკა-პატო-შევჩენკოს ტრიო“ — წერს გაზეთი.

დაბოლოს, ანდრეი შევჩენკო თურმე მილანში უკვე სახლსაც არჩევს, ძველი ვილა, კომოს ტბასთან რომ ჰქონდა, ის მაშინვე გაყიდა, „ჩელსიში“ რომ გარბოდა, აწი აქ, რაღა დამაბრუნებსო. გაიქცა „ჩელსიში“ და როგორც აეწყო საქმეები, მშვენივრად მოგეხსენებათ. ბოლო ცნობით, უკრაინელის ლონდონში დატოვებით არც „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩი იკლავს თავს და ვინძლო, ტრანსფერი მართლაც გაიჩარხოს.

ერთი სიტყვით, ზაფხულს დაველოდოთ...

**გიორგი ვაშაკიძე**

# კალიარი, ქვა და აღმართი

**გაჭირვებულს** ქვა აღმართში დაეწიაო, სერია A-ს ცხრილის ფსკერზე მყოფ „კალიარიზეა“ ნათქვამი. სარდინიელები ბოლო დროს ცოტა აფაფხურდნენ, რამდენიმე ქულა მოიპოვეს და უმაღლეს ლიგაში დარჩენის მიზერული შანსი შეინარჩუნეს, მაგრამ ახლა მათ 3 ქულა დააკლეს. თანაც კლუბს დაახლოებით 30 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა, მისი პრეზიდენტი მასიმო ჩელინო კი ფეხბურთიდან ერთი წლით მოკვეთეს.

საქმე ის არის, რომ 2007 წლის თებერვალში „კალიარის“ უფროსებს ამჟამად „სალერნიტანას“ ფეხბურთელი ჯანლუკა გრასადონია ფეხბურთის ფედერაციის ნებართვის გარეშე და სხვა წესების დარღვევით გაუგდიათ გუნდიდან. გრასადონიამ ცოტა ხნის წინ ისიც თქვა, „კალიარის“ ულტრასები მომიგზავნეს, რომლებიც მემუქრებოდნენ და მაიძულებდნენ, კლუბი დამეტოვებინაო. თუმცა სარდინიელები თავს დამნაშავედ არ თვლიან. მათ უკვე გაასაჩივრეს განაჩენი და აპელაციის იმედი აქვთ.

მასიმო ჩელინო: „არ გეგონოთ, თავს ვიმართლებდე, ეს არ მჭირდება. ბევრი შეცდომა დავუშვით, რომელთა გამოსწორება გვმართებს. უკანონო და ცუდი არაფერი გაგვიკეთებია. ქულებსაც უკან დავიბრუნებთ და სხვა სასჯელებიც გაბათილდება. აპელაციის იმედი მაქვს“.

**ბოჭი ბანდელაძე**

# რა მეშველება იმპერატორს...




**არაფერი** არ შველის ადრიანოს, ბრაზილიელი ფორვარდი კვლავ შარშია და შესაძლოა, „სან პაულუდანაც“ გააგდონ. მისი ყველა გამოხდომის გახსენება შორს წაგვიყვანს, ამიტომ მხოლოდ ბოლოდროინდელი გავიხსენოთ. რამდენიმე დღის წინ ადრიანომ „სან პაულუს“ ვარჯიშზე ჩვეულ სტილში დააგვიანა, მერე ფოტოგრაფს წაეჩხუბა და ისე წავიდა, ნებართვა არავისგან აუღია. როცა ხელმძღვანელობამ მას საყვედური უთხრა, „იმპერატორმა“ ტრადიციულად მოიბოდიშა და თქვა, შეცდომებს აღარ გავიმეორებო.

ადრიანოს ბოდიშმა გაჭრა, „სან პაულუმ“ ყოველთვიური ხელფასი 40 პროცენტით შეუმცირა და „იმპერატორთან“ კონტრაქტის გაწყვეტაზეც ფიქრობდა, მაგრამ ბრაზილიური კლუბის ხელმძღვანელობამ ჭირვეული ფორვარდი კიდევ ერთი შანსით დაასაჩუქრა.

სხვათა შორის, როცა იანვარში ადრიანო ბრაზილიაში ჩავიდა და „ინტერიდან“ იჯარის წესით „სან პაულუში“ ჩაირიცხა, ჟურნალისტებსა და ფანებს მოსთხოვა, „იმპერატორი“ აღარ დამიძახოთო. ეს მეტსახელი მას „ნერაუძრის“ ფანებმა შეარქვეს. ახლა კი 26 წლის თავდამსხმელმა გადაიფიქრა და პრესას კიდევ ერთხელ შეუტია...

„მე იმპერატორი ვარ და პატივი უნდა მცეთ. როცა აქ ჩამოვედი, ვთქვი, არ მინდა, ასე მომმართოთ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ამ მეტსახელს ნამდვილად ვიმსახურებ და თქვენ ვერ გაანადგურებთ იმ ყველაფერს, რასაც ჩემი კარიერის განმავლობაში დიდი შრომით მივაღწიე“ — განაცხადა ადრიანომ.

ამბობენ, „ინტერი“ ბრაზილიაში წარმომადგენლების გაგზავნას გეგმავს, რათა თავგზააბნეულ ფორვარდს ყურადღება მიაქციონ, რადგან ადრიანოს გამოხდომებს უკვე მისი აგენტი ჟილმარ ველოსიც ვეღარ უძლებს და „იმპერატორთან“ მუშაობას აღარ აპირებსო.

**გიორგი ბაბაბაძე**

## ლიპი ლაციოში?

**იტალიური** პრესის ცნობით, შესაძლოა, მარჩელო ლიპი მომავალი სეზონიდან „ლაციოს“ მწვრთნელი გახდეს. „ბიანკოჩელესტეს“ ახლა საქმეები მთლად კარგად არ მისდის და დელიო როსის წასვლაზე დიდი ხანია საუბრობენ. ამბობენ, როსიმ უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას „ნაპოლისთან“ და იქ გადაბარგდებაო.

იმასაც ამბობენ, „ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო ლიპის სრულ თავისუფლებას მისცემსო. შესაბამისად, ჭაღარა ტაქტიკოსი ინგლისური სტილის მწვრთნელი ანუ მენეჯერი გახდება და კლუბის სატრანსფერო ამბებსაც სრულად განაგებს.

„ბიანკოჩელესტის“ მომავალ მწვრთნელად სტეფანო კოლანტუონოსა და ჯანი დე ბიაზისაც განიხილავენ. ლიპის კი სხვა მრავალი მსურველიც ჰყავს.

## კანას მსურველები

**ფრანგული** „მარსელის“ საყრდენ ნახევარმცველ ლორიკ კანას არაერთი მსურველი გამოუჩნდა და მომავალ ზაფხულს იგი ალბათ კლუბს გამოიცვლის, მიუხედავად იმისა, რომ „ველოდრომის“ ბინადრებთან 2012 წლამდე აქვს კონტრაქტი. 24 წლის ალბანელი 7-9 მილიონ ევროდ ფასდება. მას „ბაიერნი“, „რომა“ და „ევერტონი“ უტრიალებენ.

## ლუიზაოს უმცროსი ძმა

**იტალიურ** „მილანს“ „სან პაულუს“ მცველ ალექს სილვასთვის დაუდგამს თვალი. „ტუტოსპორტის“ ინფორმაციით, „როსონერი“ 22 წლის ფეხბურთელის ხელში ჩაგდებასთან ძალიან ახლოსაა. აღსანიშნავია, რომ სილვა ბრაზილიის ნაკრებისა და ლისაბონის „ბენფიკას“ მცველ ლუიზაოს უმცროსი ძმაა.

## ვერდერი და ვრანიეში

**ბრემენის** „ვერდერმა“ თავის ნახევარმცველ იურიცა ვრანიეშთან კონტრაქტი 2011 წლის ივლისამდე გააახანგრძლივა. წინა შეთანხმებას ვადა მომავალ ზაფხულს გასდიოდა. 28 წლის ხორვატი „მუსიკოსებში“ 2005 წელს „შტუტგარტიდან“ გადავიდა.

„ჩემთვის „ვერდერზე“ უკეთესი გუნდი მთელ ევროპაში არ არსებობს. დიდი პოტენციალი გვაქვს და მაღალ დონეზე მრავალი წელი შეგვიძლია თამაში. აქ ოჯახური ატმოსფეროა, ბრემენი ჩემთვის მეორე სახლივითაა“ — თქვა ვრანიეშმა.

**ბოჭი ბანდელაძე**

### ჩეხეთი

**გამბრინუს ლიგა. XIX ტური**

ზლინი — ლიბერეცი 0:1; იაბლონეცი — კლადნო 1:0; პლზენი — ბანიკი 0:4; ბოლესლავი — ბუდეიოვიცე 2:1; სლავია — მოსტი 2:0; ტეპლიცე — ბრნო 0:1; ჟიჟკოვი — ბოჰემიანსი 2:1. სიგმა — სპარტა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 19 | 12 | 5 | 2 | 30:11 | 41 |
| სპარტა | 18 | 11 | 3 | 4 | 37:16 | 36 |
| ბანიკი | 19 | 9 | 7 | 3 | 31:19 | 34 |
| ტეპლიცე | 19 | 10 | 3 | 6 | 25:18 | 33 |
| ბრნო | 19 | 9 | 5 | 5 | 29:25 | 32 |
| პლზენი | 19 | 8 | 5 | 6 | 21:22 | 29 |
| ბოლესლავი | 19 | 6 | 8 | 5 | 22:20 | 26 |
| ლიბერეცი | 19 | 6 | 6 | 7 | 19:18 | 24 |
| ბუდეიოვიცე | 19 | 6 | 5 | 8 | 22:23 | 23 |
| ზლინი | 19 | 6 | 5 | 8 | 17:23 | 23 |
| სიგმა | 18 | 4 | 10 | 4 | 12:15 | 22 |
| ჟიჟკოვი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:36 | 22 |
| იაბლონეცი | 19 | 4 | 7 | 8 | 12:18 | 19 |
| კლადნო | 19 | 4 | 4 | 11 | 22:31 | 16 |
| ბოჰემიანსი | 19 | 3 | 6 | 10 | 13:26 | 15 |
| მოსტი | 19 | 2 | 7 | 10 | 20:36 | 13 |

### ამხანაგური მატჩები

ჰორსენსი — ფინი 1:2; ჰალმსტადი — ნორდსიელანდი 1:0; კოპენჰაგენი — სტაბეკი 4:0; ლიუნგბიუ — ურალი 1:1; კრემონეზე — მიდტიულანდი 1:2; ფკ სეული — ლოს ანჯელეს გალაქსი 1:1; ვიკინგი — ოდენსე 2:3. ორჰუსი — ალანია გადაიდო

### უკრაინა

**ვიშა ლიგა. XIX ტური**

არსენალი — ზარია 1:1; შახტარი — ზაკარპატიე 5:0; კარპატი — ხარკოვი 1:0; მეტალისტი — ვორსკლა 3:0; ჩერნომორეცი — ნაფტოვიკი 0:1; მეტალურგი (ზ) — მეტალურგი (დ) 1:0; დნიპრო — დინამო 0:4; კრივბასი — ტავრია 1:1

### სლოვაკეთი

**I ლიგა. XIX ტური**

სენეცი — ჟილინა 0:0; ბანსკა ბისტრიცა — არტმედია 2:2; კოშიცე — რუჟომბეროკი 1:0; ნიტრა — სლოვანი 1:0; დუბნიცა — ტრენჩინი 2:1; ტრნავა — მორავცე 2:0

### შვეიცარია

**სუპერლიგა. XXIII ტური**

აარაუ — იანგ ბოისი 0:2; სენტ გალენი — ლუცერნი 2:1; სიონი — ქსამაქსი 2:0; თუნი — ბაზელი 1:3; ციურიხი — გრასჰოპერი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 23 | 15 | 4 | 4 | 47:24 | 49 |
| იანგ ბოისი | 23 | 12 | 7 | 4 | 54:37 | 43 |
| ციურიხი | 23 | 11 | 7 | 5 | 45:23 | 40 |
| გრასჰოპერი | 23 | 8 | 6 | 9 | 35:39 | 30 |
| ლუცერნი | 23 | 6 | 11 | 6 | 31:37 | 29 |
| აარაუ | 23 | 6 | 9 | 8 | 32:34 | 27 |
| სიონი | 23 | 7 | 5 | 11 | 28:34 | 26 |
| ქსამაქსი | 23 | 6 | 7 | 10 | 30:37 | 25 |
| სენტ გალენი | 23 | 7 | 4 | 12 | 30:50 | 25 |
| თუნი | 23 | 4 | 6 | 13 | 20:37 | 18 |

**ჩელენჯლიგა. XXI ტური**

ლუგანო — შაფჰაუზენი 2:0; კონკორდია — გოსაუ 1:2; ვოლენი — კიასო 0:0; ჩამი — ვადუცი 1:2; კრიენსი — ივერდონი 1:1; შო დე ფონი — სერვეტი 1:2; ლოზანა — ბელინცონა 1:2; ლოკარნო — დელემონი 0:2. ვინტერთური — ვილი დღეს გაიმართება

### ხორვატია

**I დივიზიონი. XXI ტური**

მედიმურიე — ოსიეკი 0:1; ზაგრები — ციბალია 4:1; სლავენი — ინტერი 2:0; ვარტექსი — ზადარი 2:0; ჰაიდუკი — შიბენიკი 2:0; რიეკა — დინამო 2:4

### ფინეთი

**ლიგის თასი**

**I ჯგუფი. III ტური**

როვანიემი 0:1 კუოპიო

**II ჯგუფი. IV ტური**

ინტერი 5:0 ვაასა

### სლოვენია

**I ლიგა. XXI ტური**

კოპერი — მარიბორი 1:1; ნოვა გორიცა — პრიმორიე 1:3; დრავა პტუი — ინტერბლოკი 0:2; ივანჩნა გორიცა — დომჟალე 1:2; პუბლიკუმი — ნაფტა 1:0

### იაპონია

**ლიგის თასის ფინალი**

კაშიმა 2:2დ.დ.(პენ.2:3) ჰიროშიმა

# გვერდიდან ასე ჩანდა: ხელი სახეზე

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXVIII ტური

**ნიუკასლი 0:1 ბლექბერნი**
0:1 დერბიშირი (90)
ნიუკასლი: ჰარპერი, ბეიე, ტეილორი, ფაიე, ხოსე ენრიკე, მილნერი, ბარტონი, ბათი (მარტინსი 67), დაფი (ნზოგბია 78), ოუენი, სმიტი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
ბლექბერნი: ფრიდელი, ოიერი, სამბა, ხიზანიშვილი, უორნოკი, ემერტონი (დერბიშირი 61), ბენტლი, რიდი, პედერსენი, მაკკარტი (რობერტსი 60), სანტა კრუზი
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ბეიე, ბენტლი, პედერსენი
მსაჯი: სტაილზი
50 796 მაყურებელი

**არსენალი 1:1 ასტონ ვილა**
0:1 სენდეროსი (27ს.კ.), 1:1 ბენდტნერი (90)
არსენალი: ალმუნია, სანია, გალასი, სენდეროსი (დენილსონი 78), კლიში, გლები, ფაბრეგასი, ფლამინი (ჟილბერტო სილვა 78), დიაბი (ბენდტნერი 59), ადებაიორი, უოლკოტი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ასტონ ვილა: კარსონი, გარდნერი, ლაურსენი, დევისი (ოსბორნი 40), ბუმა, იანგი, რეო-კოკერი (ნაითი 32), ბარი, მელოუნი (ჰარვუდი 71), კარეუ, აგბონლაჰორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
გაფრთხილება: გალასი, ბარი, ოსბორნი
მსაჯი: კლატენბურგი
60 097 მაყურებელი

**ფულემი 0:3 მანჩესტერი**
0:1 ჰარგრივსი (15), 0:2 პარკი (44), 0:3 დევისი (72ს.კ.)
ფულემი: ნიემი, სტალტერი, ჰანგელანდი, ჰიუზი, კონჩესკი, ვოლცი (კამარა 90), ჯონსონი (ნევლანდი 90), ბალარდი, მერფი (სმერტინი 64), დევისი, მაკბრაიდი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ევრა, ოში, ნანი (ანდერსონი 75), სქოულზი, ჰარგრივსი, პარკი, ტევესი (რონალდუ 69), საა (რუნი 69)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: დინი
25 314 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:4 ჩელსი**
0:1 ლამპარდი (17პ), 0:2 ჯ. კოული (20), 0:3 ბალაკი (22), 0:4 ე. კოული (64)
ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, ფერდინანდი, აპსონი, მაკკარტნი, ფობერი (სოლანო 66), ნობლი, მალინსი, ლიუნგბერგი, ბოა მორტე (ეშტონი 46), კ. კოული (ზამორა 65)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ბალაკი, მაკელელე (ალექსი 84), ლამპარდი, ჯ. კოული (ესიენი 69), ანელკა, ს. კალუ (მალუდა 75)
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
გაფრთხილება: ბალაკი, ტერი
გაძევება: ლამპარდი (36)
მსაჯი: უოლტონი
34 969 მაყურებელი

**ბოლტონი 1:3 ლივერპული**
0:1 იასკელაინენი (12ს.კ.), 0:2 ბაბელი (60), 0:3 აურელიო (75), 1:3 კოპენი (79)
ბოლტონი: იასკელაინენი, ე. ობრაიენი, სტეინსონი (რასიაკი 42), გ. კემილი, ჯ. ობრაიენი, ტეილორი, გარდნერი, ნოლანი (კოპენი 46), კამპო, დევისი, დიუფი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ლივერპული: რეინა, კარაგერი, ჰიიპია, შკრტელი, აურელიო, ჯერარდი, ხაბი ალონსო, მასკერანო, ბაბელი, ფ. ტორესი (რიისე 77), კაიტი (არბელოა 86)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ჰიიპია, რასიაკი, დევისი
მსაჯი: დოუდი
24 004 მაყურებელი

**ევერტონი 3:1 პორტსმუთი**
1:0 აიეგბენი (1), 1:1 დეფო (38), 2:1 კეჰილი (73), 3:1 აიეგბენი (81)
ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, ჰიბერტი (ე. ჯონსონი 66), იობო, ლესკოტი, იაგიელკა, ტ. კეჰილი, კარსლი, ოსმანი, პიენაარი (ბეინსი 90), აიეგბენი (ანიჩებე 83)
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, კემპბელი, დისტინი, პრეიდარსონი, დიოპი (უტაკა 78), მუნტარი, ლ. დიარა, კრანჩარი, დეფო, კანუ
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
გაფრთხილება: დისტინი, პიენაარი
მსაჯი: მარინერი
33 938 მაყურებელი

**სიტი 0:0 უიგანი**
სიტი: ჰარტი, ჩორლუკა, დანი, ონუოჰა, ბოლი, ვასელი, ჟელსონი, ელანო (კაისედო 49), ჯონსონი, აირლენდი (კასტილიო 63), მვარუვარი
მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი
უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, შარნერი, ბოისი, ედმანი, ვალენსია, ბრაუნი, პალასიოსი, კუმასი, ჰესკი, კინგი (სიბიერსკი 66)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ბრაუნი
მსაჯი: ბენეტი
38 261 მაყურებელი

**ბირმინგემი 4:1 ტოტენჰემი**
1:0 ფორსელი (7), 2:0 ლარსონი (55), 3:0, 4:0 ფორსელი (59, 81), 4:1 ჯენასი (90)
ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, კელი, ჯაიდი, რიდგუელი, მერფი, ლარსონი, ჯონსონი, მუამბა, მაკშეფრი (პარნაბი 70), მაკფადენი (ზარატე 84), ფორსელი (ჯერომი 84)
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
ტოტენჰემი: რობინსონი, ჰატონი, ზოკორა (განტერი 73), კაბული, ჩიმბონდა, მალბრანკი (კინი 46), ოჰარა, ტაინიო (ჯენასი 46), ჰადლსტოუნი, ბერბატოვი, დ. ბენტი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ჯონსონი
მსაჯი: პრობერტი
26 055 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:1 რედინგი**
0:1 ჰარპერი (90)
მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, უიტერი, პოგატეცი, გრაუნდსი, ონილი, ბოატენგი (ჯონსონი 74), არკა (კეტერმოლი 59), დაუნინგი, აფონსო ალვეში (მიდო 68), თუნჯაი
მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი
რედინგი: ჰანემანი, როსენიორი, ინგიმარსონი, ბიკეი, შორი, ოსტერი (კიტსონი 68), ჰარპერი, მატეიოვსკი (კებე 85), ჰანტი, დოილი (სისე 85), ლონგი
მწვრთნელი: სტივ კოპელი
გაფრთხილება: ბიკეი, ბოატენგი, უიტერი, როსენიორი, გრაუნდსი, ჰანტი, შორი, დაუნინგი, ლონგი
მსაჯი: ვები
23 273 მაყურებელი

**დერბი 0:0 სანდერლენდი**
დერბი: კეროლი, ედვორთი, მური, სტაბსი, მაკიველი, სტერიოვსკი (ფაგანი 66), ჯონსი (ჯალი 57), პირსონი, ლუისი, მილერი (ერნშოუ 80), ვილა
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
სანდერლენდი: გორდონი, ბერდსლი, ნორსვორთი, ევანსი, ჰიგინბოთემი, ჩოპრა, უიტიჰიდი, რიდი (ლიდბიტერი 66), რიჩარდსონი, ჯოუნსი, მერფი (სტოკსი 80)
მწვრთნელი: როი კინი
გაფრთხილება: მილერი, მაკიველი, ლუისი, მური, ვილა, ჩოპრა
მსაჯი: რაილი
39 058 მაყურებელი

**თვალსა** და ხელს შუა გაქრა ხუთქულიანი სხვაობა „მანჩესტერსა“ და „არსენალს“ შორის. შეცვლაზე შესულ ნიკლას ბენდტნერს ბოლო წამს რომ არ ეყოჩაღა, ალექს ფერგიუსონის გუნდი ცხრილის თავში იქნებოდა. „მეთოფეებმა“ ასე თუ გააგრძელეს, მანჩესტერელი „წითლები“ მალე გადაასწრებენ.

ემანუელ ადებაიორს ბუცები გაუმრუდდა და უკვე ოთხი მატჩია, არ გაუტანია. ფეხმოტეხილი ედუარდო ერთი წლის შემდეგ დაბრუნდება, ნახევარმცველებიც ველარ ყოჩაღობენ და შედეგად „არსენალმა“ ბოლო ორ მატჩში ორ ქულაზე მეტს თავი ვერ მოუყარა.

საკუთარ კარში ფილიპ სენდეროსის გოლმა „მეთოფეები“ ისე არია, რომ თამაში არ წაუგიათ და პირველ საშინაო მარცხს ბოლოსდა გადაურჩნენ.

არსენ ვენგერი: „ეს ქულა სეზონის ბოლოს შეიძლება გადამწყვეტიც კი გამოდგეს. რომ წაგვეგო, სულ სხვა სურათი და ცუდი განწყობა იქნებოდა, მაგრამ ცხრილის თავში კვლავაც ჩვენ ვართ. ყველა გუნდს აქვს დაღმასვლები და ასეთ შემთხვევაში ნებისმიერი ქულა ძვირფასია.“

სტუმართა მწვრთნელი მარტინ ონილი კი ნაწყენი იყო, ხელიდან გაფრენილი გამარჯვების გამო: „გულდაწყვეტილი ვარ. აქ თამაში ყველას უჭირს, ჩვენ კი ბრწყინვალედ ვითამაშეთ და გამარჯვებას ვიმსახურებდით. ახლა ათჯერ უკეთესი გუნდი მყავს, წინა სეზონთან შედარებით და პროგესი აშკარაა.“

„მანჩესტერს“ უეინ რუნი და კრიშტიანუ რონალდუ არ დასჭირვებია „ფულემის“ დასამარცხებლად. ფერგიუსონმა ისინი „ლიონისთვის“ დაასვენა და შევლაზე მაშინ შეუშვა, როცა საქმე დამთავრებული იყო.

ოუენ ჰარგრივსმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა, პარკმა კი სქოულზის ჩაწოდებულს დაჰკრა თავი და ტაიმის მიწურულს სხვაობა ორამდე გაზარდა.

„ვერ ვიტყვი, რომ საუცხოოდ ვითამაშეთ, მაგრამ ჩემი ფეხბურთელების პროფესიონალიზმი აქაც გამოჩნდა. თავად განსაჯეთ: რუნის, რონალდუს, კარიკის, გიგზის და ვიდიჩის გარეშე ვიყავით, თუმც შესვენებამდე ორი გოლი შევაგდეთ. მჯერა მათი, ვისაც ძირითად შემადგენლობაში ვათამაშებ და ესაა მთავარი. ყველა ფეხბურთელს უნდა აგრძნობინო, რომ გუნდისთვის საჭირო კაცია“ — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა.

„ფულემი“ იმავე სიჩქარით მიჰქრის ქვევით, რა სიჩქარითაც „მანჩესტერი“ ზევით და ალბათ ჩემპიონლიგაში ამოყოფს თავს.

ფრენკ ლამპარდმა „ვესტ ჰემთან“ 35 წუთში გოლის გატანაც მოასწრო და წითელი ბარათის მიღებაც. ლონდონურ დერბიში სტუმრებმა ისეთი ხუთწუთეული ჩაატარეს, რომ „ჩაქუჩები“ გონს ველარ მოვიდნენ. კალუს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლამპარდმა გაიტანა, ჯო კოულმა მეორე მიაყოლა, მიხაელ ბალაკმა კი მეტოქეს ამოსუნთქვა არ აცალა და გაასამა.

ამის მერე იყო, ფრენკ ლამპარდმი და ლუიშ ბოა მორტე რომ შესკდნენ ერთმანეთს. ინგლისელმა პორტუგალიელს ხელი მსუბუქად ჰკრა, ის კი ბალახზე გაიშხლართა. ეს საკმარისი გამოდგა პიტერ უოლტონისთვის, რათა „არისტოკრატი“ გაეძევებინა. „ჩაქუჩები“ კაცმეტნი დარჩნენ, მაგრამ როგორი საქმეა, იმ გუნდისთვის 3-4 გოლის გატანა, რომელმაც ბოლო ხუთ გასვლით მატჩში მხოლოდ სამი გაუშვა? ძნელია და „ჩაქუჩებსაც“ არაფერი გამოუვიდათ. ეს კი არა, ეშლი კოულმა მეოთხე შეაგდო — ეს იყო მისი პირველი გოლი „ჩელსის“ შემადგენლობაში.

„თანამსაჯმა მთავარ არბიტრს უთხრა, რომ ლამპარდმა მეტოქეს ხელი სახეში დაარტყა — განაცხადა ავრაამ გრანტმა — ამ ეპიზოდს დღესვე შევისწავლით და მსაჯი თუ შეცდა, წითელ ბარათს გავაპროტესტებთ“.

ლიგის თასის მფლობელი „ტოტენჰემი“ ბირმინგემში შეარცხვინეს. სტუმრებს ცენტრალური მცველი ლედლი კინგი აკლდათ, იუნეს კაბულმა და პასკალ ჩიმბონდამ კი ვერაფერი მოუხერხერს მიკაელ ფორსელს, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა.

გუშინ კი მერსისაიდული კლუბების მონაწილეობით ორი მატჩი გაიმართა, რომლებშიც ერთნაირი ანგარიში დაფიქსირდა — 3:1 „ევერტონისა“ და „ლივერპულის“ სასარგებლოდ. „გუდისონ პარკზე“ დევიდ მოიესის ბიჭებმა პორტსმუთელთა წინააღმდეგობა მეორე ტაიმში გატეხეს, ხოლო რაფა ბენიტესის გუნდმა სამი ქულა ბოლტონში მიითვალა.

ამრიგად, მეოთხე ადგილისთვის ბრძოლა კიდევ უფრო დაიძაბა და დღევანდელი გადასახედიდან მართლაც ძნელი განსაჭვრეტია, ორიდან რომელი ერთი ლივერპულური გუნდი იასპარეზებს მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე.

**ვაჟა ხუციშვილი**


იაკუბუ აიეგბენიმ „პორტსმუთთან“ დუბლი მიითვალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 28 | 19 | 8 | 1 | 57:21 | 65 |
| მანჩესტერი | 28 | 20 | 4 | 4 | 58:15 | 64 |
| ჩელსი | 27 | 17 | 7 | 3 | 42:17 | 58 |
| ევერტონი | 28 | 16 | 5 | 7 | 46:24 | 53 |
| ლივერპული | 27 | 13 | 11 | 3 | 46:20 | 50 |
| ასტონ ვილა | 28 | 13 | 9 | 6 | 51:36 | 48 |
| ბლექბერნი | 28 | 12 | 9 | 7 | 37:34 | 45 |
| სიტი | 28 | 12 | 9 | 7 | 34:31 | 45 |
| პორტსმუთი | 28 | 12 | 8 | 8 | 38:29 | 44 |
| ვესტ ჰემი | 27 | 11 | 7 | 9 | 31:27 | 40 |
| ტოტენჰემი | 27 | 8 | 8 | 11 | 49:45 | 32 |
| მიდლსბრო | 28 | 7 | 8 | 13 | 25:42 | 29 |
| ნიუკასლი | 28 | 7 | 7 | 14 | 30:53 | 28 |
| უიგანი | 28 | 7 | 6 | 15 | 26:42 | 27 |
| სანდერლენდი | 28 | 7 | 6 | 15 | 26:46 | 27 |
| ბირმინგემი | 28 | 6 | 8 | 14 | 31:41 | 26 |
| ბოლტონი | 28 | 6 | 7 | 15 | 28:42 | 25 |
| რედინგი | 28 | 7 | 4 | 17 | 32:55 | 25 |
| ფულემი | 28 | 3 | 10 | 15 | 25:48 | 19 |
| დერბი | 28 | 1 | 7 | 20 | 13:57 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდუ (მანჩესტერი) | 21 |
| ადებაიორი (არსენალი) | 19 |
| ფ. ტორესი (ლივერპული) | 15 |
| მვარუვარი (პორტსმუთი/სიტი) | 13 |
| კინი (ტოტენჰემი) | 12 |
| ანელკა (ბოლტონი/ჩელსი) | 11 |
| სანტა კრუზი (ბლექბერნი) | 11 |
| ტევესი (მანჩესტერი) | 11 |

### XXIX ტური
8 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | მიდლსბრო |
| ბლექბერნი | : | ფულემი |
| ჩელსი | : | დერბი |
| ლივერპული | : | ნიუკასლი |
| მანჩესტერი | : | ბოლტონი |
| პორტსმუთი | : | ბირმინგემი |
| რედინგი | : | სიტი |
| სანდერლენდი | : | ევერტონი |
| ტოტენჰემი | : | ვესტ ჰემი |
| უიგანი | : | არსენალი |

### ჩემპიონატი. XXXV ტური
ბარნსლი — უესნდი 0:0; ბრისტოლი — ჰალი 2:1; ბარნლი — უოტფორდი 2:2; კარდიფი — ლესტერი 0:1; კოლჩესტერი — ვულვზი 0:1; ნორვიჩი — ბლექპული 1:2; პრესტონი — კრ. პალასი 0:1; სკანთორპი — ქოვენთრი 2:1; შეფილდი — ჩარლტონი 0:2; საუთჰემპტონი — იფსვიჩი 1:1; ვესტ ბრომვიჩი — პლიმუთი 3:0; ქუინზ პარკი — სტოკი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრისტოლი | 35 | 18 | 10 | 7 | 44:41 | 64 |
| სტოკი | 36 | 17 | 11 | 8 | 59:48 | 62 |
| უოტფორდი | 35 | 17 | 10 | 8 | 56:42 | 61 |
| ვესტ ბრომვიჩი | 34 | 17 | 7 | 10 | 70:42 | 58 |
| ჩარლტონი | 35 | 15 | 10 | 10 | 51:41 | 55 |
| იფსვიჩი | 35 | 14 | 10 | 11 | 52:43 | 52 |
| პლიმუთი | 35 | 14 | 10 | 11 | 45:36 | 52 |
| ბარნლი | 35 | 13 | 12 | 10 | 49:46 | 51 |
| ჰალი | 34 | 13 | 11 | 10 | 42:39 | 50 |
| ვულვზი | 34 | 13 | 11 | 10 | 33:34 | 50 |
| კრ. პალასი | 35 | 12 | 13 | 10 | 39:35 | 49 |
| ბლექპული | 35 | 11 | 12 | 12 | 48:46 | 45 |
| ნორვიჩი | 35 | 12 | 9 | 14 | 34:43 | 45 |
| კარდიფი | 34 | 11 | 11 | 12 | 42:42 | 44 |
| ქუინზ პარკი | 35 | 11 | 11 | 13 | 46:50 | 44 |
| ბარნსლი | 35 | 10 | 12 | 13 | 37:50 | 42 |
| ლესტერი | 35 | 9 | 13 | 13 | 34:33 | 40 |
| შეფილდი | 34 | 9 | 13 | 12 | 35:39 | 40 |
| საუთჰემპტონი | 35 | 10 | 10 | 15 | 44:57 | 40 |
| ქოვენთრი | 34 | 11 | 6 | 17 | 37:50 | 39 |
| პრესტონი | 35 | 10 | 7 | 18 | 33:41 | 37 |
| უესნდი | 33 | 10 | 6 | 17 | 34:40 | 36 |
| სკანთორპი | 35 | 8 | 11 | 16 | 34:51 | 35 |
| კოლჩესტერი | 34 | 6 | 14 | 14 | 46:55 | 32 |

### I ლიგა. XXXV ტური
ჩელტენემი — საუთენდი 1:1; სუინდონი — ლიდსი 0:1; ბორნმუთი — ჰარტლპული 2:0; ბრაიტონი — ლეიტონი 1:1; ჯილინგემი — იოვილი 0:0; ჰადერსფილდი — სუონსი 0:1; ლუთონი — უოლსოლი 0:1; მილუოლი — როვერსი 0:1; ნორთჰემპტონი — ქრიუ 0:0; პორტ ვეილი — ოლდემი 0:3; ტრანმერი — დონკასტერი 0:1 ნოტინგემი — კარლაილი დღეს გაიმართება

### II ლიგა. XXXV ტური
ბარნეტი — შრიუსბერი 4:1; ბრედფორდი — დაგენემი 0:2; დარლინგტონი — ბრენტფორდი 3:1; ჰერეფორდი — სტოკპორტი 0:1; ლინკოლნი — უიკომბი 1:0; მაკლსფილდი — ნოტსი 1:1; დონსი — ჩესტერი 1:0; მორეკემბი — გრიმზბი 0:4; პიტერბრო — ბერი 1:0; როჩდეილი — ჩესტერფილდი 0:1; როტერჰემი — აკრინგტონი 0:1; რექსემი — მენსფილდი 1:1

### კონფერენსლიგა. XXXV ტური
გრეისი — ტორკი 2:0; ალდერშოტი — კიდერმინსტერი 2:1; ბარტონი — ჰისტონი 1:3; კემბრიჯი — იორკი 2:0; ექსეტერი — ალტრინჩემი 2:1; ფორესტ გრინი — ოქსფორდი 0:0; ჰალიფაქსი — ვეიმუთი 2:1; ნორსვიჩი — ებსფლიტი 3:3; რაშდენი — უოქინგი 2:1; სალისბერი — დროილსდენი 3:1; სტაფორდი — ფერსლი 0:2; სტივენეიჯი — ქროული 3:1

# ბაიერნმა შალკე და ნავსი გატეხა

## გერმანია

### ბუნდესლიგა XXII ტური

**კარლსრუე 3:1 ვოლფსბურგი**

1:0 ეგიმენი (22), 1:1 შეფერი (28), 2:1 კენედი (73), 3:1 იაშვილი (90)
კარლსრუე: მ. მილერი, აიხნერი, ეგიმენი, ფრანცი, ა. გიორლიცი, მუტცელი, ადუბე (პორკელიო 54), ტიმი (კარნელი 81), ფრაისი, იაშვილი, კენედი (კაპლანი 90)
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
ვოლფსბურგი: ბენალიო, რიკარდუ კოშტა, შიმუნეკი, მადლუნგი, კიროგა (ჟოსუე 54), ჰასებე (ლიუბოია 77), გენტნერი, დეჯაგა (გრაფიტე 46), კრჟინოვეკი, მ. შეფერი, ძეკო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: ეგიმენი, ჰასებე, აიხნერი, რიკარდუ კოშტა, ფრანცი
მსაჯი: გრეფე
29 000 მაყურებელი

**შალკე 0:1 ბაიერნი**

0:1 კლოზე (14)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, გროსმიულერი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი (ზე რობერტუ 61), ასამოა, სანჩესი (ჰალილ ალტინტოპი 61), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
ბაიერნი: კანი, ლელი, ლუსიო, ვან ბუიტენი, იანსენი, დემიკელისი, ჰამიტ ალტინტოპი, შვაინშტაიგერი, რიბერი (ოტლი 78), კლოზე (შლაუდრაფი 84), ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: რაფინია, იანსენი, ერნსტი, ლელი
მსაჯი: ფანდელი
61 482 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 დორტმუნდი**

1:0, 2:0 როზენბერგი (45, 63)
ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა (ჰუნტი 37), მერტესაკერი, ნანლდო, ბოენიში, დ. იენსენი, კ. ფრიცი, ვრანიეში (ჰასანენი 81), იოზილი, კლასნიჩი (სანოგო 63), როზენბერგი
მწვრთნელი: თომას შააფი
დორტმუნდი: მ. ციგლერი, რუკავინა, ამედიკი, კოვაჩი, ბაკლი, კელი, ბლაშჩიკოვსკი (კრუშკა 44; კლიმოვიჩი 66), ტინგა, ფედერიკო, პეტრიჩი, ვალდესი (ჰუმელსი 82)
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: იენსენი, კოვაჩი, მერტესაკერი, ტინგა, ვრანიეში, პეტრიჩი
მსაჯი: მერკი
42 100 მაყურებელი

**ჰამბურგი 4:1 აინტრახტი**

1:0 გერერო (5), 2:0 დე იონგი (57), 2:1 კირიაკოსი (70), 3:1 გერერო (79), 4:1 ზიდანი (83)
ჰამბურგი: ფ. როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ჯ. ბოატენგი, დე იონგი, იაროლიმი (ბუცილო 86), ტროხოვსკი (კომპანი 57), ვან დერ ვაარტი, ოლიჩი (ზიდანი 74), გერერო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
აინტრახტი: ნიკოლოვი, გალინდო, რუსი, კირიაკოსი, შპიხერი, ინამოტო, მ. ფინკი, კიოლერი (ამანატიდისი 79), ფენინი (ჩაფტარი 88), ტოსკი (ვაისენბერგერი 61), მანციოსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
მსაჯი: კინჰოფერი
57 787 მაყურებელი

**ბოხუმი 2:0 ლევერკუზენი**

1:0 ცდებელი (66), 2:0 დაბროვსკი (88)
ბოხუმი: ლაშტუვკა, პფერცელი, მალტრიცი, იაია, პ. ბიონიგი, იმჰოფი, ცდებელი (აზაუაგი 83), დაბროვსკი, ონო (მიხელბეკი 76), აუერი, ეპალე (აზაუაგი 87)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, მ. ფრიდრიხი, ჰაგუ, შარპეი (დუმი 76), ვიდალი (შვეგლერი 46), როლფსი, ბ. შნაიდერი, ბარბარესი (გეკასი 70), ბარნეტა, კისლინგი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ბარბარესი, დუმი
მსაჯი: დრეესი
23 781 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 დუისბურგი**

1:0 რაფაელი (35), 2:0 პანტელიჩი (37)
ჰერტა: დრობნი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, ვონ ბერგენი, ჩაჰედი, ლუშტენბერგერი, კაჩარი (მინეირო 89), სკაჩელი, რაფაელი, ებერტი (ს. ოკორონკვო 79), პანტელიჩი (პიშჩეკი 84)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
დუისბურგი: შტარკე, გრლიჩი, შლიკე (ავალოსი 46,) ფერნანდო, ვებერი, ტარარახე, ვილი, შრიოტერი (ვრუცინა 65), გეორგიევი (მაისონი 79), იშიაკუ, ნიკულესკუ
მწვრთნელი: ედუარდ ბომერი
გაფრთხილება: ფრიდრიხი, ნიკულესკუ, ფერნანდო, შლიკე, გრლიჩი, ვრუცინა
მსაჯი: ბრიხი
32 382 მაყურებელი

**ჰანოვერი 2:1 ნიურნბერგი**

1:0 ბრუგინკი (29), 1:1 მისიმოვიჩი (52), 2:1 ჰუშტი (65)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ისმაელი, ვინისიუსი, ტარნატი, ბალიტში, კ. შულცი, შტაინერი (ლაუტი 65), ბრუგინკი (ლალა 70), ჰუშტი, ჰანკე (ჰაშემიანი 78)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
ნიურნბერგი: ბლაჟეკი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი, პინოლა, მნარი (მისიმოვიჩი 46), გალაშეკი, კლუგე (მინტალი 86), საენკო, ხარისტიასი (ვიტეკი 46), კოლერი
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
გაფრთხილება: ჩერუნდოლო, პინოლა, შტაინერი, მისიმოვიჩი, ვინისიუსი, ტარნატი, ლაუტი
მსაჯი: კემპტერი
32 000 მაყურებელი

**ჰანზა 1:1 არმინია**

0:1 აიგლერი (84), 1:1 ბარტელსი (86)
ჰანზა: ვეხტერი, დ. ლანგენი (პირსი 46), ორესტესი, სებასტიანი, მ. შტაინი, ბიულოვი, რატგები, კერნი, ბარტელსი, რანი (შაპურზადეჰი 75), აგალი (იელენი 63)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, მიატოვიჩი, კუჩერა, რაუ, კაუფი, ტესკე, ტ. მარქსი, აიგლერი, ვიშნიარეკი (ჰალფარი 66), ზუმა (კამპერი 81)
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
გაფრთხილება: რანი, აიგლერი, ბარტელსი, მიატოვიჩი
მსაჯი: შიპელი
14 000 მაყურებელი

**კოტბუსი — შტუტგარტი**

გადაიდო



მირო კლოზემ (№18) სეზონში მე-10 გოლით „ბაიერნს" მოაგებინა

„ბაიერნს" „შალკესთვის" სტუმრად 1998 წლის ოქტომბრის მერე არ მოეგო, მიროსლავ კლოზეს კი საკმაო ხანი გოლი არ გაეტანა, მაგრამ ორივე ეს ნავსი შაბათს გელზენკირხენში ერთდროულად გატყდა.

ოტმარ ჰიცფელდის შეგირდებმა მიროს ერთადერთი გოლით იმარჯვეს, წაუგებელი სერია 9 მატჩამდე გაზარდეს და ოთხქულიანი უპირატესობით ლიდერობა შეინარჩუნეს.

„შალკესთვის" კი ეს მიჯრით მესამე მარცხი იყო. კლუბი უკვე მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა და ვინ იცის, კრიტიკის ქარცეცხლში გატარებული მირკო სლომკა მომავალ ტურამდე ევებ მოხსნან კიდეც.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-14 წუთზე გავიდა — ბასტიან შვაინშტაიგერისა და ფრანკ რიბერის მშვენიერ თამაშს კლოზეს ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

„შალკე" კი ფაფხურობდა, მაგრამ „ბაიერნი" აშკარად უკეთ გამოიყურებოდა, ბევრად მეტი მწვავე მომენტი ჰქონდა და მიუნხენელებმა ნამდვილად დამსახურებულად იმარჯვეს.

მეორე ადგილზე მყოფმა „ვერდერმა" დიეგოს, ფრანკ ბაუმანის, ტორსტენ ფრინგსისა და ტიმ ბოროვსკის გარეშე ითამაშა, მაგრამ მაინც იმარჯვა. „დორტმუნდმა" კი წაგება პირველ რიგში საკუთარ თავს დააბრალოს, სტუმრებს რამდენიმე კარგი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

„მუსიკოსების" მხრიდან ორივე გოლი მარკუს როზენბერგმა გაიტანა. 45-ე წუთზე შვედი თითქოს თამაშგარეში გახლდათ, მაგრამ აარონ ჰანტის პასის მერე ქუსლით ეფექტურად იხეირა. 62-ეზე კი იმავე ჰანტის გადაცემა მიიღო, მარტინ ამედიკი ჩამოიცილა და ზუსტად დაარტყა.

„ჰერტამ" აუტსაიდერთაგან „დუისბურგს" პირველივე ტაიმში მოუმთავრა საქმე. რაფაელმა ჯერ ხარიხას გაარტყა ბურთი, რამდენიმე წამში კი მიზანი გაისწორა და მასპინძლები დააწინაურა. ოდნავ მოგვიანებით მანვე კარგად უპასა მარკო პანტელიჩს, ვინც ეფექტური დარტყმით მიმდინარე ბუნდესლიგაში თავისი მეათე გოლი შეაგდო.

ჩვენდა სასიხარულოდ, მეხუთე ადგილზე აცოცდა „კარლსრუე" და ამაში დიდი დამსახურება ალექსანდრე იაშვილს მიუძღვის. ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა ჯოშუა კენედიმ დუბლი კი გაიფორმა, მაგრამ მატჩის მთავარი გმირი მაინც ჩვენებური გახლდათ.

„კარლსრუე" 23-ე წუთზე კენედის თავურით დაწინაურდა. „მგლებმა" მალევე გაათანაბრებს მარსელ შეფერის მშვენიერი დარტყმით და ტაიმიც ფრედ მორჩა.

იაშვილი „კარლსრუეს" შეტევების სულისჩამდგმელი გახლდათ და მართლაც ბრწყინვალედ ირჯებოდა. მას გარჯა 73-ე წუთზე დაუფასდა, როცა კენედიმ შანსი აღარ გაანიავა და ქართველის პასით იხეირა.

დამატებულ წუთებზე „იაშკამ" თავადაც გაიტანა, როცა სამ მეტოქეს გასცდა და შორეულ კუთხეში ჩინებულად დაარტყა. ამ მოგების მერე „კარლსრუეს" საშინაო დაუმარცხებელი სერია რვა მატჩამდე გაიზარდა.

კოტბუსში შაბათს საშინელი ქარი ქროდა და საფეხბურთოდ არავის ეცალა. ადგილობრივი კლუბისა და გერმანიის მოქმედი ჩემპიონის, „შტუტგარტის" შეხვედრა არ შედგა და მისი ახალი თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.

რაც შეეხება ტურის გუშინდელ მატჩებს, ორივე მათგანი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა და თუ „ჰამბურგის" მიერ „აინტრახტის" ძლევას არავინ გაუკვირვებია, ბოხუმში „ლევერკუზენის" წაგება ერთობ მოულოდნელი შედეგია. შედეგად, „ჰამბურგმა" „ფარმაცევტები" ცხრილის მესამე საფეხურიდან ჩამოაბრძანეს.

**მაშა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 13 | 8 | 1 | 39:11 | 47 |
| ვერდერი | 22 | 13 | 4 | 5 | 48:28 | 43 |
| ჰამბურგი | 22 | 11 | 8 | 3 | 34:17 | 41 |
| ლევერკუზენი | 22 | 11 | 5 | 6 | 39:23 | 38 |
| კარლსრუე | 22 | 10 | 6 | 6 | 29:29 | 36 |
| შალკე | 22 | 9 | 8 | 5 | 34:24 | 35 |
| აინტრახტი | 22 | 8 | 8 | 6 | 26:29 | 32 |
| ჰანოვერი | 22 | 9 | 5 | 8 | 33:37 | 32 |
| შტუტგარტი | 21 | 10 | 1 | 10 | 32:35 | 31 |
| ვოლფსბურგი | 22 | 8 | 6 | 8 | 36:35 | 30 |
| ჰერტა | 22 | 9 | 3 | 10 | 25:28 | 30 |
| ბოხუმი | 22 | 8 | 5 | 9 | 34:35 | 29 |
| დორტმუნდი | 22 | 8 | 4 | 10 | 34:38 | 28 |
| ჰანზა | 22 | 6 | 4 | 12 | 20:31 | 22 |
| არმინია | 22 | 5 | 4 | 13 | 21:45 | 19 |
| ნიურნბერგი | 22 | 4 | 5 | 13 | 24:36 | 17 |
| კოტბუსი | 21 | 3 | 8 | 10 | 23:36 | 17 |
| დუისბურგი | 22 | 5 | 2 | 15 | 22:36 | 17 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ბაიერნი) | 13 |
| პეტრიჩი (დორტმუნდი) | 11 |
| გომესი (შტუტგარტი) | 11 |
| დიეგო (ვერდერი) | 10 |
| ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი) | 10 |
| კლოზე (ბაიერნი) | 10 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 10 |
| ოლიჩი (ჰამბურგი) | 10 |
| შესტაკი (ბოხუმი) | 9 |
| ჰანკე (ჰანოვერი) | 9 |

### XXIII ტური

8 მარტი

| | | |
|---|---|---|
| არმინია | : | შალკე |
| შტუტგარტი | : | ვერდერი |
| ნიურნბერგი | : | ჰამბურგი |
| აინტრახტი | : | ბოხუმი |
| დორტმუნდი | : | ჰერტა |
| ლევერკუზენი | : | ჰანოვერი |
| ვოლფსბურგი | : | კოტბუსი |
| ბაიერნი | : | კარლსრუე |
| დუისბურგი | : | ჰანზა |

### მეორე ბუნდესლიგა

XXII ტური

ფიურტი — კიოლნი 2:2; გლადბახი — აუე 2:0; ვეჰენი — აუგსბურგი 2:1; ოფენბახი — ზანქტ პაული 4:3; კობლენცი — კარლ ცაისი 2:0; მიუნხენი — ალემანია 0:0; ოსნაბრიუკი — ჰოფენჰაიმი 0:3; პადერბორნი — ლაუტერნი 0:0. ფრაიბურგი — მაინცი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 22 | 11 | 8 | 3 | 43:26 | 41 |
| ფიურტი | 22 | 10 | 7 | 5 | 36:26 | 37 |
| ჰოფენჰაიმი | 22 | 10 | 7 | 5 | 36:29 | 37 |
| მაინცი | 21 | 10 | 6 | 5 | 36:21 | 36 |
| კიოლნი | 22 | 10 | 6 | 6 | 40:30 | 36 |
| ვეჰენი | 22 | 9 | 8 | 5 | 36:31 | 35 |
| ფრაიბურგი | 21 | 9 | 7 | 5 | 31:26 | 34 |
| მიუნხენი | 22 | 8 | 9 | 5 | 31:23 | 33 |
| კობლენცი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:30 | 30 |
| ალემანია | 22 | 7 | 8 | 7 | 31:31 | 29 |
| აუგსბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 29:32 | 27 |
| ზანქტ პაული | 22 | 6 | 8 | 8 | 28:33 | 26 |
| ოფენბახი | 22 | 6 | 8 | 8 | 26:38 | 26 |
| ოსნაბრიუკი | 22 | 6 | 7 | 9 | 31:41 | 25 |
| აუე | 22 | 6 | 4 | 12 | 30:38 | 22 |
| ლაუტერნი | 22 | 4 | 8 | 10 | 22:27 | 20 |
| პადერბორნი | 22 | 2 | 10 | 10 | 15:32 | 16 |
| კარლ ცაისი | 22 | 3 | 6 | 13 | 30:45 | 15 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIII ტური

ალენი — ვერდერი (მ) 4:2; ვოლფსბურგი (მ) — უნიონი 0:3; დორტმუნდი (მ) — ვუპერტალი 1:1; ბრაუნშვაიგი — ერფურტი 3:2; დიუსელდორფი — კოტბუსი (მ) 3:0; ლიუბეკი — დინამო 1:0; მაგდებურგი — ფერლი 2:0; ობერჰაუზენი — ჰამბურგი (მ) 5:1. ემდენი — ესენი გადაიდო

### სამხრეთ რეგიონალლიგა XX ტური

ბურგჰაუზენი — ოგერშაიმი 1:0; ელვერსბერგი — რეგენსბურგი 0:2; ინგოლშტადტი — შტუტგარტი (მ) 3:1; მიუნხენი (მ) — ჰესენი 2:2; ფრანკფურტი — ბაიერნი (მ) 2:2; როიტლინგენი — კარლსრუე (მ) 1:1. კიკერსი — პფულენდორფი, უნტერჰახინგი — ზიგენი და აალენი — ზანდჰაუზენი გადაიდო

## იტალია
### სერია A
### XXVI ტური

**მილანი 1:1 ლაციო**

0:1 ბიანკი (54), 1:1 ოდო (66პ)
**მილანი:** კალაჩი, ოდო, ბონერა, კალაძე, იანკულოვსკი (დიგაო 46), გატუზო, ემერსონი (ამბროზინი 46), გურკუფი, ზეედორფი (პალოსკი 36), პატო, ჯილარდინო
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
**ლაციო:** ბალოტა, დე სილვესტრი, სივილია, კრიბარი, რადუ, დაბო (მუდინგაი 60), ლედესმა, ბეჰრამი (როზენალი 89), პანდევი, ბიანკი (მანფრედინი 76), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: გატუზო, ოდო, ლედესმა, სივილია, მუდინგაი, ამბროზინი, პანდევი
გაძევება: დე სილვესტრი (84)
მსაჯი: ჩელი
52 886 მაყურებელი

**ნაპოლი 1:0 ინტერი**

1:0 ზალაიეტა (3)
**ნაპოლი:** ჯანელო, კონტინი, კანავარო, სავინი, სანტაკროჩე, ბლაზი, პ ამშიკი (ბოლიაჩინო 90), გარგანო, მანინი (გრავა 82), ზალაიეტა, ლავეცი
მწვრთნელი: ედუარდო რეხა
**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, რივასი, მატერაცი, კივუ (კრესპო 52), ვიეირა, მანიშე (ხ. ძანეტი 46), პელე, ფიგუ (ლ. ხიმენესი 79), სუაზო, ბალოტელი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: კივუ, სანტაკროჩე, ბლაზი, ჟულიო სეზარი, მანინი, კონტინი, რივასი
მსაჯი: რიცოლი
60 240 მაყურებელი

**რომა 4:0 პარმა**

1:0 აკვილანი (27), 2:0 ფალკონე (51ს.კ.), 3:0 ტოტი (80), 4:0 ვუჩინიჩი (90)
**რომა:** ა. დონი, სისინიო, პანუჩი, ფერარი, ტონეტო (ანტუნესი 81), ბრიგი, აკვილანი, ტადეი, ჟიული (ესპოზიტო 64), მანსინი (ვუჩინიჩი 73), ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
**პარმა:** ბუჩი, კული (პიზანუ 57), ფალკონე, როსი, დ. ძენონი, დესენა, მორონე, ჩიგარინი, კასტელინი, გასბარონი (რეჯინალდო 77), ბუდანი (კ. ლუკარელი 57)
მწვრთნელი: დომენიკო დი კარლო
გაფრთხილება: აკვილანი, კასტელინი, როსი, დესენა
მსაჯი: როკი
50 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:3 ფიორენტინა**

0:1 გობი (18), 1:1 სისოკო (29), 2:1 კამორანეზი (57), 2:2 პაპა ვაიგო (76), 2:3 ოსვალდო (90)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ლეგროტალიე, გრიგერა, მოლინარო, კამორანეზი (ნოჩერინო 66), სისოკო, კ. ძანეტი, პალადინო, დელ პიერო (იაკვინტა 71), ტრეზეგე
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
**ფიორენტინა:** ფრეი, უიფალუში (ოსვალდო 61), კროლდრუპი, გამბერინი, გობი, კუზმანოვიჩი, დონადელი, მონტოლივო, სანტანა (პაპა ვაიგო 66), პაცინი, იორგენსენი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ოსვალდო, ოსვალდო
გაძევება: ოსვალდო (90)
მსაჯი: ფარინა
24 000 მაყურებელი

**უდინეზე 2:0 კატანია**

1:0 კვალიარელა (30), 2:0 დი ნატალე (32)
**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი, ზაპოტოჩნი, ფელიპე, ლუკოვიჩი (კოდა 67), ფეროლი, დაგოსტინო, ინლერი, დოსენა, პეპე, კვალიარელა (ფლორო ფლორესი 90), დი ნატალე (ისლა 74)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
**კატანია:** კოპოლა, ბელერი, კაპელი, პელეგრინო, მანფრედინი, ფერეირა პინტუ, ტისონე (დე აშენტისი 46), გუარენტე, ლანძელა (ს. ინძაგი 46), კ. დონი, ფლოკარი (პაოლუჩი 79)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ფელიპე, მანფრედინი, გუარენტე, ზაპოტოჩნი, ინლერი, დოსენა
მსაჯი: რომეო
14 000 მაყურებელი

**სამპდორია 2:2 ტორინო**

0:1 კომოტო (18), 1:1 სალა (45), 1:2 დი მიკელე (50პ), 2:2 კასანო (57)
**სამპდორია:** კასტელაცი, გასტალდელო, სალა (მილიონიკო 74), ლუკინი, მაჯო, სამარკო (დელვეკიო 66), პალომბო, ფრანჩესკინი, პიერი (ციგლერი 37), ბონაცოლი, კასანო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
**ტორინო:** სერენი, კომოტო, დი ლორეტო, ნატალი, პიზანო, დიანა, გრელა, ბარონე, ლანა (როზინა 74), სტელონე (ვენტოლა 88), დი მიკელე (კორინი 85)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ფრანჩესკინი, სამარკო, სალა, გრელა, პიზანო, კასანო, სტელონე, კასანო
გაძევება: კასანო (90)
მსაჯი: პიერპაოლი
32 459 მაყურებელი

**რეჯინა 0:0 პალერმო**

**რეჯინა:** ნოვაკოვიჩი, ჩირილო, ლანცარო, ვალდესი, არონიკა (კოშტა 53), ვიჯანი (ალვარესი 27; კოცა 70), ბარეტო, კაშიონე, ბრიენცა, ამორუზო, მაკინვა
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
**პალერმო:** ფონტანა (ალიარდი 57), ბიავა, რინაუდო, ბარცალი, ძაკარდო, სიმპლისიო, გუანა, კაზერტა (იანკოვიჩი 79), ბალცარეტი, ბრეშიანო, ამაური (კავანი 44)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: გუანა, კაშიონე, ამორუზო, ჩირილო, ბალცარეტი
მსაჯი: დამატო
15 000 მაყურებელი

**კალიარი 2:1 ჯენოა**

0:1 ლუკარელი (15), 1:1 აკვაფრესკა (29), 2:1 რუბინიო (45ს.კ.)
**კალიარი:** სტორარი, პიზანო (ლოპესი 55), კანინი, ბიანკო, დელ გროსო, ფინი, კონტი, პაროლა, კოსუ (ფოჯა 70), მატრი, აკვაფრესკა (ფოჯა 65)
მწვრთნელი: დავიდე ბალარდინი
**ჯენოა:** რუბინიო (სკარპი 65), ა. ლუკარელი, დე როზა, კრიშიტო, როსი, მილანეტო, იურიჩი, ფაბიანო (დანილო 46), სკული (ფიგეროა 64), ბორიელო, ლეონი
მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი
გაფრთხილება: აკვაფრესკა, რუბინიო, პიზანო, ლოპესი, იურიჩი, კანინი, კონტი, ლეონი
მსაჯი: ველოტო
8 000 მაყურებელი

**ლივორნო 1:0 კატანია**

1:0 დიამანტი (62)
**ლივორნო:** ამელია, გრანდონი, კნეზევიცი (პავანი 67), გალანტე, ბალერი, პულცეტი, დე ვეცე (დიამანტი 46), ა. ფილიპინი, პასკუალე, ტავანო, ტრისტანი (ვიდიგალი 76)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
**კატანია:** პოლიტო, სილვესტრი (ტედესკო 66), ტერლიცი, სტოვინი, სილვესტრე, ბიაჯანტი, იცკო (ალვარესი 88), ვარგასი, მარტინესი, სპინეზი, მასკარა
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: მარტინესი, ტერლიცი, იცკო, მასკარა, დიამანტი, ბალერი
მსაჯი: ბერგონცი
12 000 მაყურებელი

**ემპოლი 0:2 სიენა**

0:1 პორტანოვა (33), 0:2 რიგანო (90)
**ემპოლი:** ბასი, ბუშე, მარცორატი, პრატალი, ტოსტო, მარიანინი, მარკიზიო (ვოლპატო 81), ბუდელი (მორო 50), ვანუკი (აბატე 46), ჯოვინკო, საუდატი
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
**სიენა:** მანინგერი, ბერტოტო, პორტანოვა, ლორია, დე ჩელიე, ხარჯა, კოდრია, კოპოლა (როსეტინი 90), ფორესტიერი (როსი 83), მაკარონე (რიგანო 89), ფრიკი
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: მორო, კოდრია, ჯოვინკო, საუდატი, კოპოლა, მარცორატი, ბერტოტო, როსი, მორო
გაძევება: მორო (90)
მსაჯი: ორზატო
11 000 მაყურებელი

# 20 წლის შემდეგ
## ტურინში იები ჩაიტანეს



ფლორენციელმა პაბლო ოსვალდომ (შუაში) ოცწლიანი ნავსი გატეხ

**ჩვენ** ჩვენით გავიხაროთ: მეორე ტაიმის დაწყებიდან დაახლოებით 20 წუთი რომ იყო გასული და „ლაციო“ „მილანს“ მილანში უკვე 1:0-ს უგებდა, რომაელთა კართან კუთხური დაინიშნა. მასპინძლებმა ჩააწოდეს, სტუმარმა ვალონ ბეჰრამიმ კი თავის საჯარიმო მოედანში საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე წააქცია და მსაჯმა ჩელიმ პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა. კაკას არყოფნაში თერთმეტმეტრიანის დარტყმა „ლაციოს“ ყოფილმა კაპიტანმა მასიმო ოდომ იკისრა და წარმატებითაც — 1:1.

მოგეხსენებათ, ამ კვირაში მილანელებს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩი აქვთ „არსენალთან“, რის გამოც მათმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი დაასვენა.

საინტერესო სტატისტიკა: „ლაციოს“ მილანში „შავ-წითლებთან“ 1989 წლის 3 სექტემბრის მერე არ მოუგია, ერთი დღით ადრე, 1989 წლის 2 სექტემბრს კი ქვეყანას „მილანის“ ერთ-ერთი ახალი ვარსკვლავი ბრაზილიელი პატო მოევლინა...

და კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: „შავ-წითელთა“ შემადგენლობაში მეორე ტაიმში პაველ იანკულოვსკის ნაცვლად ითამაშა დიგაომ — კაკას უმცროსმა ძმამ.

შაბათს, „რომამ“ 4:0 გადაუხბინა „პარმას“. ამ შეხვედრაში სექტემბრის მერე პირველი გოლი გაიტანა ალბერტო აკვილანიმ.

საინტერესო რამ მოხდა ამ მატჩის დაწყების წინ: ვეტერანთ ვეტერანმა ჯაკომო ლისიმ ფრანჩესკო ტოტის კაპიტნის სიმბოლური სამკლავური გადასცა. მიზეზი: ტოტიმ მისი რეკორდი მოხსნა, „რომას“ მაისურით სერია A-ში 386 მატჩი ჩაატარა.

ძველისძველი მტრების, „იუვენტუსისა“ და „ფიორენტინას“ ტურინული შეხვედრა კი „იების“ გამარჯვებით დამთავრდა — 3:2. თამაშის ბედი ფლორენციელი პაბლო ოსვალდოს მიერ მსაჯის წამატებულ წუთებში, 93-ზე გატანილმა გოლმა გადაწყვიტა — ეს იყო „იების“ პირველი გამარჯვება „ბებერ ქალბატონთან“ მის სახლში ბოლო 20 წლის განმავლობაში — ასეთი რამ 1988 წლის 15 მაისის შემდეგ არ მომხდარა.

მატჩი „ფიორენტინას“ უპირატესობით დაიწყო,. თამაშს სტუმრები უფრო აკონტროლებდნენ და მე-19 წუთზე გახსნეს კიდეც ანგარიში: მასიმო გობისა და მარტინ იორგენსენის დალაგებულმა პასებმა მასპინძლების დაცვა დააბნია და გობიმ ანგარიშიც გახსნა.

„ფიორენტინას“ მალე მეორე გოლის გატანაც შეეძლო — იორგენსენის ჩაკიდულმა ბურთმა რიკარდო მონტოლივომდე კარგად მიაღწია, მისგან წასული კი რიკოშეტებით გაფრინდ-გამოფრინდა, მაგრამ კარის ხაზი არ გადაკვეთა.

შემდეგ მასპინძლებმა გაქვითეს — „ლივერპულიდან“ ახალგადაყვანილმა მომო სისოკომ გოლი „მაკრატელათი“ შეაგდო.

სერთოდ, უნდა ითქვას, რომ „იუვენტუსი“ კარში ხშირად არ ურტყამდა, მაგრამ 58-ე წუთზე მაურო კამორანეზის დარტყმული შედეგიანი გამოდგა — ტურინელები წინ გავიდნენ.

სწორედ აქ შეიყვანა ჩეზარე პრანდელიმ ტომაშ უიფალუშის მაგივრად დანიელე პაბლო ოსვალდო, რითაც იორგენსენი მარჯვენა ფრთაზე გადაუშვა.

ანგარიში კი 77-ე წუთზე ნდიაე პაპა ვაიგომ გაათანაბრა. ამ ფეხბურთელმა „ჩეზენას“ მაისურით წინა სეზონში, სერია B-შიც გაუტანა ტურინის გუნდს. ბოლოს კი, როგორც გითხარით, ოსვალდომ მესამე შეაგდო.

ტურის მთავარი მოვლენა კი გვიან მატჩში დაფიქსირდა: იტა-

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 26 | 18 | 7 | 1 | 50:16 | 61 |
| რომა | 26 | 16 | 7 | 3 | 46:24 | 55 |
| იუვენტუსი | 26 | 13 | 9 | 4 | 36:24 | 48 |
| ფიორენტინა | 26 | 13 | 8 | 5 | 40:25 | 47 |
| მილანი | 26 | 11 | 10 | 5 | 38:20 | 43 |
| უდინეზე | 26 | 11 | 6 | 9 | 33:35 | 39 |
| სამპდორია | 26 | 10 | 6 | 10 | 34:33 | 36 |
| ჯენოა | 26 | 9 | 8 | 9 | 31:35 | 35 |
| პალერმო | 26 | 9 | 8 | 9 | 34:40 | 35 |
| ატალანტა | 26 | 8 | 10 | 8 | 40:40 | 34 |
| ნაპოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 37:40 | 33 |
| ლაციო | 26 | 7 | 9 | 10 | 29:33 | 30 |
| ტორინო | 26 | 4 | 16 | 6 | 29:32 | 28 |
| სიენა | 26 | 6 | 10 | 10 | 30:34 | 28 |
| ლივორნო | 26 | 6 | 8 | 12 | 27:39 | 26 |
| პარმა | 26 | 5 | 10 | 11 | 31:41 | 25 |
| ემპოლი | 26 | 6 | 7 | 13 | 21:34 | 25 |
| კატანია | 26 | 5 | 9 | 12 | 21:32 | 24 |
| რეჯინა | 26 | 4 | 10 | 12 | 21:39 | 22 |
| კალიარი | 26 | 5 | 6 | 15 | 21:43 | 18 |

„კალიარის“ დაკლებული აქვს 3 ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბორიელო (ჯენოა) | 16 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 15 |
| იბრაჰიმოვიჩი (ინტერი) | 14 |
| მუტუ (ფიორენტინა) | 14 |
| დი ნატალე (უდინეზე) | 12 |
| ტოტი (რომა) | 12 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 11 |
| კრუზი (ინტერი) | 10 |
| ქ. დონი (ატალანტა) | 10 |
| ტავანო (ლივორნო) | 10 |

### XXVII ტური
9 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ტორინო | : | ატალანტა |
| კატანია | : | კალიარი |
| სიენა | : | ფიორენტინა |
| ჯენოა | : | იუვენტუსი |
| ლაციო | : | ლივორნო |
| ემპოლი | : | მილანი |
| ინტერი | : | რეჯინა |
| ნაპოლი | : | რომა |
| პარმა | : | სამპდორია |
| პალერმო | : | უდინეზე |

### სერია B
### XXVIII ტური

**აველინო — ასკოლი 0:2; ბარი — ალბინოლეფე 0:1; ბოლონია — ჩეზენა 2:1; კიევო — ლეჩე 3:3; მანტოვა — ტრიესტინა 2:0; მესინა — მოდენა 3:3; პიზა — ტრევიზო 2:0; რავენა — ბრეშა 0:0; რიმინი — ფროზინონე 1:1; სპეცია — პიაჩენცა 1:2; ვიჩენცა — გროსეტო 0:0**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლონია | 28 | 17 | 8 | 3 | 39:17 | 59 |
| ალბინოლეფე | 28 | 17 | 7 | 4 | 47:22 | 58 |
| კიევო | 28 | 17 | 7 | 4 | 52:32 | 58 |
| ლეჩე | 28 | 16 | 8 | 4 | 47:20 | 56 |
| პიზა | 28 | 16 | 8 | 4 | 48:29 | 56 |
| ბრეშა | 28 | 16 | 6 | 6 | 44:24 | 54 |
| რიმინი | 28 | 13 | 7 | 8 | 39:25 | 46 |
| მანტოვა | 28 | 13 | 6 | 9 | 42:33 | 45 |
| ასკოლი | 28 | 10 | 10 | 8 | 37:27 | 40 |
| მესინა | 28 | 11 | 6 | 11 | 27:40 | 39 |
| ფროზინონე | 28 | 10 | 7 | 11 | 38:42 | 37 |
| მოდენა | 28 | 9 | 9 | 10 | 40:38 | 36 |
| ბარი | 28 | 7 | 10 | 11 | 32:42 | 31 |
| ტრიესტინა | 28 | 7 | 9 | 12 | 29:43 | 30 |
| პიაჩენცა | 28 | 9 | 3 | 16 | 24:38 | 30 |
| გროსეტო | 28 | 6 | 11 | 11 | 24:38 | 29 |
| ტრევიზო | 28 | 6 | 7 | 15 | 29:40 | 25 |
| ვიჩენცა | 28 | 5 | 10 | 13 | 26:42 | 25 |
| აველინო | 28 | 5 | 7 | 16 | 25:43 | 22 |
| სპეცია | 28 | 4 | 9 | 15 | 30:45 | 20 |
| ჩეზენა | 28 | 3 | 11 | 14 | 25:44 | 20 |
| რავენა | 28 | 4 | 8 | 16 | 32:52 | 20 |

„სპეციას“ დაკლებული აქვს 1 ქულა

### სერია C1/A
### გადადებული მატჩი
**სასუოლო 1:0 კავეზე**

ლიის მოქმედმა ჩემპიონმა და მიმდინარე გათამაშების უპირობო ლიდერმა სეზონში პირველი მარცხი იგემა. „სან პაოლოზე“ გამართული მატჩის მესამე წუთზე ურუგვაელმა მარსელო ზალაეტამ „ინტერის“ კარი აიღო, შემდგომში კი „ნაპოლიმ“ არა თუ ეს უპირატესობა შეინარჩუნა, არამედ ოდნავ რომ გამართლებოდა, კიდევაც გაიტანდა.

**პაპუნა კედია**

# ესპანეთი
## პრიმერადივიზიონი
## XXVI ტური

### უელვა 2:3 რეალი

1:0 კასერესი (16), 1:1 რაული (28), 1:2, 1:3 რობინიო (73, 86), 2:3 მარტინში (87)
უელვა: სორენტინო, მ. კასერესი, ი. ბუზონი, პ. ფერნანდესი (ც. მარტინი 77), კ. მარტინში, რ. ბარბერი, ტორნავაკა (კიკე ალვარესი 62), ბეტუ, ა. კამუნიასი (ზანონსი 70), სინამა-პონიოლი, ვარელა
მწვრთნელი: მანუელ სამბრანო
რეალი: კასილიასი, ს. რამოსი, კანავარო (რობინიო 72), ჰაინცე, მ. ტორესი, დიარა, გაგო, დრენტე (პეპე 57), რობენი (იგუაინი 77), ბაპტისტა, რაული
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ბუზონი, კასერესი, რამოსი, რამოსი, რობენი, კანავარო, სინამა-პონიოლი, მარტინი
გაძევება: ბეტუ (51), რამოსი (55), კიკე ალვარესი (67)
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
18 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 4:2 ბარსელონა

0:1 რონალდინიო (29), 1:1 აგერო (35), 2:1 მაქსი როდრიგესი (41), 3:1 ფორლანი (61პ), 4:1 აგერო (70), 4:2 ეტოო (73)
ატლეტიკო: აბიატი, ა. ლოპესი, პერეა, პაბლო, რაულ გარსია, მაქსი როდრიგესი (რეიესი 84), ვალერა, სიმაო, კამაჩო (ჯ. სანტანა 67), ფორლანი, აგერო (ხურადო 88)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, პუიოლი, გ. მილიტო, აბიდალი, ხავი, ედმილსონი (გუდიონსენი 61), ინიესტა, რონალდინიო, ეტოო, ანრი (მესი 56)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ინიესტა, კამაჩო, პუიოლი, აგერო, ძამბროტა, ლოპესი, ეტოო, აბიატი
მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი
55 000 მაყურებელი

### ვილიარეალი 0:0 ოსასუნა

ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, ანხელი, პირესი, კაზორლა (მატი ფერნანდესი 66), სენა (ბრუნო 86), ეგურენი, გ. ფრანკო, ნიჰათი (ტომასონი 57)
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
ოსასუნა: რიკარდო, მონრეალი, კრუჩაგა, ხოსეჩო (ასტუდილიო 46), ხავი გარსია, პლასილი, პუნიალი, ხუანფრანი, კიკე სოლა (დადი 82), ასპილისუეტა, ველა (ექტორ ფონტი 73)
მწვრთნელი: ხოსე ანხელ სიგანდა
გაფრთხილება: ანხელი, ხოსეჩო, ფრანკო, ასპილისუეტა, კიკე სოლა, ეგურენი, ასტუდილიო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
20 000 მაყურებელი

### დეპორტივო 2:1 სევილია

0:1 კანუტე (25), 1:1 ვილჰელმსონი (34პ), 2:1 ლაფიტა (64)
დეპორტივო: აუატი, მანუელ პაბლო, ფილიპე კოლოჩინი, ლოპო, პაბლო ამო, დე გუზმანი, ვილჰელმსონი, ანტონიო ტომაში (ხუან როდრიგესი 75), ლაფიტა (ვალერონი 85), ბოდიპო (რიკი 78)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
სევილია: პალოპი, დანი ალვეში, მოსკერა, კრესპო, ლოლო, დუდა (დ. კაპელი 64), ხესუს ნავასი, პოულსენი, მარესკა (კეიტა 71), კანუტე (ლუიშ ფაბიანო 49), კონე
მწვრთნელი: მანუელ ხიმენესი
გაფრთხილება: პაბლო, ლუიშ ფაბიანო, მოსკერა, ლაფიტა, მარესკა, ლოლო
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
30 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 2:0 ვალენსია

1:0, 2:0 ლუის გარსია (3, 50პ)
ესპანიოლი: კამენი, დავიდ გარსია, ტორეხონი, ხარკე, მოიზესი, ვალდო, საბალეტა (ჩიკა 85), დე ლა პენია (ანხელი 35), რიერა, ლუის გარსია, ხონათანი (ლოლა 72)
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
ვალენსია: ჰილდებრანდი, კანეირა, ელგერა (რ. ბარახა 57), ალბიოლი, მორეტი, მადურო, ბანეგა, ხოაკინი, დ. სილვა (ჟიგიჩი 72), ვილია, მატა (ვისენტე 61)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: მოიზესი, კანეირა, ბანეგა, სილვა, ანხელი, მორეტი, მადურო, ჟიგიჩი, მადურო, ბარახა
გაძევება: მადურო (79)
მსაჯი: პერეს ლასა
36 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 0:1 რასინგი

0:1 დუშერი (85)
ვალიადოლიდი: სერხიო ასენხო, სიფუენტესი, მარკოსი, გარსია კალვო, ინაკი ბეა, ბორხა (ხ. ბარახა 80), სისი (მანჩევი 71), ალვარო რუბიო, სესმა, ხ. ლორენტე, ვიქტორი (ვივარ დორადო 56)
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
რასინგი: ტ. მარტინესი, ორიოლი, ს. სანჩესი, აიოზი, ს. ნავასი, ორტემანი (კოლსა 65), პ. ალვარესი, დუშერი, ხორხე ლოპესი, მუნიტისი (სერანო 73), შმოლარეკი (ტშიტე 63)
მწვრთნელი: მარსელინო გარსია ტორალი
გაფრთხილება: ორიოლი, ლორენტე, სესმა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
15 000 მაყურებელი

### ლევანტე 2:1 სარაგოსა

1:0 გეიხო (20), 2:0 რიგა (60), 2:1 ოსკარი (65)
ლევანტე: კუიოვიჩი, დავიდი, ალვარო, ხოსე სერანო, დესკარგა, ხავი ფუეგო, რიგა (არმანდო 76), მიგელ ანხელი, კურტუა, ხუანმა (მ. გასპარი 86), გეიხო (იბორა 78)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
სარაგოსა: სესარი, პარედესი, აიალა, პავონი, ჩუს ერერო, გაბი (ხენერელო 72), სელადესი, მატუზალემი (ოსკარი 64), სერხიო გარსია, რ. ოლივეირა, დ. მილიტო
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: გაბი, პარედესი, გასპარი, კუიოვიჩი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
10 000 მაყურებელი

### ხეტაფე 3:3 მალიორკა

1:0 მარიო კოტელო (1), 2:0 ალბინი (10), 2:1 გიზა (14), 2:2 არანგო (57), 3:2 რამისი (58ს.კ.), 3:3 რამისი (76)
ხეტაფე: აბონდანსიერი, კონტრა, კატა, ლიხტი, ტენა, სელესტინი, მარიო კოტელო (პაბლო 57), ალბინი, გრანერო (გავილანი 76), დე ლა რედი, მანუ (ბრაულიო 63)
მწვრთნელი: მიქაელ ლაუდრუპი
მალიორკა: მოია, რამისი, ფ. ნავარო, სკალონი, ვარელა, ნუნიესი, პერეირა (ხონასი 46), ვარელო, იბაგასა (ბასინასი 73), არანგო, გიზა (ტუნი 83)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: მარიო კოტელო, სკალონი, სკალონი, სელესტინი
გაძევება: სკალონი (35)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
15 000 მაყურებელი

### ბეტისი 4:0 მურსია

1:0 არზო (15ს.კ.), 2:0 ედუ (40), 3:0 პავონე (55), 4:0 სობისი (73პ)
ბეტისი: რიკარდუ, მელი, ფ. ვეგა, ხუანიტო, დამია, არზუ, მ. გონსალესი (ოდონკორი 62), კაპი (სობისი 67), რივერა, ედუ (კაფუ 75), პავონე
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩაპარო
მურსია: ნოტარიო, მარანიონი, დე კოსი, მეხია, არზო, დე ლუკასი, აბელი, ხოფრე (ივანი 46), გალიარდო (რეგეირო 46), მოვილია, ინიგო
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
გაფრთხილება: პავონე, დე ლუკასი, ინიგო
მსაჯი: პერეს ბურული
35 000 მაყურებელი

### ალმერია 1:1 ბილბაო

1:0 ნეგრედო (59პ), 1:1 ლორენტე (73)
ალმერია: დიეგო ალვეში, ბრუნო, ხუანიტო, რ. პულიდო, კარლოს გარსია, კორონა (კალუ უჩე 83), კრუსატი, ხ. ორტისი (მ. ორტისი 55), ფელიპე მელო (სორიანო 58), მანე, ნეგრედო
მწვრთნელი: უნაი ემერი
ბილბაო: არმანდო, აიტორ ოსიო, ირაოლა, ამორებიეტა, კოიკილი, გაბილონდო, იესტე, ხავი მარტინესი (ორბაისი 67), სუსაეტა, ეჩებერია (ადურიცი 72), ფ. ლორენტე
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: მანე, ამორებიეტა, სუსაეტა, ფელიპე მელო, ხ. ორტისი, აიტორ ოსიო, იესტე, ეჩებერია, ორბაისი, ბრუნო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
15 000 მაყურებელი

# დაბრუნება ერთი კვირით უკან


კუნ აგერომ ძამბროტასა და დანარჩენ ბარსელონელებს შავი დღე აყარა

**უელვურ** მატჩამდე ბერნდ შუსტერი ალბათ ეშმაკობდა, როცა აცხადებდა, ჩემთვის სულერთია, თუ ვინ იქნება ჩემპიონატის ლიდერი შაბათის მატჩების შემდეგ, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ „რეალმა“ ხსენებული მატჩი ისე დაიწყო, თითქოს მისი შედეგი მართლაც ფეხებზე ეკიდა.

ამ მოსაზრებას დასტური სტარტიდან 15 წუთის თავზე მოყვა — კარლუშ მარტინშის ჩაწოდებას უელველთა ცენტრალური მცველი ხოსე მარტინ კასერესი თავურით გამოეხმაურა — 1:0. სერხიო რამოსმა და გაბრიელ ჰაინცემ იმ მომენტში უხეში პოზიციური შეცდომა დაუშვეს. მადრიდელები დაბნეულად მოქმედებდნენ და „უელვაზე“ უფრო მაღალი კლასის გუნდი ამ ვითარებას უთუოდ გამოიყენებდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ „რეკრეატივომ“ ბურთი თავის კარში მიიღო. მასპინძელთათვის უფრო საწყენი კი ის იყო, რომ გამთანაბრებელი დარტყმის შესრულებამდე რაული ოფსაიდში იყო, მაგრამ ეს ვერც არბიტრმა შენიშნა და ვერც თავად უელველებმა. შესვენებამდე გუნდებს მომენტები კიდევ ჰქონდა, გოლის გატანასთან უფრო ახლოს კი „უელვა“ იყო — სინამა-პონგოლმა ორი რეალური საგოლე სიტუაცია ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმის საწყის ნაწილში მოედანზე ერთი ფეხბურთელი ბრწყინავდა — „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასი, მაგრამ ბეტუს გაძევების შემდეგ მადრიდელებმა შვებით ამოისუნთქეს, თუმცა მათი დამშვიდება დროებითი იყო — რამდენიმე წუთში უელველი ნახევარმცველის გზას სერხიო რამოსიც გაუყვა. რიცხობრივი თანაფარდობის აღდგენის მიუხედავად, „რეალი“ ინიციატივას მაინც დაეუფლა, თანაც სულ მალე არბიტრმა წითელი ბარათი კიკე ალვარესსაც აუფრიალა, ხოლო შუსტერმა სწორედ ის ნაბიჯი გადადგა, რომელიც უნდა გადაედგა — ფაბიო კანავაროს ნაცვლად თამაშში ტრავმამოშუშებული რობინიო ჩართო. ბრაზილიელმა თამაშის ბედი ერთპიროვნულად გადაწყვიტა: ჯერ იყო და, ბურთთან პირველივე შეხებით თავისი გუნდი დააწინაურა, ხოლო თამაშის ბოლოს მეკარესთან პირისპირ გასვლა ელეგანტურ გოლად აქცია. მეტად ლამაზი ეპიზოდი იყო, თუმცა კომპენსირებულ დროში კარლუშ მარტინშის ბრწყინვალე საჯარიმოც არ იყო ნაკლები...

იმავდროულად, „ვისენტე კალდერონზე“, საშინელ ფორმაში მყოფმა ადგილობრივმა „ათლეტებმა“ „ბარსას“ შარშანდელი დამცირებისთვის სამაგიერო გადაუხადეს. მართალია, 4:2 არ არის იმ 0:6-ისთვის სრულფასოვანი შურისძიება, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხავიერ აგირეს გუნდმა ჩემპიონობისთვის მებრძოლ კატალონიელებს უძვირფასესი ქულები დააკარგვინა.

ვიდრე მასპინძლები კატალონიელთა დაზვერვას ცდილობდნენ, სამუელ ეტოომ გოლი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა ოფსაიდის მომიზეზებით არ ჩაუთვალა, 30-ე წუთზე კი რონალდინიომ იმდენად ლამაზი გოლი გაიტანა, რომ მოწინააღმდეგე გუნდის ინჩადაც კი აღფრთოვანდა — ბრაზილიელმა აკრობატულ ნახტომში „მაკრატელა“ მართლაც რომ ვირტუოზულად შეასრულა.

თუმცა, „ატლეტიკოს“ ფანების ჭეშმარიტი სიხარული ტაიმის მიწურულს უნდა გენახათ. ჯერ იყო და, სერხიო აგერომ ორი ბარსელონელი ნატიფი მოძრაობებით დაიბრიყვა, კარში დაარტყა და გოლი პუიოლისგან ასხლეტით გავიდა, ხოლო მადრიდელთა დაწინაურების ამბავი მეორე არგენტინელის, მაქსი როდრიგესის მიერ მახვილი კუთხიდან გატანილს მოყვა.

მე-60 წუთზე პუიოლმა აგერო საჯარიმოში წააქცია და დიეგო ფორლანმა პენალტით ანგარიში 3:1 გახადა. 71-ეზე კი ნორჩმა არგენტინელმა, „ვისენტე კალდერონი“ ღრმა ექსტაზში მოაქცია — „კუნ“ აგერო უბრწყინვალესი დრიბლინგის ხარჯზე ყველას და ყველაფერს გაცდა და ბურთიც ვიქტორ ვალდესის კარის კუთხეში იმდენად ზუსტად გაგზავნა, მობილიარდეებს რომ შეშურდებოდათ. ეტოომ თავისი გოლი მაინც გაიტანა, მაგრამ „ბარსასა“ და „რეალს“ შორის ერთი კვირის წინანდელი 5-ქულიანი დისტანციის აღდგენა ვერაფრით შეაჩერა.

„სევილიამ“ გალისიაში მოულოდნელად წააგო. მოულოდნელი ისიც იყო, რომ მანუელ ხიმენესმა ანდალუზიელთა სასტარტო შემადგენლობაში ფრედი კანუტესთან ერთად არუნა კონე დააყენა და არა პრიმერას ტოპბომბარდირი ლუიშ ფაბიანო. მართალია, კანუტემ თავისი გოლი გაიტანა, მაგრამ ლაკორუნიელებმა ორით უპასუხეს — თავიდან არბიტრი შეცდა, როცა მარესკა წესების დარღვევაში უსაფუძვლოდ დაადანაშაულა და ვილჰელმსონმა პენალტი გაიტანა, ხოლო მეორე ტაიმში, როცა ხიმენესმა ლუიშ ფაბიანო მაინც გაააქტიურა და ინიციატივა სევილიელებს დაუბრუნდათ, თავი „დეპორის“ ლაფიტამ გამოიჩინა და მატჩიც ასეთი ალოგიკური შედეგით დასრულდა.

„ესპანიოლს“ წარუმატებელი სერია ლუის გარსიამ შეუწყვიტა, ვისი დუბლის წყალობითაც კატალონიელებმა უფერული „ვალენსია“ 2:0 დაამარცხეს.

საინტერესო ამბები კვირასაც მოხდა. „ბეტისმა“ მურსიელი სტუმრებისგან ქვა ქვაზე არ დატოვა — 4:0. ამ მარცხმა „მურსია“ კრიტიკულ მდგომარეობაში მოაქცია, სევილიელები კი, პირიქით — სახიფათო ზონას დაშორდნენ.

„ლევანტემ“ უკვე მერამდენედ გამოავლინა ხასიათის სიმტკიცე. ვალენსიელები ხავსს კი ეწიდებიან, მაგრამ ბოლოხანს უბრძოლველად არავის არაფერს უთმობენ (თუ „ბარსასთან“ სამარცხვინო ანგარიშით განადგურებაზე თვალს დავხუჭავთ).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 26 | 19 | 2 | 5 | [illegible] | 59 |
| ბარსელონა | 26 | 16 | 6 | 4 | [illegible]:21 | 54 |
| ვილიარეალი | 26 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 47 |
| ატლეტიკო | 26 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| ესპანიოლი | 26 | 12 | 6 | 8 | 37:32 | 42 |
| რასინგი | 26 | 11 | 8 | 7 | 25:25 | 41 |
| სევილია | 26 | 12 | 3 | 11 | 52:35 | 39 |
| ალმერია | 26 | 10 | 7 | 9 | 22:23 | 37 |
| ვალენსია | 26 | 10 | 5 | 11 | 28:37 | 35 |
| ხეტაფე | 26 | 9 | 6 | 11 | 32:35 | 33 |
| ბეტისი | 26 | 8 | 8 | 10 | 31:36 | 32 |
| მალიორკა | 26 | 6 | 13 | 7 | 37:39 | 31 |
| ვალიადოლიდი | 26 | 8 | 7 | 11 | 32:43 | 31 |
| ოსასუნა | 26 | 8 | 6 | 12 | 28:31 | 30 |
| ბილბაო | 26 | 7 | 9 | 10 | 24:27 | 30 |
| დეპორტივო | 26 | 8 | 6 | 12 | 30:38 | 30 |
| სარაგოსა | 26 | 7 | 8 | 11 | 37:48 | 29 |
| უელვა | 26 | 7 | 8 | 11 | 26:37 | 29 |
| მურსია | 26 | 5 | 8 | 13 | 20:38 | 23 |
| ლევანტე | 26 | 5 | 4 | 17 | 22:48 | 19 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლ. ფაბიანო (სევილია) | 19 |
| დ. მილიტო (სარაგოსა) | 14 |
| ხ. ლორენტე (ვალიადოლიდი) | 14 |
| აგერო (ატლეტიკო) | 12 |
| რაული (რეალი) | 12 |
| ვან ნისტელროი (რეალი) | [illegible] |

### XXVII ტური
9 მარტი

| | |
|---|---|
| სევილია | ლევანტე |
| სარაგოსა | ატლეტიკო |
| ბარსელონა | ვილიარეალი |
| ოსასუნა | ალმერია |
| ბილბაო | ვალიადოლიდი |
| რასინგი | ბეტისი |
| მურსია | ხეტაფე |
| მალიორკა | უელვა |
| რეალი | ესპანიოლი |
| ვალენსია | დეპორტივო |

### სეგუნდადივიზიონი
XXVII ტური

გრანადა — კორდობა 0:2; ფეროლი — ალბასეტე 1:1; ტენერიფე — ალავესი 1:0; სევილია B — ეიბარი 2:0; სპორტინგი — ნუმანსია 1:0; კადისი — კასტელიონი 1:1; სელტა — ელჩე 2:2; ხიმნასტიკი — ლას პალმასი 2:0; ერკულესი — სალამანკა 2:2; მალაგა — პოლი ეხიდო 1:1; სოსიედადი — ხერესი 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნუმანსია | 27 | 16 | 6 | 5 | 39:21 | 54 |
| მალაგა | 27 | 14 | 8 | 5 | 40:24 | 50 |
| სპორტინგი | 27 | 13 | 6 | 8 | 39:27 | 45 |
| სოსიედადი | 27 | 12 | 9 | 6 | 34:23 | 45 |
| სევილია B | 27 | 11 | 10 | 6 | 29:25 | 43 |
| ელჩე | 27 | 11 | 8 | 8 | 33:28 | 41 |
| სელტა | 27 | 10 | 9 | 8 | 37:32 | 39 |
| კასტელიონი | 27 | 10 | 9 | 8 | 28:23 | 39 |
| ტენერიფე | 27 | 9 | 11 | 7 | 32:30 | 38 |
| გრანადა | 27 | 9 | 9 | 9 | 29:32 | 36 |
| ერკულესი | 27 | 8 | 11 | 8 | 37:33 | 35 |
| სალამანკა | 27 | 8 | 11 | 8 | 33:30 | 35 |
| კადისი | 27 | 9 | 8 | 10 | 27:27 | 35 |
| კორდობა | 27 | 7 | 13 | 7 | 34:37 | 34 |
| ეიბარი | 27 | 9 | 7 | 11 | 28:35 | 34 |
| ხიმნასტიკი | 27 | 7 | 10 | 10 | 30:33 | 31 |
| ფეროლი | 27 | 8 | 7 | 12 | 30:35 | 31 |
| ლას პალმასი | 27 | 8 | 6 | 13 | 27:40 | 30 |
| ალავესი | 27 | 7 | 8 | 12 | 27:33 | 29 |
| ალბასეტე | 27 | 6 | 8 | 13 | 20:29 | 26 |
| პოლი ეხიდო | 27 | 5 | 8 | 14 | 22:40 | 23 |
| ხერესი | 27 | 4 | 10 | 13 | 28:46 | 22 |

ამჯერად „ლევანტემ“ „სარაგოსა“ დაამარცხა და არაგონულ გუნდს სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუფუჭა. „რასინგმა“ კი პრიმერას გრანდებს საჩვენებელი გაკვეთილი ჩაუტარა იმისა, თუ როგორ შეიძლება ვალიადოლიდელი „ბულდოგების“ მოსხანე „ხოსე ზორილაზე“ დამარცხება.

აი, „ხეტაფემ“ კი იმდენი მოახერხა, რომ მთელი ერთი საათის განმავლობაში რიცხობრივ უმცირესობაში მებრძოლი „მალიორკასგან“ ორი გოლი მიიღო და თითქმის მოგებულ მატჩში ქულები დაკარგა. „ვილიარეალი“ „ოსასუნას“ უგოლოდ დაშორდა, მაგრამ ცხრილის მესამე საფეხური კი შეინარჩუნა.

**სლავა გასპაროვი**

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXVII ტური

**ლილი 0:1 ლიონი**
0:1 ფრედი (32)
**ლე მანი 0:1 სტრასბური**
0:1 კუესტა (22)
**ლანსი 1:1 ტულუზი**
1:0 რენი (8), 1:1 ემანა (74)
**ლორიანი 0:0 ნანსი**
**მარსელი 2:1 ოსერი**
1:0 კანა (7), 2:0 ჯ. სისე (22), 2:1 პედრეტი (89)
**მეცი 2:1 კაენი**
1:0 დიოპი (35), 1:1 ჟემაა (78), 2:1 გეიე (83პ)
**მონაკო 0:0 ვალანსიენი**
**სოშო 0:0 რენი**
**სენტ ეტიენი 0:0 ნიცა**
**ბორდო 3:0 პსჟ**
1:0, 2:0, 3:0 ვენდელი (33, 49, 51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 27 | 17 | 4 | 6 | 51:24 | 55 |
| ბორდო | 27 | 15 | 7 | 5 | 46:26 | 52 |
| ნანსი | 27 | 11 | 12 | 4 | 29:18 | 45 |
| მარსელი | 27 | 11 | 9 | 7 | 37:28 | 42 |
| ლე მანი | 27 | 12 | 4 | 11 | 32:35 | 40 |
| ნიცა | 27 | 9 | 12 | 6 | 24:20 | 39 |
| მონაკო | 27 | 10 | 7 | 10 | 29:28 | 37 |
| ლორიანი | 27 | 9 | 10 | 8 | 23:27 | 37 |
| ვალანსიენი | 27 | 10 | 6 | 11 | 32:27 | 36 |
| სენტ ეტიენი | 27 | 10 | 6 | 11 | 30:28 | 36 |
| სტრასბური | 27 | 9 | 8 | 10 | 27:27 | 35 |
| კაენი | 27 | 9 | 8 | 10 | 29:36 | 35 |
| ოსერი | 27 | 10 | 5 | 12 | 25:35 | 35 |
| რენი | 27 | 9 | 7 | 11 | 27:33 | 34 |
| ლილი | 26 | 6 | 14 | 6 | 26:23 | 32 |
| ლანსი | 26 | 8 | 8 | 10 | 29:31 | 32 |
| პსჟ | 27 | 7 | 10 | 10 | 24:27 | 31 |
| ტულუზი | 27 | 6 | 11 | 10 | 24:31 | 29 |
| სოშო | 27 | 6 | 10 | 11 | 23:32 | 28 |
| მეცი | 27 | 3 | 6 | 18 | 16:47 | 15 |

II დივიზიონი. XXVI ტური

აიაჩო — რეიმსი 0:0; ბულონი — ამიენი 2:1; დიჟონი — კლერმონი 3:1; გენიონი — ბრესტი 0:1; გენგამი — სედანი 2:1; მონპელიე — ანჟერი 1:0; ნანტი — ლიბურნი 2:2; ნიორი — შატორუ 2:1; გრენობლი — ბასტია 1:0. ტრუა — ლე ავრი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 25 | 15 | 8 | 2 | 43:21 | 53 |
| ნანტი | 26 | 15 | 7 | 4 | 41:22 | 52 |
| ტრუა | 25 | 13 | 8 | 4 | 33:20 | 47 |
| ბასტია | 25 | 12 | 6 | 7 | 34:23 | 42 |
| გრენობლი | 26 | 11 | 8 | 7 | 32:24 | 41 |
| მონპელიე | 26 | 10 | 9 | 7 | 28:20 | 39 |
| კლერმონი | 26 | 9 | 12 | 5 | 35:28 | 39 |
| სედანი | 26 | 9 | 9 | 8 | 31:30 | 36 |
| ანჟერი | 26 | 9 | 9 | 8 | 24:23 | 36 |
| აიაჩო | 26 | 9 | 9 | 8 | 27:30 | 36 |
| ბრესტი | 26 | 9 | 7 | 10 | 22:30 | 34 |
| გენგამი | 26 | 8 | 9 | 9 | 25:25 | 33 |
| ბულონი | 26 | 8 | 6 | 12 | 28:36 | 30 |
| რეიმსი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:38 | 30 |
| ამიენი | 26 | 7 | 8 | 11 | 32:35 | 29 |
| შატორუ | 26 | 7 | 8 | 11 | 25:30 | 29 |
| ნიორი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:32 | 26 |
| დიჟონი | 26 | 5 | 11 | 10 | 21:36 | 26 |
| ლიბურნი | 26 | 4 | 9 | 13 | 29:43 | 21 |
| გენიონი | 26 | 2 | 8 | 16 | 25:41 | 14 |

## ურუგვაი

კლაუსურა. III ტური

ნასიონალი — დეფენსორი 4:0; რამპლა — მონტევიდეო 1:3; ტაკუარემბო — ბელა ვისტა 3:2; სერო — რივერ პლეიტი 1:4; პროგრესო — სენტრალი 3:1; დანუბიო — ფენიქსი 2:2; ლივერპული — მირამარი 2:0; პენიაროლი — ჟუვენტუდე 3:2

## ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXVII ტური

**ვიტესი 1:3 ვენლო**
0:1 ოოსტი (23), 0:2, 0:3 ამრაბატი (6, 45), 1:3 კოლკი (61)
**ბრედა 3:0 სპარტა**
1:0 ფეპერი (8), 2:0, 3:0 ლურლინგი (56, 81)
**როდა 1:1 ალკმაარი**
1:0 იანსენსი (3), 1:1 ციომერი (80)
**გრააფსხაპი 1:2 ტილბურგი**
1:0 ტარვაერვი (3), 1:1 პოეპონი (40), 1:2 დემუგი (58)
**ტვენტე 1:0 ჰერენვენი**
1:0 ჰერსი (78)
**აიაქსი 4:0 ექსელსიორი**
1:0, 2:0 ჰუნტელაარი (26, 40), 3:0 ემანუელსონი (54), 4:0 ლეონარდო (81)
**გრონინგენი 1:2 ჰერაკლესი**
1:0 პაუელი (9), 1:1 ევერტონი (13), 1:2 ლაკიჩი (72)
**უტრეხტი 3:1 პსვ**
0:1 სიმონსი (29პ), 1:1 ნელისე (35), 2:1 კორნელისე (44), 3:1 ვან დიიკი (76პ)
**ფეიენოორდი 1:3 ნაიმეგენი**
0:1 ჰოლმანი (16), 1:1 ვან ბრონკჰორსტი (38), 1:2 ოლსონი (79), 1:3 ლენსი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 27 | 18 | 5 | 4 | 57:22 | 59 |
| აიაქსი | 27 | 15 | 8 | 4 | 74:37 | 53 |
| ბრედა | 27 | 15 | 5 | 7 | 36:29 | 50 |
| ფეიენოორდი | 27 | 14 | 6 | 7 | 49:30 | 48 |
| გრონინგენი | 27 | 14 | 5 | 8 | 48:43 | 47 |
| ჰერენვენი | 27 | 13 | 6 | 8 | 68:35 | 45 |
| ტვენტე | 27 | 11 | 10 | 6 | 39:27 | 43 |
| როდა | 27 | 11 | 9 | 7 | 46:40 | 42 |
| უტრეხტი | 27 | 11 | 5 | 11 | 51:46 | 38 |
| ვიტესი | 27 | 10 | 6 | 11 | 34:43 | 36 |
| ალკმაარი | 27 | 8 | 7 | 12 | 39:46 | 31 |
| ნაიმეგენი | 27 | 8 | 6 | 13 | 34:45 | 30 |
| ჰერაკლესი | 27 | 7 | 6 | 14 | 30:53 | 27 |
| გრააფსხაპი | 27 | 7 | 5 | 15 | 29:52 | 26 |
| ვენლო | 27 | 6 | 8 | 13 | 35:59 | 26 |
| ტილბურგი | 27 | 6 | 6 | 15 | 29:34 | 24 |
| სპარტა | 27 | 6 | 6 | 15 | 37:61 | 24 |
| ექსელსიორი | 27 | 6 | 5 | 16 | 28:61 | 23 |

II დივიზიონი. XXX ტური

აპელდორნი — ემენი 4:5; კამბური — ვალვაიკი 2:0; ალმერე — დენ ბოსხი 1:0; ვოლენდამი — სიტარდი 2:3; იგლსი — ჰელმონდი 1:2; მაასტრიხტი — ვეენდამი 1:1; როზენდალი — დენ ჰააგი 0:1; ოსი — დორდრეხტი 1:1; ეინდჰოვენი — ზვოლე 1:2. ჰაარლემი — ტელსტარი გადაიდო

## თურქეთი

სუპერლიგა. XXIV ტური

ქონია — ტრაბზონი 1:0; კაშიმპასა — გენჩლერი 0:0; მანისა — ბუიუქშეჰირი 1:1; ანკარაგიუჯიუ — ფენერბაჰჩე 0:0; ანკარა — გაზიანთეფი 1:1; ქაისერი — დენიზლი 1:1; რიზე — ოფთა 0:0; ბურსა — სივა 0:1; ბეშიქთაში — გალათასარაი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 24 | 16 | 4 | 4 | 37:23 | 52 |
| გალათასარაი | 24 | 15 | 6 | 3 | 46:19 | 51 |
| ფენერბაჰჩე | 24 | 15 | 6 | 3 | 48:25 | 51 |
| სივა | 24 | 16 | 3 | 5 | 34:17 | 51 |
| ქაისერი | 24 | 12 | 9 | 3 | 39:19 | 45 |
| ტრაბზონი | 24 | 9 | 5 | 10 | 33:29 | 32 |
| დენიზლი | 24 | 8 | 6 | 10 | 30:31 | 30 |
| ოფთა | 24 | 7 | 8 | 9 | 24:25 | 29 |
| ანკარაგიუჯიუ | 24 | 7 | 8 | 9 | 23:31 | 29 |
| გენჩლერი | 24 | 7 | 7 | 10 | 34:33 | 28 |
| ქონია | 24 | 8 | 4 | 12 | 27:44 | 28 |
| ბურსა | 24 | 6 | 9 | 9 | 24:27 | 27 |
| გაზიანთეფი | 24 | 7 | 6 | 11 | 27:37 | 27 |
| ბუიუქშეჰირი | 24 | 6 | 8 | 10 | 30:33 | 26 |
| ანკარა | 24 | 5 | 9 | 10 | 24:30 | 24 |
| რიზე | 24 | 6 | 5 | 13 | 24:46 | 23 |
| მანისა | 24 | 5 | 7 | 12 | 33:44 | 22 |
| კაშიმპასა | 24 | 4 | 4 | 16 | 17:41 | 16 |

## ბელგია

იუპილერლიგა. XXIV ტური

**ბრიუგე 0:2 შარლერუა**
0:1 სმოლდერსი (48), 0:2 ტერეაუ (90)
**ლოკერენი 0:0 მუსკრონი**
**მეხელენი 2:1 ზულტე-ვარეგემი**
1:0 ვრემინქსი (7), 2:0 დუნკოვიჩი (55), 2:1 ვან ზუნდერტი (88)
**მონსი 2:2 დენდერი**
0:1 სილა (15), 0:2 მუნიანეზა (34), 1:2 დამანე (42), 2:2 ზოკო (89)
**რუზელარე 0:1 გენტი**
0:1 ბ. გონსალესი (67)
**სენტ ტრუიდენი 1:1 მოლენბეკი**
1:0 ჰენდრიკსი (27), 1:1 გუტერსტამი (73)
**ვესტერლო 1:3 სტანდარდი**
1:0 ვან დერ ეედე (3), 1:1 ფელაინი (63), 1:2 მბოკანი (76), 1:3 ვიტსელი (80)
**ბეერსხოტი 3:0 სერკლი**
1:0 დეედენი (15პ), 2:0 მალკი (29), 3:0 დოსუნმუ (79)
**ანდერლეხტი 1:0 გენკი**
1:0 ვლჩეკი (4)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 24 | 14 | 10 | 0 | 45:15 | 52 |
| ბრიუგე | 24 | 15 | 6 | 3 | 33:17 | 51 |
| სერკლი | 24 | 13 | 6 | 5 | 52:25 | 45 |
| ბეერსხოტი | 24 | 13 | 6 | 5 | 36:19 | 45 |
| ანდერლეხტი | 24 | 12 | 7 | 5 | 34:24 | 43 |
| გენტი | 24 | 11 | 8 | 5 | 45:30 | 41 |
| ვესტერლო | 24 | 8 | 8 | 8 | 34:27 | 32 |
| ზულტე-ვარეგემი | 24 | 9 | 5 | 10 | 30:38 | 32 |
| გენკი | 24 | 8 | 7 | 9 | 33:37 | 31 |
| შარლერუა | 24 | 8 | 6 | 10 | 25:29 | 30 |
| მეხელენი | 24 | 7 | 7 | 10 | 29:36 | 28 |
| ლოკერენი | 24 | 5 | 12 | 7 | 20:23 | 27 |
| რუზელარე | 24 | 6 | 9 | 9 | 28:37 | 27 |
| დენდერი | 24 | 7 | 5 | 12 | 26:39 | 26 |
| მუსკრონი | 24 | 6 | 6 | 12 | 25:33 | 24 |
| მონსი | 24 | 4 | 7 | 13 | 25:38 | 19 |
| სენტ ტრუიდენი | 24 | 4 | 7 | 13 | 20:39 | 19 |
| მოლენბეკი | 24 | 3 | 4 | 17 | 19:53 | 13 |

II კლასი. XXVI ტური

ოლიმპიკი — ლიერსი 2:1; დაინცე — ლამური 3:1; ლომელი — ვირტონი 2:0; ეუპენი — სენტ ჟილი 2:1; ტუბიკე — ვიგორი 2:1; ოსტენდე — ტურნუა 0:0; ბევერენი — ანტვერპენი 0:7; კორტრაიკი — ვაასლანდი 2:2; ტინენი — ოუდ ევერლე 2:2

## ავსტრია

ბუნდესლიგა. XXVII ტური

მატერსბურგი — პაშინგი 1:0; რიდი — ალტახი 3:1; შტურმი — რაპიდი 0:2. ზალცბურგი — ტიროლი და აუსტრია — ლინცერი ზეგ გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 27 | 13 | 6 | 8 | 46:31 | 45 |
| ლინცერი | 26 | 12 | 8 | 6 | 42:31 | 44 |
| აუსტრია | 26 | 11 | 11 | 4 | 35:24 | 44 |
| ზალცბურგი | 26 | 12 | 7 | 7 | 45:29 | 43 |
| შტურმი | 27 | 10 | 10 | 7 | 46:30 | 40 |
| მატერსბურგი | 27 | 9 | 11 | 7 | 44:36 | 38 |
| რიდი | 27 | 10 | 5 | 12 | 34:41 | 35 |
| ალტახი | 27 | 6 | 9 | 12 | 28:47 | 27 |
| ტიროლი | 26 | 5 | 8 | 13 | 23:42 | 23 |
| პაშინგი | 27 | 5 | 5 | 17 | 19:51 | 20 |

## მექსიკა

კლაუსურა. VIII ტური

ტეკოსი — პუმასი 1:2; კრუზ აზული — გვადალახარა 0:0; სან ლუისი — ატლანტე 2:0; მორელია — ხაგუარესი 1:0; ტიგრესი — ამერიკა 3:0; ატლასი — პუებლა 2:1; ნეკაქსა — ვერაკრუსი 0:1; ტოლუკა — პაჩუკა 0:2. სანტოსი — მონტერეი წუხელ გვიან დამთავრდა

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXI ტური

**ბრაგა 0:0 გიმარაეში**
**ლეიშოეში 2:2 აკადემიკა**
1:0 რობერტუ (18პ), 1:1, 1:2 ჟოეანუ (24, 64), 2:2 გონკალვეში (90პ)
**ლეირია 0:2 სეტუბალი**
0:1 პიტბული (9), 0:2 გამა (76)
**ბოავიშტა 0:0 პორტუ**
**ნავალი 1:1 ნასიონალი**
0:1 სპადასიუ (45პ), 1:1 მარსელინიუ (53)
**მარიტიმუ 1:1 ამადორა**
0:1 მაურისიო (22), 1:1 ბრუნო (73)
**სპორტინგი 1:1 ბენფიკა**
1:0 ვუკჩევიჩი (12), 1:1 ო. კარდოზო (41)
**ფერეირა — ბელენენსეში**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 16 | 3 | 2 | 38:7 | 51 |
| ბენფიკა | 21 | 10 | 9 | 2 | 33:12 | 39 |
| გიმარაეში | 21 | 10 | 5 | 6 | 23:23 | 35 |
| სპორტინგი | 21 | 9 | 7 | 5 | 28:18 | 34 |
| სეტუბალი | 21 | 8 | 10 | 3 | 29:20 | 34 |
| მარიტიმუ | 21 | 9 | 3 | 9 | 26:22 | 30 |
| ნასიონალი | 21 | 7 | 8 | 6 | 15:14 | 29 |
| ბელენენსეში | 20 | 7 | 8 | 5 | 20:20 | 29 |
| ბრაგა | 21 | 6 | 9 | 6 | 23:25 | 27 |
| ბოავიშტა | 21 | 5 | 10 | 6 | 24:31 | 25 |
| ამადორა | 21 | 4 | 10 | 7 | 24:26 | 22 |
| აკადემიკა | 21 | 4 | 10 | 7 | 22:31 | 22 |
| ლეიშოეში | 21 | 3 | 12 | 6 | 21:25 | 21 |
| ნავალი | 21 | 5 | 5 | 11 | 15:31 | 20 |
| ფერეირა | 20 | 4 | 4 | 12 | 19:32 | 16 |
| ლეირია | 21 | 1 | 5 | 15 | 16:39 | 8 |

II დივიზიონი. XXI ტური

სანტა კლარა — ბეირა მარი 1:1; პენაფიელი — ტროფენსე 0:1; ოლიალენსე — ესტორილი 1:2; ფრეამუნდე — ვარზიმი 1:1; ვიზელა — ფეირენსე 1:0; ავეში — რიუ ავე 0:0; ფატიმა — პორტიმონენსე 0:3; ჟილ ვისენტე — გონდომარი 4:3

## საბერძნეთი

სუპერლიგა. XXIII ტური

ერგოტელისი — პაოკ 2:0; ოლიმპიაკოსი — ასტერასი 1:1; ლევადიაკოსი — ოფი 0:3; ქსანთი — პანიონიოსი 1:2; კალამარია — ვერია 1:0; ლარისა — ირაკლისი 1:0; აეკ — პანათინაიკოსი 1:1; არისი — ატრომიტოსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 22 | 15 | 5 | 2 | 31:8 | 50 |
| ოლიმპიაკოსი | 23 | 14 | 7 | 2 | 40:16 | 49 |
| აეკ | 22 | 15 | 1 | 6 | 43:14 | 46 |
| არისი | 23 | 11 | 5 | 7 | 24:15 | 38 |
| ასტერასი | 23 | 8 | 10 | 5 | 20:15 | 34 |
| პანიონიოსი | 23 | 10 | 4 | 9 | 28:34 | 34 |
| ქსანთი | 22 | 9 | 5 | 8 | 28:22 | 32 |
| ლარისა | 23 | 7 | 11 | 5 | 19:18 | 32 |
| პაოკ | 23 | 9 | 3 | 11 | 25:24 | 30 |
| ოფი | 23 | 7 | 5 | 11 | 30:34 | 26 |
| ატრომიტოსი | 22 | 7 | 4 | 11 | 17:25 | 25 |
| ირაკლისი | 23 | 5 | 8 | 10 | 16:25 | 23 |
| კალამარია | 23 | 5 | 8 | 10 | 23:38 | 23 |
| ლევადიაკოსი | 23 | 6 | 3 | 14 | 18:41 | 21 |
| ვერია | 23 | 5 | 5 | 13 | 15:31 | 20 |
| ერგოტელისი | 23 | 3 | 8 | 12 | 16:33 | 17 |

## ჩილე

აპერტურა. VII ტური

უნიონ ესპანიოლა — სან მორნინგი 0:1; ო ჰიგინსი — ანტოფაგასტა 0:0; ევერტონი — აუდაქს იტალიანო 2:1; ოსორნო — მელიპილია 3:1; რეინჯერსი — უაჩიპატო 0:0; უნივ. კონსეპსიონი — პალესტინო 2:3; ლა სერენა — დეპ. კონსეპსიონი 2:4; კობრელოა — უნივ. დე ჩილე 3:1. ატლეტიკო — კობრესალი და კოლო კოლო — უნივ. კათოლიკა წუხელ გვიან დამთავრდა

## პოლონეთი

I ლიგა. XIX ტური

ლეხი — ზაგლებე 0:0; პოლონია — სოსნოვიცი 1:0; ბელხატუვი — გროცლინი 0:4; იაგელონია — კრაკოვია 0:2; ლეგია — ლოძი 2:1; ოდრა — კორონა 1:0; ვისლა — ვიძევი 1:0; რუხი — გურნიკი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 19 | 16 | 3 | 0 | 46:10 | 51 |
| ლეგია | 19 | 13 | 1 | 5 | 30:9 | 40 |
| გროცლინი | 19 | 12 | 2 | 5 | 32:18 | 38 |
| ლეხი | 19 | 11 | 4 | 4 | 32:20 | 37 |
| კორონა | 19 | 10 | 3 | 6 | 25:24 | 33 |
| ზაგლებე | 19 | 8 | 6 | 5 | 24:19 | 30 |
| ბელხატუვი | 19 | 7 | 6 | 6 | 20:21 | 27 |
| გურნიკი | 19 | 7 | 3 | 9 | 24:29 | 24 |
| იაგელონია | 19 | 6 | 6 | 7 | 18:27 | 24 |
| ოდრა | 19 | 6 | 4 | 9 | 20:25 | 22 |
| რუხი | 19 | 5 | 6 | 8 | 22:28 | 21 |
| კრაკოვია | 19 | 6 | 2 | 11 | 14:22 | 20 |
| პოლონია | 19 | 5 | 3 | 11 | 11:27 | 18 |
| ვიძევი | 19 | 3 | 8 | 8 | 18:26 | 17 |
| ლოძი | 19 | 2 | 6 | 11 | 9:17 | 12 |
| სოსნოვიცი | 19 | 2 | 3 | 14 | 13:36 | 9 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXIX ტური

**ჰიბერნიანი 0:2 სელტიკი**
0:1 ნეილორი (64), 0:2 სამარასი (75)
**ფოლკირკი 0:0 მოზერუელი**
**ინვერნესი 0:3 ჰართსი**
0:1 კარიპიდისი (22), 0:2, 0:3 ელიოტი (33, 47)
**კილმარნოკი 1:0 სენტ მირენი**
1:0 ინვინჩიბილე (25)
**რეინჯერსი 3:1 აბერდინი**
0:1 ლოველი (28), 1:1 დეილი (38), 2:1 ედამი (50), 3:1 ბოილი (83)
**გრეტნა — დანდი იუნ.**
ხვალ გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 27 | 22 | 2 | 3 | 67:20 | 68 |
| სელტიკი | 27 | 20 | 4 | 3 | 66:19 | 64 |
| მოზერუელი | 27 | 14 | 4 | 9 | 39:32 | 46 |
| დანდი იუნ. | 28 | 12 | 6 | 10 | 40:34 | 42 |
| ჰიბერნიანი | 28 | 11 | 8 | 9 | 41:35 | 41 |
| ფოლკირკი | 29 | 10 | 7 | 12 | 38:42 | 37 |
| ჰართსი | 29 | 10 | 6 | 13 | 40:47 | 36 |
| აბერდინი | 29 | 9 | 7 | 13 | 33:48 | 34 |
| ინვერნესი | 29 | 10 | 3 | 16 | 35:48 | 33 |
| კილმარნოკი | 29 | 7 | 7 | 15 | 30:43 | 28 |
| სენტ მირენი | 27 | 7 | 6 | 14 | 18:44 | 27 |
| გრეტნა | 27 | 4 | 4 | 19 | 28:63 | 16 |

I დივიზიონი. XXVII ტური

კლაიდი — პარტიკი 1:4; დანფერმლაინი — ლივინგსტონი 1:1; დანდი — სენტ ჯონსტონი 3:2; მორტონი — სტირლინგი 2:1; ქუინი — ჰამილტონი 2:2

II დივიზიონი. XXVIII ტური

ბერვიკი — ეარი 0:1; ბრეჩინი — ალოა 0:0; პიტერჰედი — როსი 1:1; ქუინზ პარკი — ერდრი 0:2; რეითი — კოუდენბითი 3:2

III დივიზიონი. XXVIII ტური

ალბიონი — დამბარტონი 0:1; არბროთი — მონტროუზი 2:1; ისტ სტირლინგი — სტენჰაუზმური 3:4; ელგინი — ფორფარი 3:1; სტრანრარი — ისტ ფაიფი 0:2

## არგენტინა

კლაუსურა. IV ტური

ურაკანი — როსარიო 1:1; ბანფილდი — არსენალი 1:3; კოლონი — ტიგრე 1:2; ხიმნასია (ხ) — ველესი 0:0; ინდეპენდიენტე — არგ. ხუნიორსი 2:0; ოლიმპო — ლანუსი 3:2; სან ლორენსო — ესტუდიანტესი 3:1; ოლდ ბოისი — რასინგი 1:0; რივერ პლეიტი — სან მარტინი 3:2-ზე შეწყდა. ხიმნასია (ლ) — ბოკა ხუნიორსი წუხელ გვიან დამთავრდა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00